F-133
1965.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4—5

ივლისი-აგვისტო
სექტემბერი — ოქტომბერი
1965 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე

122. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 აპრილის №№ 237 და 238 დადგენილებების ნაწილობრივ შეცვლისა და დამატებისშესახებ.

123. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 მარტის № 143 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

124. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის № 296 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

125. სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ.

126. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 30 აპრილის № 341 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

127. არასაცხოვრებელი სადგომებისათვის საიჯარო ქირის გადახდევინების მოწესრიგების **შესახებ.**

128. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საკოლმეურნეო ბაზრებში ვაჭრობის წესების შესახებ.

129 საქართველოს სს რესპუბლიკაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და ღორის ჯიშების დარაიონების შესახებ

130. იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების დაწესების შესახებ

131. საქართველოს სს რესპუბლიკის ტყეების დაცვის ღონისძიებათა გაუმჯობესების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

117 „1964-1965 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკაში ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 27 იანვრის № 41 დადგენილების მე-11 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

ბოსტნეულისა და ხილის საცალო ფასების დამტკიცების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის და ბოსტნეულისა და ხილის სეზონურ ფასებთან დაკავშირებული საკითხების უფრო ოპერატიულად გადაწყვეტის უზრუნველყოფის მიზნით, „1964-1965 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკაში ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 27 იანვრის № 41 დადგენილების მე-11 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

დაწესდეს, რომ რესპუბლიკაში ბოსტნეულისა და ხილის საცალო ფასებს დააწესებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლების მონაწილეობით.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
პ. როდიონოვი.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1965 წ. 13 ივლისი, № 444.

118 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 28 სექტემბრის № 1245 დადგენილების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის № 296 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 18 ივლისის № 600 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს პუნქტები 5, 8 და 9 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 28 სექტემბრის № 1245 დადგენილებისა „ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციის და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოების მიერ ფართო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხმარების და სასურსათო საქონლის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 22 აგვისტოს № 2139 დადგენილების განხორციელების ზომების თაობაზე“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პ. როდიონოვი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1965 წლის 24 ივლისი, № 464.

119 „საქართველოს სსრ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ეკონომიკის აღმავლობის ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 5 მაისის № 269 დადგენილების მე-20 პუნქტის გაუქმების შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ივლისის № 523 დადგენილებისა „ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ეკონომიკის აღმავლობის ზომების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 12 მარტის № 221 დადგენილების მე-16 პუნქტის გაუქმების თაობაზე“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1966 წლის 1 იანვრიდან პუნქტი 20 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 5 მაისის № 269 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ეკონომიკის აღმავლობის ზომების შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პ. როდიონოვი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1965 წლის 9 აგვისტო, № 492.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

120 „მოწმეებისა, დაზარალებულებისა, ექსპერტებისა და დამსწრეებისათვის ხარჯების ანაზღაურებისა და გასამრჯელოს მიცემის წესისა და ოდენობის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106 მუხლის და საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93 და 95 მუხლების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცდეს ინსტრუქცია „მოწმეებისა, დაზარალებულებისა, ექსპერტებისა, თარჯიმნებისა და დამსწრეებისათვის ხარჯების ანაზღაურებისა და გასამრჯელოს მიცემის წესის და ოდენობის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 2 ივლისი. № 410.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 2 ივლისის № 410
დადგენილებით

ინსტრუქცია

მოწმეებისა, დაზარალებულებისა, ექსპერტებისა, თარჯიმნებისა და დამსწრეებისათვის ხარჯების ანაზღაურებისა და გასამრჯელოს მიცემის წესის და ოდენობის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. მოწმეებს, დაზარალებულებს, ექსპერტებს, თარჯიმნებსა და დამსწრეებს, რომლებიც დაბარებული არიან მოკვლევის მომხდენ პირთან, გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეებზე ჩვენების, დასკვნების მისაცემად ან თარგმანების შესასრულებლად, — უფლება აქვთ აუნაზღაურდეთ გამოცხადების მათ მიერ გაწეული ხარჯები (მგზავრობის ღირებულება გამოძახების ადგილამდე — იქით და აქეთ, საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები, დღიურები).

2. იმ პირს, რომელიც დაბარებულია როგორც მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი და დამსწრე, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106 მუხლის და საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93 მუხლის შესაბამისად, შეუნარჩუნდება საშუალო ხელფასი მის სამუშაო ადგილზე მთელი იმ დროისათვის, რაც მან დახარჯა მოკვლევის მომხდენ პირთან, გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში გამოძახებასთან დაკავშირებით.

3. მოწმეებს, დაზარალებულებსა და დამსწრეებს, რომლებიც არ არიან მუშები ან მოსამსახურეები, მიეცემათ გასამრჯელო სამუშაოსაგან ან ჩვეულებრივი მოსაქმეობისაგან მოცდენისათვის.

4. ექსპერტებსა და თარჯიმნებს უფლება აქვთ მიიღონ გასამრჯელო თავიანთი მოვალეობის შესრულებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მოვალეობა შესრულებულია სამსახურებრივი დავალების წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. გამოცხადებასთან დაკავშირებით გასაცემი თანხების ოდენობა

5. მოწმეებს, დაზარალებულებს, ექსპერტებს, თარჯიმნებს და დამსწრეებს გამოცხადების ხარჯები აუნაზღაურდებათ:

მგზავრობისა: რკინიგზით — მაგარი საერთო ვაგონის ტარიფით, ხოლო თუ დაბარებული პირი გზაში იმყოფება ერთი დღე-ღამის და მეტი ხნის განძავლობაში ან ღამით — მაგარი ვაგონის ტარიფით საძინებელი ადგილის ღირებულების ანაზღაურებით და სიჩქარისათვის დამატებით; წყალთა ტრანსპორტით — III კატეგორიის (კლასის) სამგზავრო ტარიფით; საავტომობილო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) — დაწესებული ტარიფით; სხვა სახის ტრანსპორტით — მგზავრობის მოცემულ ადგილას არსებული ღირებულების მიხედვით. საჭირო შემთხვევებში გამომძახებელი ორგანოს ნებართვით შეიძლება ანაზღაურებულ იქნას საჰაერო ტრანსპორტის ხარჯები;

საცხოვრებელი სადგომის დაქირავებისათვის — 1 მანეთი დღე-ღამეში, როდესაც გამოძახება ხდება ქ. თბილისში, 70 კაპიკი — როდესაც გამოძახება ხდება ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის დედაქალაქებში და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში და 50 კაპიკი — საქართველოს სსრ ყველა დანარჩენ ადგილებში.

ამის გარდა, გამოძახებულებს მიეცემათ დღიურები 75 კაპიკის ოდენობით გზაში ყოფნის დროის გათვალისწინებით.

III. გასამრჯელოს სახით გასაცემი თანხების ოდენობა

6. მოწმეებს, დაზარალებულებს და დამსწრეებს, რომლებიც არ არიან მუშები ან მოსამსახურეები, მუშაობისაგან ან ჩვეულებრივი მოსაქმეობისაგან მოცდენისათვის დაუწესდებათ გასამრჯელო დღეში 75 კაპიკის ოდენობით.

7. ექსპერტებს, ექსპერტ-ბუღალტრების გარდა, ექსპერტიზის ჩატარებისათვის დაუწესდებათ გასამრჯელო 50-დან 60 კაპიკამდე ერთი საათის მუშაობისათვის.

ექსპერტ-ბუღალტრების ანაზღაურების ოდენობა და საბუღალტრო ექსპერტიზის წარმოებისათვის ანგარიშსწორების წესი დაწესდება სხვა ინსტრუქციით.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ექსპერტიზისათვის მოწვეული არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ან თუ სამუშაო განსაკუთრებით რთულია, ექსპერტის გასამრჯელო შეიძლება დაწესდეს აღნიშნული ოდენობის გადამეტებით, მაგრამ არა უმეტეს 2 მანეთისა საათში.

8. თარჯიმნებს წერილობითი თარგმნისათვის დაუწესდებათ გასამრჯელო 20-დან 30 კაპიკამდე 1000 ნაბეჭდი (ხელნაწერი) ნიშნისათვის.

მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის მიერ დაკითხვის ან სასამართლოს სხდომის დროს თარჯიმნის მოვალეობის შესრულებისათვის თარჯიმნებს დაუწესდებათ გასამრჯელო 40 კაპიკის ოდენობით ერთი საათის მუშაობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. გამოცხადებასთან დაკავშირებით გასაცემი თანხების ოდენობა

5. მოწმეებს, დაზარალებულებს, ექსპერტებს, თარჯიმნებს და დამსწრეებს გამოცხადების ხარჯები აუნაზღაურდებათ:

მგზავრობისა: რკინიგზით — მაგარი საერთო ვაგონის ტარიფით, ხოლო თუ დაბარებული პირი გზაში იმყოფება ერთი დღე-ღამის და მეტი ხნის განძაგლობაში ან ღამით — მაგარი ვაგონის ტარიფით საძინებელი ადგილის ღირებულების ანაზღაურებით და სიჩქარისათვის დამატებით; წყალთა ტრანსპორტით — III კატეგორიის (კლასის) სამგზავრო ტარიფით; საავტომობილო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) — დაწესებული ტარიფით; სხვა სახის ტრანსპორტით — მგზავრობის მოცემულ ადგილას არსებული ღირებულების მიხედვით. საჭირო შემთხვევებში გამომძახებელი ორგანოს ნებართვით შეიძლება ანაზღაურებულ იქნას საჰაერო ტრანსპორტის ხარჯები;

საცხოვრებელი სადგომის დაქირავებისათვის — 1 მანეთი დღე-ღამეში, როდესაც გამოძახება ხდება ქ. თბილისში, 70 კაპიკი — როდესაც გამოძახება ხდება ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის დედაქალაქებში და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში და 50 კაპიკი — საქართველოს სსრ ყველა დანარჩენ ადგილებში.

ამის გარდა, გამოძახებულებს მიეცემათ დღიურები 75 კაპიკის ოდენობით გზაში ყოფნის დროის გათვალისწინებით.

III. გასამრჯელოს სახით გასაცემი თანხების ოდენობა

6. მოწმეებს, დაზარალებულებს და დამსწრეებს, რომლებიც არ არიან მუშები ან მოსამსახურეები, მუშაობისაგან ან ჩვეულებრივი მოსაქმეობისაგან მოცდენისათვის დაუწესდებათ გასამრჯელო დღეში 75 კაპიკის ოდენობით.

7. ექსპერტებს, ექსპერტ-ბუღალტრების გარდა, ექსპერტიზის ჩატარებისათვის დაუწესდებათ გასამრჯელო 50-დან 60 კაპიკამდე ერთი საათის მუშაობისათვის.

ექსპერტ-ბუღალტრების ანაზღაურების ოდენობა და საბუღალტრო ექსპერტიზის წარმოებისათვის ანგარიშსწორების წესი დაწესდება სხვა ინსტრუქციით.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ექსპერტიზისათვის მოწვეული არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ან თუ სამუშაო განსაკუთრებით რთულია, ექსპერტის გასამრჯელო შეიძლება დაწესდეს აღნიშნული ოდენობის გადამეტებით, მაგრამ არა უმეტეს 2 მანეთისა საათში.

8. თარჯიმნებს წერილობითი თარგმნისათვის დაუწესდებათ გასამრჯელო 20-დან 30 კაპიკამდე 1000 ნაბეჭდი (ხელნაწერი) ნიშნისათვის.

მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის მიერ დაკითხვის ან სასამართლოს სხდომის დროს თარჯიმნის მოვალეობის შესრულებისათვის თარჯიმნებს დაუწესდებათ გასამრჯელო 40 კაპიკის ოდენობით ერთი საათის მუშაობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. გამოცხადების ხარჯების ანაზღაურებისა და გასამრჯელოს მიცემის წესი

9. ამ ინსტრუქციის 5-8 პუნქტებით გათვალისწინებულ თანხებს გასცემს გამომძახებელი ორგანო: სისხლის სამართლის საქმეებზე — იმ სახსრებიდან, რომლებიც სპეციალურად გაღებულია ხარჯთაღრიცხვით აღნიშნული მიზნისათვის, ხოლო სამოქალაქო საქმეებზე — მხარეთა მიერ შეტანილი თანხებიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები განთავისუფლებული არიან საქმის გამო სასამართლო ხარჯების გადახდისაგან; ამ შემთხვევებში გასამრჯელოს მიცემა წარმოებს ხარჯთაღრიცხვით გაღებული სახსრებიდან.

10. გასამრჯელო მიეცემათ მოწმეებს, დაზარალებულებსა და დამსწრეებს სამუშაოსაგან ან ჩვეულებრივი მოსაქმეობისაგან მოცდენისათვის, ექსპერტებსა და თარჯიმნებს — მათ მიერ შესრულებული სამუშაოსათვის, აგრეთვე აღნიშნულ პირებს გამოცხადების ხარჯები აენაზღაურებათ მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებით ან სასამართლოს განჩინებით.

11. ექსპერტებისა და თარჯიმნებისათვის გასამრჯელოს საერთო თანხას განსაზღვრავს მათი გამომძახებელი ორგანო, გასამრჯელოს იმ ოდენობის საფუძველზე, რაც დაწესებულია ამ ინსტრუქციის მე-7 და მე-8 პუნქტებით.

12. მოწმეებს, დაზარალებულებს, ექსპერტებს, თარჯიმნებსა და დამსწრეებს კუთვნილ თანხებს მისცემს მათი გამომძახებელი ორგანო ამ პირთა მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულებისთანავე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ფაქტიურად მიღებული და გადახდევინებული მხარეებისათვის სასამართლოს ხარჯები სამოქალაქო საქმეებზე ან სასამართლოს ხარჯები მსჯავრდადებულთათვის სისხლის სამართლის საქმეზე.

13. ხარჯების ანაზღაურება სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებიც გამოძახებული არიან მოკვლევის მწარმოებელ პირთან, გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში როგორც მოწმეები, დაზარალებულები, ექსპერტები, თარჯიმნები და დამსწრენი (მგზავრობის ღირებულება გამოძახების ადგილამდე — იქით და აქეთ, საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები, დღიურები), წარმოებს ჯარის ნაწილების მოთხოვნით დაწესებული ნორმების თანახმად. თვით სამხედრო მოსამსახურეებს მათი გამომძახებელი ორგანო არავითარ ხარჯებს არ აუნაზღაურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

121 საყოფაცხოვრებო გაქირავებისა და საყოფაცხოვრებო შეკვეთის ტიპობრივი ხელშეკრულებების დამტკიცებისა და იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 272 და 360 მუხლების შესაბამისად, დამტკიცდეს საოჯახო საგნების გაქირავების (საყოფაცხოვრებო გაქირავება) და საყოფაცხოვრებო შეკვეთის თანდართული ტიპობრივი ხელშეკრულებანი:

ა) იმის შესახებ, რომ მიეცეთ მოქალაქეებს დროებითი სარგებლობისათვის საოჯახო საგნები, მუსიკალური ინსტრუმენტები, სპორტული ინვენტარი და პირადი სარგებლობის სხვა ქონება 50 მანეთის და მეტი ღირებულებისა;

ბ) საცხოვრებელი სადგომის რემონტის იჯარის შესახებ;

გ) იმის შესახებ, რომ მიეცეთ მოქალაქეებს დროებითი სარგებლობისათვის როიალები და პიანინო.

2. დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აგვისტოს № 766 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხას იმ დოკუმენტებისა, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე, პუნქტი 38 შემდეგი შინაარსისა:

„38. იმ დოკუმენტებით, რომლებიც ადასტურებენ მოქალაქეთა დავალიანებას მათთვის სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სარგებლობისათვის მიცემული საოჯახო საგნების, მუსიკალური ინსტრუმენტების, სპორტული ინვენტარისა და პირადი სარგებლობის სხვა ქონების სარგებლობისათვის (საყოფაცხოვრებო გაქირავება),

აღნიშნულ დოკუმენტებზე აღსრულებითი წარწერის მისაღებად წარედგინება საყოფაცხოვრებო გაქირავების ხელშეკრულების ასლი, ხოლო როდესაც საგნის გაქირავების ღირებულება 50 მანეთზე ნაკლებია, — ქვითრის ასლი, დავალიანების დაფარვის შესახებ წერილობითი გაფრთხილების შემდეგ გადასახდევინებელი თანხის აღნიშვნით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 12 ივლისი, № 433.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 12 ივლისის № 433
დადგენილებით

ტიპობრივი ხელშეკრულება

იმის შესახებ, რომ მიეცეთ მოქალაქეებს დროებითი სარგებლობისათვის 50 მანეთი და მეტი ღირებულების საოჯახო საგნები, მუსიკალური ინსტრუმენტები (პიანინოსა და როიალის გარდა), სპორტული ინვენტარი და პირადი სარგებლობის სხვა საქონელი (საყოფაცხოვრებო გაქირავება)

ქ. _____ 19 წ. „_____“ _____

_____

(საყოფაცხოვრებო გაქირავების საწარმოს დასახელება)

შემდეგში „გამქირავებლად“ წოდებულმა და მოქ. _____

შემდეგში „დამქირავებლად“ წოდებულმა (პასპორტი სერია _____

_____ № _____, გაცემული ქ. _____ მილიციის _____

_____ განყოფილების მიერ 19 წ. „_____“ _____

_____ და გაწერილი ქ. _____ ქუჩაზე, სახლი

№ _____ ბინა № _____) დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. გამქირავებელი აძლევს, ხოლო დამქირავებელი იღებს სარგებლობისათვის _____

(ნივთის დაწვრილებით დასახელება)

სრულ წესრიგში, ღირებულება სახელმწიფო საცალო ფასების პრეისკურანტით _____ მანეთი.

გასაქირავებელი საგნის წესივრობა შემოწმებულია დამქირავებლის თანდასწრებით.

გამქირავებელი გააცნობს დამქირავებელს ტექნიკურად რთული საგნების ექსპლუატაციის წესებს ან მისცემს ინსტრუქციას ამ საგნებით სარგებლობის შესახებ.

2. ეს ხელშეკრულება დადებულია ვადით 19 წლის _____ დან _____ მდე.

ხელშეკრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელიწადს. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულება შეიძლება განახლდეს ახალი ვადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დამქირავებელი მოვალეა ისარგებლოს გაქირავებული საგნით მისი დანიშნულების შესაბამისად, არ დააგირაოს და არ გააქირაოს იგი, არ დაშალოს საგანი და არ აწარმოოს მისი რემონტი.

4. გაქირავებული საგნის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, დამქირავებელი მოვალეა იმ დღიდან ხუთი დღის ვადაში, რაც ეს დამქირავებელმა განაცხადა, გამოასწოროს დაზიანება ადგილზე ან შეცვალოს მწყობრიდან გამოსული საგანი სხვა ერთგვაროვანი წესიერი საგნით.

თუ დაზიანება მოხდა დამქირავებლის მიერ საგნის ექსპლუატაციისა და შენახვის წესების დარღვევის შედეგად, დამქირავებელი აანაზღაურებს საგნის რემონტისა და ტრანსპორტირების ღირებულებას.

5. ნაქირავები საგნის სარგებლობის დროისათვის დამქირავებელი გადაუხდის გამქირავებელს გაქირავებული საგნის მიღების დროს ——————— მანეთს, ——————— კაპიკს, დადგენილი წესით დამტკიცებული პრეისკურანტის შესაბამისად.

მაცივრებისა და ტელევიზორების დაქირავებისათვის საფასური გადახდებათ: პირველი თვისათვის ——————— მან. ——————— კაპ. ხელშეკრულების დადების დროს, ხოლო შემდგომი თვეებისათვის ——————— მან. ——————— კაპ. ოდენობით თვეში — არა უგვიანეს მიმდინარე თვის 5 რიცხვისა.

გადასახდელის შეტანის ვადის გადაცილებისათვის დამქირავებელი უხდის გამქირავებელს საურავს ვადაგადაცილებული თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით დღეში.

დამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს შესაბამისად გასაქირავებელი ფასის შემცირება, თუ ისეთ გარემოებათა გამო, რომლებისთვისაც იგი პასუხისმგებელი არ არის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები სარგებლობისა ან გაქირავებული საგნის მდგომარეობა არსებითად გაუარესდა.

ნაქირავები საგნის რემონტში ყოფნის დროს გაქირავების საფასური არ გადახდება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც რემონტი გამოწვეულია დამქირავებლის მიერ ნაქირავები საგნის ექსპლუატაციისა და შენახვის წესების დარღვევით.

6. გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს სასამართლოს წესით ხელშეკრულების ვადამდე დარღვევა: ა) თუ დამქირავებელი არ სარგებლობს ქონებით ხელშეკრულების ან ქონების დანიშნულების შესაბამისად, ბ) თუ დამქირავებელი განზრახ ან გაუფრთხილებლობის გამო აუარესებს ქონების მდგომარეობას; გ) თუ დამქირავებელმა არ შეიტანა სათანადო საფასური გადასახდელის შეტანის ვადის გასვლიდან ერთი თვის განმავლობაში.

დამქირავებელს უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე ყოველ დროს.

ხელშეკრულების ვადამდე დარღვევის ყველა შემთხვევაში გამქირავებელი დაუბრუნებს დამქირავებელს გაქირავებისათვის მიღებული საფასურის შესაბამის ნაწილს, რაც გამოიანგარიშება გაქირავებული საგნის ფაქტიურად დაბრუნების დღის მომდევნო დღიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ნაქირავები საგნის მიტანა დამქირავებლის ბინაზე და მისი უკან დაბრუნება წარმოებს დამქირავებლის ხარჯზე. უკეთუ გამქირავებელს მოეპოვება სატრანსპორტო საშუალებანი გაქირავებულ საგანს იგი, დამქირავებლის სურვილით, თვითონ მიიტანს დანიშნულებისამებრ, რასაც აანაზღაურებს დამქირავებელი დაწესებული ტარიფების მიხედვით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ან მისი ვადამდე დარღვევისას დამქირავებელი მოვალეა დაუბრუნოს ნაქირავები საგანი გამქირავებელს იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც მან იგი მიიღო, ნორმალური გაცვეთის გათვალისწინებით.

თუ დამქირავებელმა უარი განაცხადა ან თავი აარიდა ნაქირავები საგნის დაბრუნებას, მისი ჩამორთმევა, აგრეთვე გამქირავებლისათვის მიყენებული ზარალის გადახდევინება წარმოებს გამქირავებლის სარჩელით სასამართლოს წესით.

9. დამქირავებლის მიერ ნაქირავები საგნის დაბრუნების შესახებ გამქირავებელი გააკეთებს წარწერას ხელშეკრულების ორივე ეგზემპლარზე.

10. უკეთუ დამქირავებელმა დაუშვა ნაქირავები ქონების მდგომარეობის გაუარესება, მან უნდა აუნაზღაუროს გამქირავებელს ზარალი, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ქონების გაუარესება არ მომხდარა მისი მიზეზით.

ამის შესაბამისად დამქირავებელი:

იმ შემთხვევაში, თუ ნაქირავები საგანი დაზიანებულია ისე, რომ შეიძლება მისი აღდგენა რემონტის გზით, გადაიხდის რემონტის ღირებულებას პრეისკურანტის მიხედვით;

თუ ნაქირავები საგანი სრულიად უვარგისია, დაუბრუნებს ერთგვაროვან საგანს, რომელიც ხარისხისა და მარკის მიხედვით შეესაბამება მწყობრიდან გამოსულს ან აანაზღაურებს მის სრულ ღირებულებას და მაშინ ნაქირავები საგანი ხდება დამქირავებლის საკუთრება.

ნაქირავები საგნის დეტალებისა და ნაწილების დაბრუნებაზე უარის თქმის ან თავის არიდების შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ამ საგნის შემდგომი სარგებლობა, გადაიხდის დანაკლისი დეტალების ღირებულებას ერთნახევარი რაოდენობით.

დასაბრუნებელი ნაქირავები საგნის მდგომარეობის შესახებ დავის წამოჭრის შემთხვევაში, საკითხს გადაწყვეტს საქონლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია, საქონლის ექსპერტიზების ბიურო ან არადაინტერესებული ორგანიზაციის კომპეტენტური წარმომადგენელი. ექსპერტიზის საფასურს აანაზღაურებს ის მხარე, რომლის წინააღმდეგ გამოტანილია ექსპერტიზის გადაწყვეტილება, ექსპერტიზის მოწყობის მოვალეობა ეკისრება გამქირავებელს.

ხელმოწერა:

გამქირავებელი

დამქირავებელი

ხელშეკრულების მეორე ეგზემპლარი
მივიღე:

დამქირავებელი

19 წ. „———“ ———————

ეროვნული ბიბლიოთეკა

*) მოქალაქეები, რომლებსაც მოქმედი წესების მიხედვით არა აქვთ პასპორტები, წარადგენენ პასპორტის შემცვლელ საბუთს.

თხუთმეტიდან თვრამეტი წლის ასაკამდე მოქალაქენი წარადგენენ აგრეთვე ცნობას თავიანთი ხელფასის ან სტიპენდიის შესახებ ან ხელშეკრულების დადების შესახებ წერილობითს თანხმობას მშობლებისა, მშვილებლებისა ან მზრუნველებისა, რომელთა ხელმოწერის სინამდვილეს დაამოწმებს სახლმმართველობა, ადმინისტრაცია მუშაობის ადგილის მიხედვით ან სახელმწიფო სანოტარო კანტორა.

მოტოციკლის, მოტოროლერისა და მოპედის დაქირავების დროს საგალდებულოა მათი მართვის მოწმობის წარდგენა.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 12 ივლისის № 433
დადგენილებით

ᲢᲘᲞᲝᲒᲠᲘᲤᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ

მოქალაქეებისათვის როიალების, პიანინოს დროებით სასარგებლოდ მიცემის შესახებ

(საყოფაცხოვრებო გაქირავება)

ქ. ———————— 19 წ. „———“ ————————

————————————————————————————
(საყოფაცხოვრებო გაქირავების საწარმოს დასახელება)

შემდეგში „გამქირავებლად“ წოდებულმა და მოქ. ————————

შემდეგში „დამქირავებლად“ წოდებულმა (პასპორტი სერია ————

№ ———————, გაცემული ქ. ———————— მილიციის ————

———— განყოფილების მიერ 19 წ. „———“ ———— და გაწერილი ქ. ———————— ქუჩაზე, სახლი № ———————— ბინა № ————)

დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. გამქირავებელი აძლევს, ხოლო დამქირავებელი იღებს სარგებლობისათვის ———————— ფირმის პიანინოს, როიალს, № ————————
სრულ წესრიგში, რომლის ღირებულება სახელმწიფო საცალო ფასების პრეისკურანტით შეადგენს ———————— მანეთს.

ინსტრუმენტის წესივრობა შემოწმებულია დამქირავებლის თანდასწრებით.

2. ეს ხელშეკრულება დადებულია ვადით 19 წ. ———— დან ———— მდე.

ხელშეკრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელიწადს. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულება შეიძლება განახლდეს ახალი ვადით.

3. გამქირავებელი მოვალეა აწარმოოს თავის ხარჯზე ინსტრუმენტის აწყობა, გაწმენდა და რეგულირება შემდეგ ვადებში; აწყობა — წელიწადში ორჯერ, გაწმენდა — წელიწადში ერთხელ, რეგულირება — ორ წელიწადში ერთხელ.

გამქირავებლის მიერ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა უფლებას ანიჭებს დამქირავებელს შეასრულოს ეს სამუშაოები სხვა სახელმწიფო ორგანიზაციის ძალებით და სამუშაოთა ღირებულება ჩაუთვალოს დაქირავების საფასურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროების შემთხვევაში, დამქირავებლის მოთხოვნით და მის ხარჯზე გამქირავებელი აწარმოებს ინსტრუმენტის დამატებით აწყობას, გაწმენდასა და რეგულირებას.

4. ინსტრუმენტის შეკეთება, აგრეთვე მისი მიტანა რემონტის ადგილზე და უკან დაბრუნება ხდება გამქირავებლის ხარჯზე.

5. დამქირავებლის მიერ ინსტრუმენტის ექსპლუატაციისა და შენახვის წესების დარღვევით გამოწვეული რემონტის, აგრეთვე ამასთან დაკავშირებული ინსტრუმენტის ტრანსპორტირების ხარჯებს აანაზღაურებს დამქირავებელი.

6. დამქირავებელი მოვალეა შეინახოს ინსტრუმენტი სრულ წესიერ მდგომარეობაში და სუფთად, არ დადგას სათბობი ხელსაწყოების ახლოს და ისეთ ადგილას, სადაც იგი შეიძლება გაფუჭდეს ნესტისაგან, არ დადგას ინსტრუმენტზე რაიმე საგნები.

7. ინსტრუმენტის სარგებლობისათვის დამქირავებელი უხდის გამქირავებელს ყოველთვიურად არა უგვიანეს მიმდინარე თვის 5 რიცხვისა ——— ——— მანეთს ——— ——— კაპიკს.

ინსტრუმენტის გაქირავების თვიური შენატანი ——— მანეთის ——— კაპიკის რაოდენობით დამქირავებელს შეაქვს ხელშეკრულების ხელმოწერასთან ერთად.

გადასახდელის შეტანის ვადის გადაცილებისათვის დამქირავებელი უხდის გამქირავებელს საურავს ვადაგადაცილებული თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით დღეში.

დამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს შესაბამისად გაქირავების საფასურის შემცირება, თუ ისეთ გარემოებათა გამო, რომლებისთვისაც იგი პასუხისმგებელი არ არის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები სარგებლობისა ან ინსტრუმენტის მდგომარეობა არსებითად გაუარესდა.

ინსტრუმენტის რემონტში ყოფნის დროს გაქირავების საფასური არ გადახდება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც რემონტი გამოწვეულია დამქირავებლის მიერ ინსტრუმენტის ექსპლუატაციისა და შენახვის წესების დარღვევით.

8. დამქირავებელს უფლება არა აქვს დააგირაოს ინსტრუმენტი ან გააქირაოს იგი.

9. გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს სასამართლოს წესით ხელშეკრულების ვადამდე დარღვევა:

ა) თუ დამქირავებელი არ სარგებლობს ინსტრუმენტით ხელშეკრულების ან ინსტრუმენტის დანიშნულების შესაბამისად;

ბ) თუ დამქირავებელი განზრახ ან გაუფრთხილებლობით აუარესებს ინსტრუმენტის მდგომარეობას;

გ) თუ დამქირავებელმა არ შეიტანა სათანადო საფასური გადასახდელის შეტანის ვადის გასვლის დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

დამქირავებელს უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე ყოველ დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელშეკრულების ვადამდე დარღვევის ყველა შემთხვევაში გამქირავებელი დაუბრუნებს დამქირავებელს გაქირავებისათვის მიღებული საფასურის შესაბამის ნაწილს, რაც გამოიანგარიშება გაქირავებული საგნის ფაქტიურად დაბრუნების დღის მომდევნო დღიდან.

10. ინსტრუმენტის მიტანას დამქირავებლის ბინაზე და უკან დაბრუნებას გამქირავებლის საწყობში აწარმოებს სპეციალიზებული სატრანსპორტო ორგანიზაცია დამქირავებლის ხარჯზე. ინსტრუმენტი შეიძლება მიიტანოს, დამქირავებლის სურვილით, გამქირავებელმა, რის ღირებულებას გადაიხდის დამქირავებელი დაწესებული ტარიფების მიხედვით.

11. გამქირავებლის მიერ ინსტრუმენტის დაბრუნებაზე უარის თქმის ან თავის არიდების შემთხვევაში მისი ჩამორთმევა, აგრეთვე გამქირავებლისათვის მიყენებული ზარალის გადახდევინება წარმოებს გამქირავებლის სარჩელით სასამართლო წესით.

12. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ან მისი ვადამდე დარღვევის შემთხვევაში, დამქირავებელი მოვალეა დაუბრუნოს ინსტრუმენტი გამქირავებელს იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც იგი მან მიიღო, ნორმალური გაცვეთის გათვალისწინებით.

დასაბრუნებელი ინსტრუმენტის მდგომარეობის შესახებ წამოჭრილ დავას გადაწყვეტს ექსპერტიზა. ექსპერტიზის საფასურს აანაზღაურებს ის მხარე, რომლის წინააღმდეგ გამოტანილია ექსპერტიზის გადაწყვეტილება. ექსპერტიზის მოწყობის მოვალეობა ეკისრება გამქირავებელს.

ინსტრუმენტის დაბრუნების შესახებ გამქირავებელი გააკეთებს წარწერას ხელშეკრულების ორივე ეგზემპლარზე.

13. უკეთუ დამქირავებელმა დაუშვა ნაქირავები ინსტრუმენტის მდგომარეობის გაუარესება, იგი გამქირავებელს აუნაზღაურებს ზარალს, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ქონების გაუარესება მისი მიზეზით არ მომხდარა.

ამის შესაბამისად დამქირავებელი:

იმ შემთხვევაში თუ ინსტრუმენტი დაზიანებულია ისე, რომ შეიძლება მისი აღდგენა რემონტის წესით, გადაიხდის რემონტის ღირებულებას პრეისკურანტის მიხედვით;

თუ ინსტრუმენტი სრულიად უვარგისია, დაუბრუნებს ერთგვაროვან ინსტრუმენტს, რომელიც ხარისხისა და მარკის მიხედვით შეესაბამება მწყობრიდან გამოსულს, ან გადაუხდის მის სრულ ღირებულებას პრეისკურანტის მიხედვით და მაშინ ინსტრუმენტი ითვლება დამქირავებლის საკუთრებად.

ხელმოწერა:

გამქირავებელი
დამქირავებელი
დამქირავებელი

ხელშეკრულების მეორე ეგზემპლარი მივიღე

19 წ. „———“ ———————

---

*) მოქალაქეები, რომლებსაც მოქმედი წესების მიხედვით არა აქვთ პასპორტები, წარადგენენ პასპორტის შემცვლელ საბუთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხუთმეტიდან თვრამეტი წლის ასაკამდე მოქალაქენი წარადგენენ აგრეთვე ცნობას თავ
ანთი ხელფასის ან სტიპენდიის შესახებ ანდა ხელშეკრულების დადების შესახებ წერილობით
თანხმობას მშობლებისა, მშვილებლებისა ან მზრუნველებისა, რომელთა ხელმოწერის სინა
დვილეს დაამოწმებს სახლმმართველობა, ადმინისტრაცია მუშაობის ადგილის მიხედვით ა
სახელმწიფო სანოტარო კანტორა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 12 ივლისის № 433
დადგენილებით

ტიპობრივი ხელშეკრულება

საცხოვრებელი სადგომის რემონტისა იჯარის წესით (საყოფაცხოვრებო შეკვეთა)

ქ. ———————————— 19 წ. „————" ————————

————————————————————————————————

(რემონტის მწარმოებელი საწარმოს დასახელება)

შემდეგში „მოიჯარედ" წოდებულმა და მოქ. ————————————

მცხოვრებმა ———————— შემდეგში „შემკვეთად" წოდებულმა,

დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. მოიჯარე კისრულობს შეასრულოს შემკვეთის ბინაში ან პირადი საკუთრების უფლებით კუთვნილ მის სახლში თავისი ძალებით, ინსტრუმენტებით, მექანიზმებით სადგომის რემონტი, ხელშეკრულებასთან დართული ხარჯთაღრიცხვის თანახმად, საცხოვრებელი სადგომების რემონტის მოქმედი ტექნიკური პირობების დაცვით.

2. მოიჯარე მიაწოდებს რემონტისათვის საჭირო მასალებს ხელშეკრულებასთან დართული ნუსხის თანახმად ———— მან. ———— კაპ. რაოდენობით სახელმწიფო საცალო ფასებით.

[1] მოიჯარე პასუხისმგებელია მასალის კარგი ხარისხისათვის.

მოიჯარის მასალის ღირებულებას აანაზღაურებს შემკვეთი ხელშეკრულების დადების დროს სრულად ———— მან. ———— კაპიკის ოდენობით ან მასალის ღირებულების არა ნაკლებ 50 პროცენტისა ისე, რომ საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება შესრულებული სამუშაოს მიღების შემდეგ ———— მან. ———— კაპ. რაოდენობით (რაც საჭირო არ არის წაიშალოს).

შენიშვნა: უფლება მასალის ღირებულების ნაწილობრივ ანაზღაურებისა იმ ვარაუდით, რომ საბოლოო ანგარიშსწორება მოხდეს შესრულებული სამუშაოს მიღების შემდეგ, ეკუთვნის შემკვეთს, თუ მასალის ღირებულება არ არის 10 მანეთზე ნაკლები.

მოიჯარის მიერ მიწოდებულ მასალებს და საჭირო ინსტრუმენტს რემონტის ადგილზე მიიტანს მოიჯარე.

3. ამ ხელშეკრულებით აღნიშნული რემონტისათვის შემკვეთი მიაწვდის შემდეგ მასალებს: ————————————————————

————————————————————————————————

რომელთა ღირებულება შეადგენს ———— მან. ———— კაპიკს.

მოიჯარე პასუხისმგებელია ამ მასალების სწორად გამოყენებისათვის, იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვალეა წარუდგინოს შემკვეთს ანგარიში მათი ხარჯვის შესახებ და დაუბრუნოს ნაშთი.

4. მოიჯარე მოვალეა დროზე გააფრთხილოს შემკვეთი: ა) შემკვეთისაგან მიღებული მასალის უვარგისობის ან ცუდი ხარისხის შესახებ; ბ) იმის შესახებ, რომ შემკვეთის მითითებების დაცვა საფრთხეს უქმნის შესასრულებელ სამუშაოს ვარგისიანობას ან სიმტკიცეს; გ) იმის შესახებ, რომ არსებობს სხვა, მოიჯარისაგან დამოუკიდებელი გარემოებანი, რომლებიც საფრთხეს უქმნიან შესასრულებელი სამუშაოს ვარგისიანობას ან სიმტკიცეს.

5. მოიჯარე ვალდებულია დაიწყოს ბინის რემონტი 19 წლის „———"

——————————————— საათზე და დაამთავროს იგი 19 წლის

„———" ———————————————

თუ საჭირო გახდა სამუშაოთა დაწყების ან დამთავრების ვადის შეცვლა, თვითეული მხარე მოვალეა აცნობოს ეს მეორე მხარეს ვადის დადგომამდე არა უგვიანეს 48 საათისა. ვადების შეცვლის შესახებ გაკეთდება შესაბამისი ჩანაწერი ხელშეკრულების ორივე ეგზემპლარში.

6. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარემ დაარღვია სამუშაოთა დაწყების ან დამთავრების ვადა, იგი გადაუხდის შემკვეთს ყოველ ვადაგასულ დღეში საურავს რემონტის ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობით (მოიჯარის მასალების ღირებულების ჩათვლით), ხოლო თუ სამუშაო არ დამთავრებულა შეკვეთის შესრულების ვადის დადგომის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში, მოიჯარე შემკვეთს გადაუხდის საუპიროს რემონტის ღირებულების 2 პროცენტის რაოდენობით (მოიჯარის მასალების ღირებულების ჩათვლით).

უკეთუ აღნიშნული ვადები დაირღვა შემკვეთის მიზეზით, ამ უკანასკნელს ეკისრება იგივე პასუხისმგებლობა.

საურავს აღნიშნული რაოდენობით შემკვეთი გადაუხდის მოიჯარეს აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ ვადაზე არ იქნა გადახდილი დავალიანება მასალებისა და სამუშაოსათვის (პუნქტები 2 და 10).

7. საპატიო მიზეზების არსებობისას შემკვეთს უფლება აქვს ყოველ დროს სამუშაოს დამთავრებამდე უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე, გადაუხადოს მოიჯარეს სამუშაოს შესრულებული ნაწილის საფასური და აუნაზღაუროს მას ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზარალი იმის ჩათვლით, რაც მოიჯარემ დაზოგა ხელშეკრულების დარღვევის გამო.

8. შემკვეთი კისრულობს მოამზადოს სადგომი რემონტის საწარმოებლად; გადახუროს გაფუჭების თავიდან ასაცილებლად ავეჯი, იატაკი, აიღოს მუშაობის ხელშემშლელი საგნები, გამოყოს ადგილი მომუშავეთა ინსტრუმენტისა და ნივთების შესანახად.

9. მოიჯარე პასუხისმგებელია შესაკეთებელ სადგომებში არსებული ავეჯის, იატაკების, ელექტროგაყვანილობის, ელექტროხელსაწყოების, სანიტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ-ტექნიკური მოწყობილობის, მინებისა და სხვა ქონების დაზიანებისათვის ან გაფუჭებისათვის.

10. შემკვეთი გადაუხდის მოიჯარეს ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დროს რემონტის სამუშაოთა ღირებულებას ———— მან. და ———— კაპ. რაოდენობით ან შეიტანს ავანსად სამუშაოთა ღირებულების სულ ცოტა 50 პროცენტს ———— მან. ———— კაპ. რაოდენობით იმ ვარაუდით, რომ საბოლოო ანგარიშსწორება მოხდეს შესრულებული სამუშაოს მიღებიდან ორი დღის განმავლობაში (რაც საჭირო არ არის წაიშალოს).

უფლება სამუშაოთა ღირებულების ანაზღაურებისა ავანსის მიცემის გზით ისე, რომ საბოლოო ანგარიშსწორება მოხდეს სამუშაოთა დამთავრების შემდეგ, ეკუთვნის შემკვეთს, თუ რემონტის სამუშაოთა ღირებულება შეადგენს არა ნაკლებ 10 მანეთისა.

11. შემკვეთი მოვალეა მიიღოს შესრულებული სამუშაოები მათი დამთავრების დღეს. შემკვეთს შეუძლია წაუყენოს პრეტენზიები მოიჯარეს სამუშაოთა მიღების დღიდან ერთი თვის განმავლობაში, უკეთუ შემკვეთსა და მოიჯარეს შორის ჩატარებული რემონტის ხარისხის გამო წამოიჭრა უთანხმოება, შემკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს ექსპერტიზის დანიშვნა. ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს ის მხარე, რომლის წინააღმდეგ გამოტანილია ექსპერტიზის გადაწყვეტილება.

ექსპერტიზის მოწყობის მოვალეობა ეკისრება მოიჯარეს.

თუ პრეტენზია საფუძვლიანი აღმოჩნდა, მოიჯარე ვალდებულია ერთი კვირის ვადაში გამოასწოროს თავის ხარჯზე შემჩნეული ნაკლოვანებანი.

12. უკეთუ მოიჯარემ არ დაიცვა ხელშეკრულების პირობები, რამაც გააუარესა სამუშაო, ან თუ აღმოჩენილ იქნა სხვა ნაკლოვანებანი მუშაობაში, შემკვეთს, მოიჯარისათვის პრეტენზიების წაყენების მიუხედავად, უფლება აქვს წარადგინოს სარჩელი სასამართლოში ექვსი თვის განმავლობაში, ხოლო თუ ნაკლოვანებანი არ შეიძლებოდა აღმოჩენილი ყოფილიყო სამუშაოთა მიღების ჩვეულებრივი წესის დროს, — სამუშაოთა მიღების დღიდან ერთი წლის განმავლობაში.

ხელმოწერა:

	მოიჯარე
	შემკვეთი
ხელშეკრულების მეორე ეგზემპლარი მივიღე	შემკვეთი

19 წ. „————“ ————————

ეროვნული ბიბლიოთეკა

122 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 აპრილის №№ 237 და 238 დადგენილებების ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 ივლისის № 536 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 1 აპრილის №№ 250 და 254 დადგენილებების ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. „ხორბლისა და ჭვავის წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 აპრილის № 238 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს, რომ სახელმწიფოსათვის მისაყიდი ხორბლისა და ჭვავის შესასყიდი ფასების 50 პროცენტის დანამატი მიეცემათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მას შემდეგ, რაც ისინი შეასრულებენ მათთვის დაწესებულ გეგმას ხორბლისა და ჭვავის მიყიდვისა ერთობლივად.

2. „მზესუმზირას თესლის წარმოებისა და შესყიდვის გადიდების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 აპრილის № 237 დადგენილების დამატებით დაწესდეს, რომ მზესუმზირას იმ თესლის შესასყიდი ფასების 100 პროცენტი დანამატის გაცემა, რომელსაც კოლმეურნეობები მიყიდიან სახელმწიფოს, მიეცემათ რაოდენობრივად:

კოლმეურნეობებს, რომლებიც აწარმოებენ მზესუმზირას მესამე წელიწადს, — ორი წლის განმავლობაში გაყიდული საშუალო ფაქტიური დონის გადამეტებით;

კოლმეურნეობებს, რომლებიც აწარმოებენ მზესუმზირას მეორე წელიწადს, — გასულ წელს გაყიდული ფაქტიური დონის გადამეტებით;

კოლმეურნეობებს, რომლებიც აწარმოებენ მზესუმზირას პირველ წელიწადს, — მიყიდვის იმ გეგმის გადამეტებით, რაც დაწესებულია მიმდინარე წლისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 14 ივლისი, № 434.

ეროვნული ბიბლიოთეკა

123 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 მარტის № 143 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 მარტის № 143 დადგენილებისა (პუნქტი 2) „იმის შესახებ, რომ განთავისუფლდნენ საქართველოს სსრ მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციები ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან და რომ შემკვეთებმა გადასცენ საქართველოს სსრ მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებს საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 მარტის № 143 დადგენილების მე-2 პუნქტს იმ სახლების ნუსხის ნაწილში, რომლებიდანაც არ წარმოებს საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემა მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებისათვის, დაემატოს სიტყვები: „საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე აშენებულ სახლებში“, რის გამო აღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დაევალოთ შემკვეთ სამინისტროებსა და უწყებებს გადასცენ 1965 წელს მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებს მშენებელთა ჩასასახლებლად საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციების მიერ აშენებულ სახლებში, ყველგან საქართველოს სს რესპუბლიკაში, ხოლო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავართბილმშენს — ქ. თბილისში აშენებული სახლებიდან საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 5 პროცენტი, გარდა საცხოვრებელი ფართობისა საერთო საცხოვრებლებში, სასწავლებლებში, პროფტექნიკური განათლების სკოლებში, საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე აშენებულ სახლებში, აგრეთვე სახაზო საექსპლუატაციო პერსონალის სახლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 19 ივლისი, № 447

ეროვნული ბიბლიოთეკა

124 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის № 296 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის № 296 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 18 ივლისის № 600 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „სსრ კავშირის საშენ მასალათა სახალხო კომისარიატის რულოიანი სახურავი საწარმოების მრეწველობისათვის „სოიუზუტილის“ საქართველოს კანტორის მიერ ჩვარეულის დამზადების შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 ოქტომბრის № 1211 დადგენილების მე-3 პუნქტი და მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცი.

2. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 15 მარტის № 317 დადგენილება „სარეწაო კავშირის, საქკოოპინკავშირის და საქტყესარეწკავშირის საწარმოებში ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

3. პუნქტი 9 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 2 აგვისტოს № 928 დადგენილებისა „ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციის და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოების მიერ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

4. „ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობის საწარმოების მიერ ფართო მოხმარების ნაწარმის დასამზადებლად საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა წარმოების ნარჩენების აღრიცხვისა და განაწილების საქმის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 10 ოქტომბრის № 1422 დადგენილების 1 პუნქტის ქვეპუნქტები „1“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობის საწარმოების მიერ საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა წარმოების ნარჩენების ჩაბარებას.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 2 თებერვლის № 139 დადგენილება „ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების სტიმულირების ზომების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 29 ივლისი, № 463.

ეროვნული ბიბლიოთეკა

125 სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად და საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა აუნაზღაურდეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტ-ბუღალტრებს სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზების ჩატარებისათვის გაწეული შრომა.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს დებულება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 10 აპრილის № 203 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 3 აგვისტო, № 476

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 3 აგვისტოს № 476
დადგენილებით

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს შესახებ

I. ზოგადი ნაწილი

1. სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიურო და მისი ფილიალები ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 10 აპრილის № 203 დადგენილების შესაბამისად.

2. სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიურო და მისი ფილიალები ატარებენ საბუღალტრო ექსპერტიზას სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეთა გამო მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის, სასამართლოსა და არბიტრაჟის დადგენილებათა და განჩინებათა საფუძველზე.

3. სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს საქმიანობისადმი ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია.

4. საბუღალტრო ექსპერტიზებს აწარმოებენ სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს და მისი ფილიალების საშტატო და არასაშტატო ბუღალტერ-ექსპერტები.

5. სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს ან მისი ფილიალის ხელმძღვანელი აძლევს შესაბამის ბუღალტერ-ექსპერტს საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარების დავალებას, რომელშიაც ექსპერტიზის დამნიშვნელ ორგანოსთან შეთანხმებით აღინიშნება საათების რაოდენობა, ექსპერტიზის დამთავრების ვადა და სატარიფო განაკვეთი ერთი საათის მუშაობისათვის.

6. ბუღალტერ-ექსპერტი იძლევა დასკვნას თავისი სახელით და მას ეკისრება პირადი პასუხისმგებლობა მის მიერ მიცემული დასკვნისათვის.

7. ბუღალტერ-ექსპერტის დასკვნას, ვიდრე იგი ექსპერტიზის დამნიშვნელ ორგანოს გადაეცემოდეს, შეამოწმებს სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს ან მისი ფილიალების ხელმძღვანელობა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეესაბამება იგი მოქმედ კანონმდებლობას, დაცულია თუ არა საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარების მეთოდები, სწორად არის თუ არა გაფორმებული დასკვნა, და გაუგზავნის ექსპერტიზის დამნიშვნელ ორგანოს.

II. სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს და მისი ფილიალების ფუნქციები

8. სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიურო და მისი ფილიალები მათზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად შეასრულებენ შემდეგ ფუნქციებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ხელმძღვანელობასა და კონტროლს გაუწევენ ბუღალტერ-ექსპერტების მუშაობას;

ბ) შეადგენენ სამუშაოთა გეგმებს და ანგარიშებს თავიანთი საქმიანობის შესახებ;

გ) განახორციელებენ ღონისძიებებს ბუღალტერ-ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

დ) განაზოგადებენ საბუღალტრო ექსპერტიზის მუშაობის პრაქტიკას და შეიმუშავებენ კონკრეტულ წინადადებებს, რომლებიც ხელს უწყობენ საბუღალტრო აღრიცხვის გაუმჯობესებას, სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფას და ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილებას;

ე) შეიმუშავებენ და განახორციელებენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საბუღალტრო ექსპერტიზის ხარისხის გაუმჯობესება და მისი ჩატარების ვადების შემცირება.

9. სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს, ამის გარდა ეკისრება:

ა) ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში ფილიალების მუშაობის ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა და კონტროლი;

ბ) მეთოდური მითითებებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების შემუშავება საქართველოს სს რესპუბლიკაში საბუღალტრო ექსპერტიზის საკითხებზე;

გ) ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში ბიუროს ფილიალების საქმიანობის რევიზიებისა და შემოწმების ჩატარება.

III. ბუღალტერ-ექსპერტის უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

10. ბუღალტერ-ექსპერტებად შეიძლება იყვნენ საბუღალტრო აღრიცხვის უმაღლესი საფინანსო ან ეკონომიური განათლების მქონე კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ საბუღალტრო აღრიცხვის დარგში მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 5 წლისა.

არასაშტატო ბუღალტერ-ექსპერტების შემადგენლობაში შეიძლება ჩარიცხულ იქნან ისეთი პირები, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, თუ ისინი მუშაობენ სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ან არიან პენსიონერები.

საშტატო და არასაშტატო ბუღალტერ-ექსპერტთა შემადგენლობაში ჩარიცხვა ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული კომისიის გადაწყვეტილებებით, სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს წარდგენით.

11. საბუღალტრო ექსპერტიზა მოკვლევის, წინასწარი გამოძიების სტადიაში, სასამართლოსა და არბიტრაჟში ტარდება საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედი სისხლის სამართლის და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების საფუძველზე და მათი დაცვით.

12. საბუღალტრო-ექსპერტიზის წარმოების მეთოდიკის საკითხებზე ბუღალტერ-ექსპერტები ხელმძღვანელობენ საბუღალტრო აღრიცხვის დარგში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებული ნორმატიული აქტებით, აგრეთვე სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს მეთოდური მითითებებით.

13. ბუღალტერ-ექსპერტს უფლება არა აქვს:

ა) შეუდგეს საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარებას ისე, თუ არა აქვს მიღებული სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს ან მისი ფილიალის დავალება;

ბ) ჩაატაროს დოკუმენტაციასთან და ანგარიშგებასთან დაკავშირებული საბუღალტრო ექსპერტიზები დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სადაც იგი მსახურობს, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა, საწარმოებსა და ორგანიზაციებში ან იმ დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სადაც იგი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მუშაობდა;

გ) მოიწვიოს გარეშე პირები მასზე დაკისრებული საბუღალტრო ექსპერტიზაში მონაწილეობის მისაღებად;

დ) აძლიოს დასკვნები ისეთ საკითხებზე, რომელთა მიმართ მას არ გააჩნია სპეციალური ცოდნა საბუღალტრო აღრიცხვის დარგში.

14. საბუღალტრო აღრიცხვის ჩატარების წესისა და ვადების დარღვევისათვის, აგრეთვე სხვა დარღვევებისათვის, თუ ეს დარღვევები თავისი ხასიათის მიხედვით არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, შტატის ბუღალტერ-ექსპერტებს დაედებათ დისციპლინური სასჯელი დადგენილი წესით.

არასაშტატო ბუღალტერ-ექსპერტებს ამავე დარღვევისათვის ჩამოერთმევათ ექსპერტიზის წარმოების უფლება ექვს თვემდე ვადით ან გაირიცხებიან ბიუროს, ან მისი ფილიალების აღრიცხვაზე მყოფ ბუღალტერ-ექსპერტთა შემადგენლობიდან.

15. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დასკვნის მიცემა პირველადი, დამატებითი ან განმეორებითი დოკუმენტური რევიზიის წინასწარ ჩაუტარებლად, აგრეთვე თუ არ მოიპოვება საკმაო მასალები დაყენებული საკითხების გადასაწყვეტად, — ბუღალტერ-ექსპერტი შეადგენს აქტს იმის შესახებ, რომ შეუძლებელია დასკვნის მიცემა.

IV. ბუღალტერ-ექსპერტების შრომის ანაზღაურების და საბუღალტრო ექსპერტიზის დამნიშვნელ ორგანოებთან ანგარიშსწორების წესი

16. იმ საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარებისათვის შრომის ანაზღაურება, რომელიც სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს ან მისი ფილიალის დავალებით შეასრულა ბუღალტერ-ექსპერტმა, რომელიც შტატში არ ირიცხება, წარმოებს ერთი საათის მუშაობისათვის 60 კაპიკის ანგარიშით. საზღაურის გადიდებული ოდენობა, მაგრამ არა უმეტეს ერთი მანეთისა ერთი საათის მუშაობისათვის, დაიშვება, თუ ექსპერტიზა მოხდა ბუღალტერ-ექსპერტის მუდმივი სამუშაო ადგილის (საცხოვრებელი ადგილის) გარეთ.

თუ ექსპერტიზის ჩასატარებლად მოწვეული არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და სამუშაოც განსაკუთრებით რთულია, ექსპერტიზის დამნიშვნელ ორგანოსთან შეთანხმებით შეიძლება დაწესდეს საზღაურის ოდენობა 2 მანეთამდე ერთი საათის მუშაობისათვის.

17. იმ ბუღალტერ-ექსპერტის მიერ შესრულებულ სამუშაოს, რომელიც შტატში არ იმყოფება, აანაზღაურებს ბიურო საბუღალტრო ექსპერტიზის დამთავრებისას, თანახმად ამის მიერ წარმოდგენილი ცნობისა საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარებაზე ფაქტიურად დახარჯული დროის შესახებ, რომელიც გაცემულია ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანოს მიერ, მაგრამ არაუმეტეს დავალებაში აღნიშნული საათების რაოდენობისა და სატარიფო განაკვეთისა ერთი საათის მუშაობისათვის, ამ დებულების მე-5 პუნქტის შესაბამისად.

18. არასაშტატო ბუღალტერ-ექსპერტის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება, როდესაც მან საბუღალტრო ექსპერტიზა ჩაატარა მისი მუდმივი სამუშაო ადგილის გარეთ, წარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 2 ივლისის № 410 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

19. სახსრებს, რაც ბიუროს ან მის ფილიალებს ერგებათ ბუღალტერ-ექსპერტების მიერ ექსპერტიზის ჩატარებისათვის, გადარიცხავენ შტატის ბუღალტერ-ექსპერტების მუშაობისათვის წარდგენილი ანგარიშებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო არასაშტატო ბუღალტერ-ექსპერტების მუშაობისათვის — სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს სპეციალური სახსრების მიმდინარე ანგარიშებზე:

ა) საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეებზე — მათთვის ამ მიზნით გამოყოფილ ასიგნობათა და იმ თანხების ანგარიშში, რომლებსაც მხარეები შეიტანენ;

ბ) არბიტრაჟის ორგანოებში გადასაწყვეტ საქმეებზე — არბიტრაჟი იმ სახსრების ანგარიშში, რომლებსაც მისი გადაწყვეტილებებით გადაახდევინებენ რომელიმე მხარეს.

20. ბიურო და მისი ფილიალები ყოველ ცალკე შემთხვევაში უგზავნიან ექსპერტიზის დამნიშვნელ ორგანოს ცნობას საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ, ზემოაღნიშნული ფასდების შესაბამისად, რათა შეტანილ იქნას ეს თანხა სასამართლოს ხარჯებში, რომლებიც გადახდევინებულ უნდა იქნას სახელმწიფოს შემოსავალში.

21. ინსტრუქციას ამ დებულების შეფარდების შესახებ გამოსცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია საქართველოს სსრ პროკურორთან, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით.

22. სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს და მისი ფილიალების შენახვის ხარჯები გაიწევა საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

23. ბიუროს სტრუქტურას, შტატებსა და ხარჯთაღრიცხვებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია.

24. სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიურო იმყოფება დამოუკიდებელ ბალანსზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიუროს უფროსი არის კრედიტის განმკარგულებელი, იგი [illegible] ბრძანებებს ბიუროსადმი, განაგებს ბიუროს მატერიალურ და ფულად სახსრებს, დადებს ხელშეკრულებებს და გახსნის ანგარიშებს საკრედიტო დაწესებულებებში.

25. სახელმწიფოს საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს და მის ფილიალებს აქვთ ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

---

126 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 30 აპრილის № 341 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 30 აპრილის № 341 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 22 მაისის № 563 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „მუშათა მომარაგების განყოფილებათა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 მარტის № 188 დადგენილების მე-2 პუნქტის ქვეპუნქტი „თ“.

2. პუნქტი 6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 4 მარტის № 229 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მიერ გამომუშავებული სამკერვალო ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 7 მარტის № 130 დადგენილება „მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის საწარმოს ფონდის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მოქმედების კომუნალურ და ავტოსატრანსპორტო საწარმოებსა და მეურნეობებზე გავრცელების თაობაზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. **თბილისი**, 1965 წ. 6 აგვისტო, № 481.

ეროვნული ბიბლიოთეკა

127 არასაცხოვრებელი სადგომებისათვის საიჯარო ქირის გადახდევინების მოწესრიგების შესახებ

ამონაკრები

საბინაო მეურნეობაში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და მისი შემოსავლიანობის გადიდების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს გააძლიერონ კონტროლი იმისადმი, რომ სწორად იქნას შეფარდებული საიჯარო ქირის განაკვეთები და განისაზღვროს წილი მოიჯარეთა მონაწილეობისა მართვა-გამგეობის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე ხარჯებში, რაც საერთოა მთელი საბინაო მეურნეობისათვის, რომ გაუმჯობესდეს იჯარით გასაცემი არასაცხოვრებელი სადგომების მდგომარეობა, აგრეთვე დროზე გაფორმდეს და ხელახლა დაიდოს ხელშეკრულებანი მოიჯარეებთან.

იმ ცალკე მდგომი არასაცხოვრებელი შენობების გადაცემა საბინაო მეურნეობის ძირითადი ფონდების შემადგენლობაში, რომლებსაც იყენებენ სხვა ორგანიზაციების (კლუბები, თეატრები, კულტურის სასახლეები და ა. შ.) საჭიროებისათვის, მოხდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი შეიტანენ საიჯარო ქირას იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს ამ შენობათა ამორტიზაციის ხარჯების სრულ დაფარვას.

2. დაწესდეს, რომ არასაცხოვრებელი სადგომების მოიჯარეთა განთავისუფლება საიჯარო ქირისაგან, აგრეთვე ამ გადასახდელთა ოდენობის შემცირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 7 აგვისტო, № 487.

ეროვნული ბიბლიოთეკა

128 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საკოლმეურნეო ბაზრებში ვაჭრობის წესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საკოლმეურნეო ბაზრებში ვაჭრობის წესები, წარმოდგენილი საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის 1965 წლის 22 მაისის № 55 ბრძანების თანახმად, ძალადაკარგულად ითვლება საკოლმეურნეო ბაზრებში ვაჭრობის ტიპობრივი წესები, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1939 წლის 4 მარტის № 110 ბრძანებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 12 აგვისტო, № 495.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 12 აგვისტოს № 495
დადგენილებით

წესები

ვაჭრობისა რესპუბლიკის საკოლმეურნეო ბაზრებში

1. საკოლმეურნეო ბაზრებს ქალაქებში, დაბებში, რაიონულ ცენტრებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში მოაწყობენ სასოფლო, სადაბო საბჭოებისა და ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოების წარდგენით და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს თანხმობით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები; ამ ბაზრების ძირითადი ამოცანაა უზრუნველყონ ყველაზე ხელსაყრელი პირობები იმისა, რომ კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და სხვა მოქალაქეებმა გაყიდონ სასოფლო-სამეურნეო და სხვა პროდუქციის ნამეტი, აგრეთვე შეუქმნან მოსახლეობას ამ პროდუქციის შესყიდვისათვის საჭირო ხელსაყრელი პირობები.

საკოლმეურნეო ბაზრებში ნებადართულია მხოლოდ საცალო ვაჭრობა.

2. საკოლმეურნეო ბაზრებში შეუძლიათ ივაჭრონ:

ა) კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და სხვა მოქალაქეებს — თავიანთი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტებით, ნადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობის დადგენილი წესების შესაბამისად მოპოვებული გარეული ნადირ-ფრინ-ველით, გარეული ცხოველის ხორცით, გარეული ხილით, კენკრით, სოკოთი, ყვავილითა და სხვა პროდუქციით;

ბ) სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებს — სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მეცხოველეობის და კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან შესყიდული სხვა პროდუქტებით ყველა ქალაქსა და მუშათა დაბაში შესაბამისი კოოპერაციული ორგანიზაციის გამგეობის მიერ დამტკიცებულ ფასებში;

გ) სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებს თავიანთი მოქმედების რაიონებში — სასურსათო და სამრეწველო საქონლით;

დ) შინამრეწველებს — შინამრეწველური ნაკეთობებით, რომელთა დამ-ზადებისა და გაყიდვის შესახებ მათ ექნებათ საქართველოს სსრ საფინანსო ორგანოების მიერ გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა.

3. 16 წლამდე ასაკის ბავშვებს ეკრძალებათ საკოლმეურნეო ბაზრებში ვაჭრობა.

4. გამსვლელ ვაჭრობას საკოლმეურნეო ბაზრებში სახელმწიფო და კოო-პერაციული სავაჭრო საწარმოები მათი მოქმედების რაიონის გარეთ აწარმოე-ბენ მხოლოდ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ნებართვით, ავტო-ნომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში კი — ვაჭრობის შესაბამისი სამინისტრო-ებისა და აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების ნებართვით.

5. არამარცვლეულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ორგანიზაციები და საწარმოები, რომლებსაც ნებადართული აქვთ შეისყიდონ ეს პროდუქტები საკოლმეურნეო ბაზრებში, შეისყიდიან დადგენილი წესით.

6. ბაზრის მუშაკებს ეკრძალებათ იმ პროდუქტების გაყიდვა, რომლებიც კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და სხვა მოქალაქეებს ეკუთვნით. პრო-დუქტების შესყიდვა მათი გადაყიდვის მიზნით ისჯება სისხლის სამართლის წესით. მასალები იმ პირების მიმართ, რომლებიც მხილებული არიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვაში მათი გადაყიდვის მიზნით, გადაეცემა საგამომძიებლო ორგანოებს.

7. ბაზრის ადმინისტრაციას და სხვა მუშაკებს უფლება არა აქვთ მოსთხო-ვონ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და სხვა მოქალაქეებს ისეთი ცნობე-ბის წარდგენა, რომლებიც ადასტურებენ, რომ პროდუქცია, რასაც ისინი ჰყი-დიან, მათ ეკუთვნით.

8. კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და სხვა მოქალაქეები საკოლმეურ-ნეო ბაზრებში თავიანთ პროდუქციას ჰყიდიან ამ ბაზრებში შექმნილ ფასებში.

საკოლმეურნეო ბაზრებში რაიმე სხვა ფასების დაწესება იმ პროდუქცია-ზე, რომელსაც კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და სხვა მოქალაქეები ჰყი-დიან, აგრეთვე ამ პროდუქციის ფასების რეგულირება ადმინისტრაციული წესით — აკრძალულია.

9. საკოლმეურნეო ბაზრებში ვაჭრობის დროს დააწესებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები იმის გათვალისწინებით,

№ 4 ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ხელსაყრელი პირობები შეუქმნან მოსახლეობას, რომელიც საკოლმეურნეო ბაზრების მომსახურებით სარგებლობს.

სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოები, რომლებიც განლაგებული არიან საკოლმეურნეო ბაზარში, ვაჭრობას ეწევიან საკოლმეურნეო ბაზრებისათვის დაწესებულ საათებში.

10. ბაზარში მოვაჭრეებს ერთჯერად გამოსაღებს გადაახდევინებს ბაზრის დირექცია დადგენილი წესით დამტკიცებული განაკვეთების მიხედვით. სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებს საკოლმეურნეო ბაზარში ვაჭრობისათვის ერთჯერადი გამოსაღები არ გადახდებათ. ეს გამოსაღები აგრეთვე არ გადახდებათ კოლმეურნეობებს, რომლებსაც ბაზარში უკავიათ მათთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილები ან სადგომები ბაზრის დირექციასთან დადებული ხელშეკრულებებით.

11. ბაზრის დირექცია განსაზღვრული საფასურის გადახდით გაუწევს ბაზარში კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და სხვა მოქალაქეებს სხვადასხვა მომსახურებას, როგორიცაა:

ა) ხორცის დაჭრა;

ბ) სასწორების, საწონების, ზომითი ტოლჩების, ჩანგლების, ფარდულების და სხვა სავაჭრო ინვენტარისა და სანიტარული ტანსაცმლის (წინსაფარი, კურტაკი, სამკლაური) მიქირავება;

გ) პროდუქტების აწონა სასაქონლო სასწორებზე.

დ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და მოვაჭრეთა პირადი ნივთების შენახვა სპეციალურ სადგომებში (მაცივრები, საყინულეები, ბოსტნეულსაცავები და სხვ.) და სავაჭრო სადგომებში;

ე) პროდუქტების გადაზიდვა ვაჭრობის ადგილზე;

ვ) ადგილებით უზრუნველყოფა ბაზრებთან არსებულ სასტუმროებში.

მომსახურების საფასურის გადახდა მოხდება დადგენილი წესით დამტკიცებული განაკვეთების მიხედვით.

12. ერთჯერად გამოსაღებს და მომსახურების საფასურს ჩაიბარებს ბაზრის სალარო ან მათი ამკრეფი იმ ანგარიშით, რომ გადამხდელს მიეცეს საკასო ჩეკი გაბათილებული სახით ან დაწესებული ნიმუშის ქვითარი, ხოლო შესანახად მიღებულ პროდუქტებზე — ზედნადებიც.

ერთჯერადი გადასახადის გადახდის და მომსახურების საფასურის შეტანის შესახებ საკასო ჩეკების ან ქვითრების გადაცემა სხვა პირებისათვის აკრძალულია.

13. საკოლმეურნეო ბაზრებში ვაჭრობა წარმოებს დადგენილი სანიტარიული წესების დაცვით.

კვების პროდუქტების გაყიდვა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ ხარისხს შეამოწმებს ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზა.

კვების პროდუქტების ხარისხის შემოწმება წარმოებს უფასოდ საკოლმეურნეო ბაზრებთან არსებულ ხორცრძისა და კვების საკონტროლო სადგურებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოსტნეული და ყვავილოვანი კულტურების თესლის გაყიდვა იწარმოებს მეთესლეობის საკონტროლო ლაბორატორიის დასკვნის თანახმად.

14. მოქალაქეები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო და სხვა პროდუქტებით ვაჭრობენ, მოვალენი არიან ისარგებლონ სანიტარიული ტანსაცმლით, რომელსაც ბაზრის ადმინისტრაცია იძლევა, დაიცვან პირადი ჰიგიენის წესები და წესრიგზე და სუფთად იქონიონ გამოყოფილი სავაჭრო ადგილი. აკრძალულია პირადი სანიტარიული ტანსაცმლითა და სავაჭრო ინვენტარით სარგებლობა.

ბაზრის ყველა მუშაკს, რომელსაც საქმე აქვს კვების პროდუქტებთან (ხორცის დამჭრელები, კონტროლიორები, ფულის ამკრეფები, მეკუჭნავეები და სხვ.) მუშაობის დროს უნდა ეცვას სუფთა სანიტარიული ტანსაცმელი და უნდა გადიოდეს სამედიცინო გასინჯვას დადგენილი სანიტარიული წესების შესაბამისად.

15. ბაზრის დირექცია, ვეტერინარული და სანიტარიული ზედამხედველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით, გამოყოფს ბაზარში განსაკუთრებულ იზოლირებულ ადგილებს ცოცხალი პირუტყვისა და ცოცხალი ფრინველის გასაყიდად.

16. სავაჭრო ადგილების, ფარდულებისა და სხვ. განლაგებამ უნდა უზრუნველყოს მყიდველთა თავისუფლად გავლა ბაზარში და ვაჭრობის ადგილებთან მისვლა, სანიტარიული და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა, აგრეთვე ვაჭრობის სათანადო კულტურა.

17. ბაზრის დირექცია მოვალეა:

— მიიღოს ზომები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოზიდვის გაფართოებისა და მათი გაყიდვის მუდმივი გადიდებისათვის;

— უზრუნველყოს კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და სხვა მოქალაქეები სასოფლო-სამეურნეო და სხვა პროდუქტების გასაყიდად საჭირო სავაჭრო ადგილებით;

— აძლიოს იჯარით კოლმეურნეობებს, სახელმწიფო ვაჭრობის, სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებსა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს სადგომები სასურსათო და არასასურსათო საქონლის გასაყიდად, სასადილოების, საჩაიეების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სარემონტო სახელოსნოების, საპარიკმახეროებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოების მოსაწყობად;

— უზრუნველყოს ბაზრებში მოვაჭრე კოლმეურნეები და სხვა პირები სანიტარიული ტანსაცმლით, სავაჭრო ინვენტარით, დაუთმონ მათ სადგომები პროდუქტების შესანახად.

განახორციელოს ღონისძიებანი ბაზრის კეთილმოწყობისა, რეკონსტრუქციისა და რემონტისათვის, უზრუნველყოს სავაჭრო ადგილების გადიდება და შექმნას საჭირო პირობები ვაჭრობის კულტურის დონის ამაღლებისა და ბაზრის შენახვისათვის სათანადო სანიტარიულ მდგომარეობაში;

— უზრუნველყოს ბაზარში მოვაჭრე პირთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება;

— განახორციელოს იმისადმი კონტროლი, რომ ბაზარში მოქალაქეებმა დაიცვან საკოლმეურნეო ბაზრებში ვაჭრობის წესები, სანიტარიული წესები, აგრეთვე ცალკეული საქონლით ვაჭრობის წესები.

18. საკოლმეურნეო ბაზრებში აკრძალულია:

ა) მაგარი სასმელების გაყიდვა, გარდა გლეხური გამომუშავების ყურძნის ღვინისა.

წამლეულ მცენარეთა გაყიდვა მოქალაქეების მიერ.

19. საკოლმეურნეო ბაზრებში ვაჭრობის წესები, აგრეთვე განცხადებები ვაჭრობის დროის, ერთჯერადი გამოსაღებისა და მომსახურების საფასურის განაკვეთების შესახებ გამოიკვრება ბაზრებში თვალსაჩინო ადგილას.

20. ბაზრებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და იმისადმი მკაცრი კონტროლის გაწევას, რომ ადგილი არ ექნეს პროდუქტების შესყიდვას მათი გადაყიდვის მიზნით, განახორციელებენ მილიციის ორგანოები და ბაზრის ადმინისტრაცია საზოგადოებრიობისა და სახალხო რაზმების ფართო მონაწილეობით.

---

129 საქართველოს სს რესპუბლიკაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და ღორის ჯიშების დარაიონების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნაწილობრივ შესაცვლელად მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, ღორისა და ცხენის ჯიშობრივი დარაიონების გეგმისა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 26 აგვისტოს № 542 დადგენილებით და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 8 მაისის № 310 დადგენილებისა ცხვრის ჯიშობრივი დარაიონების შესახებ, — მიღებულ იქნას და დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებთან და მოწონებული საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ საქართველოს სს რესპუბლიკაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და ღორის ჯიშების დარაიონების შესახებ, №№ 1, 2 და 3 დანართების[1] თანახმად.

1) — არ არის მოყვანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აეკრძალოს ყველა სასოფლო-სამეურნეო და სხვა ორგანოებსა და მეურნეობებს არადარაიონებული ჯიშის სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის შემოყვანა საქართველოს სს რესპუბლიკაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 27 აგვისტო, № 533.

130 იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის შუამდგომლობანი იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების დაწესების შესახებ.

ნება დაერთოს საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს თავისი სახსრებიდან ყოველწლიურად გასცეს ორი ფულადი პრემია: პირველი — ექვსასი მანეთის, ხოლო მეორე — ოთხასი მანეთის ოდენობით, პედაგოგიკის მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამოქვეყნებული საუკეთესო ნაშრომებისა და ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოების შედგენისათვის.

2. დამტკიცდეს დებულება ი. გოგებაშვილის სახელობის პრემიების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 20 აგვისტო, № 534.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭ
1965 წლის 30 აგვისტოს № 534
დადგენილებით

დებულება

იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების მინიჭების შესახებ

1. იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიებს ყოველწლიურად ანიჭებ საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდ უმი პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის, ცალკეული საგნების სწავლებ მეთოდიკის, სასკოლო ჰიგიენის, პედაგოგიური ფსიქოლოგიის და სწავლა-აღ რდის ცალკეულ აქტუალურ საკითხებზე გამოქვეყნებული საუკეთესო ნაშრო მებისა და ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სკოლებისათვის შედგენილ სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების ავტორებს.

2. შრომები შეიძლება წარმოდგენილ იქნას ააქართველოს სსრ განათლ ების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტ ტუტის, რესპუბლიკის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტების, საქართველ ოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუ ტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასკოლო კოლექტივების, საქ ართველოს პედაგოგიური საზოგადოების საოლქო, რაიონული და საქალაქ განყოფილებების, ავტორთა კოლექტივებისა და ცალკეულ პირთა მიერ.

3. საპრემიოდ შეიძლება წარმოდგენილ იქნას წინა კალენდარულ წელს გამოქვეყნებული შრომა.

შრომა წარმოდგენილი უნდა იყოს 3 ეგზემპლარად და თან უნდა ჰქონ დეს დართული წარდგინება, რეცენზირება და შეფასება-დასკვნები.

4. იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიაზე წარდგენილი შრომების განხილვისა და შეფასებისათვის შეიქმნება კომისია, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

5. საპრემიო შრომა წარწერით „იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად“ წარდგენილ უნდა იქნას კომისიაში არა უგვიანეს პრემიის მინიჭების წლის 15 სექტემბრისა. კომისია ვალდებულია განიხილოს შრომები და პრემიის კანდიდატები წარუდგინოს საზოგადოების პრეზიდიუმს არა უგვიანეს პრემიის მინიჭების წლის 1 დეკემბრისა.

პრეზიდიუმი პრემიას მიანიჭებს ამავე წლის არა უგვიანეს 25 დეკემბრისა.

6. პრემიების კომისიის სხდომებს იწვევს კომისიის თავმჯდომარე და სხდომა ითვლება კანონიერად, თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი მაინც.

7. გადაწყვეტილებას პრემიის მისანიჭებლად კანდიდატის წამოყენების შესახებ კომისია ღებულობს ფარული კენჭისყრით ხმების უმრავლესობის საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმის დადგენილება და რეცენზია-დასკვნა შრომებზე, რომელთაც პრემია მიენიჭათ, ქვეყნდება გაზეთ „სახალხო განათლებაში“ და პრესის სხვა ორგანოებში.

9. იმ შემთხვევაში, თუ პრემია მიენიჭება ავტორთა კოლექტივებს, პრემიის ურთიერთგანაწილების საკითხს წყვეტს თვით ეს კოლექტივი.

10. კომისიის საქმეები ინახება საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმში და შემდგომ სათანადო წესით გადაეცემა არქივს.

---

131 საქართველოს სს რესპუბლიკის ტყეების დაცვის ღონისძიებათა გაუმჯობესების შესახებ

ამონაკრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს:

ბ) საკოლმეურნეო ტყეების დაცვისა და ტყით სარგებლობის მოწესრიგების მიზნით, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში მყოფი ტყეები, მათი ტერიტორიული განლაგების მიხედვით, გააპიროვნოს სატყეო მეურნეობებსა და სატყეოებზე, რომელთა სპეციალისტების მეშვეობით განახორციელოს საჭირო დახმარება და სისტემატური კონტროლი;

გ) იხელმძღვანელოს ტყის მუდმივი და თანაბარი სარგებლობის პრინციპით და არ დაუშვას ტყის სარგებლობა საექსპლუატაციო უბნებში წლიური სამუალო მატების გადაჭარბებით.

ამოღებულ იქნას საქართველოს სსრ ტყის ჭრის წესებიდან უნებურ-ამორჩევითი ჭრა;

დ) ტყის იმ უბნებში, სადაც წარსულში ჩატარებულია უნებურ-ამორჩევითი ჭრა და სიხშირე დაყვანილია 0,5-მდე ან უფრო ნაკლებია, აკრძალოს ყოველგვარი ჭრა, გარდა სანიტარიულისა, ამასთან აწარმოოს ამ კორომებში სატყეო-საკულტურო სამუშაოები მარადმწვანე ქვეტყის მოსპობით, სატყეო ინსტიტუტის მიერ დადგენილ მექანიზებული წესის გამოყენებით;

ე) გაიყვანოს სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობებიდან ის უწყებანი და პირნი, რომელთაც უნებართვოდ აქვთ დაკავებული მიწის ნაკვეთები.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს თავიანთი მუშაობის პირველი რიგის ამოცანად მიიჩნიონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტყეებში მეურნეობის სწორად წარმოებისა და ტყის დაცვის საქმისადმი ხელმძღვანელობის ძირფესვიანად გაუმჯობესება, რისთვისაც:

ა) ურჩიონ კოლმეურნეობებს, რომელთა ტყეები 50 ჰექტარს აღემატება, აიყვანონ საკოლმეურნეო მეტყევეები, გამოყონ საჭირო რაოდენობით ტყის მცველები მოქმედი დებულების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწყონ რაიონების მიხედვით და 1966 წლის ბოლომდე დაამზადონ საკოლმეურნეო მეტყევეებისა და ტყის მცველთა გადამზადება ტყის მეურნეობის წარმართვის ძირითადი საკითხების გაცნობის მიზნით;

ბ) კონტროლი გაუწიონ საკოლმეურნეო ტყეებიდან მერქნის სწორად გაცემას და სატყეო შემოსავლის დანიშნულებისამებრ ხარჯვას;

გ) ტყის მეურნეობის წარმოებისათვის კოლმეურნეობები და სატყეო მეურნეობები უზრუნველყონ საჭირო იარაღებით, წიგნებით, ჟურნალებითა და სხვა ააღრიცხვო ფორმებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 30 აგვისტო, № 535.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1965 წ.

ზ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

132. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 25 ივნისის № 492 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
133. მრეწველობის მართვის გაუმჯობესებისა და სახელმწიფო მართვის ზოგიერთი სხვა ორგანოს გარდაქმნის შესახებ.
134. სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

135. საქართველოს სსრ სოფელ ადგილებში მცხოვრებ მოსწავლეთა უფასო მგზავრობის შესახებ .
136. მოქალაქეთა პირადი საკუთრების დარაბების შესახებ.
137. იმ კარტოფილისა და ბოსტნეულის ფასების შესახებ, რომლებსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა ორგანიზაციები.
138. სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული ინსპექტურების შესახებ.
139. ადვოკატთა შრომის ანაზღაურების დებულების და საქართველოს სსრ ადვოკატთა მიერ მოსახლეობისათვის, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურების წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.
140. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს პურის სახელმწიფო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

132 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 25 ივნისის № 492 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 25 ივნისის № 492 დადგენილებისა „კოლმეურნეობებში მიწების ძირეულად გაუმჯობესების ხარჯების სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშში გაწევის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 1 აპრილის № 256 დადგენილებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების თაობაზე“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. პუნქტი 15 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის № 455 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის წარმოების შემდგომი გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

2. „შაქრის ჭარხლის წარმოებისა და დამზადების გადიდების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 11 იანვრის № 16 დადგენილების მე-2 პუნქტის ქვეპუნქტი „გ“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ დეფეკატის ანაზღაურებას.

3. „საქართველოს სსრ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ეკონომიკის აღმავლობის ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 5 მაისის დადგენილების მე-11 პუნქტის პირველი აბზაცი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება კოლმეურნეობებში ბიცობი ნიადაგების გათაბაშირებას, აგრეთვე სხვა სამუშაოებს, რომლებიც სრულდება ზედმეტი დატენიანების რაიონებში განლაგებულ კოლმეურნეობათა მიწებზე.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
ვ. მჟავანაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე
ბ. ჩოგოვაძე.

ქ. თბილისი, 1965 წ. 7სექტემბერი, № 549.

ეროვნული ბიბლიოთეკა

133 მრეწველობის მართვის გაუმჯობესებისა და სახელმწიფო მართვის ზოგიერთი სხვა ორგანოს გარდაქმნის შესახებ

მრეწველობის მართვის გაუმჯობესების მიზნით და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 30 სექტემბრის № 728 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

საჭიროდ ჩაითვალოს:

1. შეიქმნას შემდეგი საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და სამმართველოები:

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო;

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო;

საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო;

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო;

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველო;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო;

2. შეიქმნას რესპუბლიკური:

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის კომისია.

3. შეიქმნას საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების კომბინატი „საქქვანახშირი“.

4. გარდაიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტად.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამრეწველო წარმოების განვითარების ტერიტორიული დაგეგმვა მრეწველობის მართვის დარგობრივი პრინციპის დროს, დაწესდეს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების პროექტებს საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის ყველა დარგში, აგრეთვე წინადადებებს იმ საერთო საკავშირო სამინისტროების საწარმოებში პროდუქციის (გარდა თავდაცვისა) წარმოების გეგმების პროექტების გამო, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებიან, შეიმუშავებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი განიხილავს აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ მრეწველობაში დარგთშორისი ხასიათის საკითხებს, რომლებიც გეგმის შესრულების პროცესში წამოიჭრება, და შეიმუშავებს წინადადებებს ამ საკითხებზე.

5. გარდაიქმნას საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტად (საქართველოს სსრ სახმშენი).

6. გარდაიქმნას საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროდ.

7. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ — უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროდ.

8. გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტი და მის ბაზაზე შეიქმნას საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველო.

9. გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, მრეწველობის მართვის ორგანიზაციის საქმეში ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

10. გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი.

* *
*

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დარწმუნებული არიან, რომ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მრეწველობის მუშაკები ორგანიზებულად განახორციელებენ დასახულ ღონისძიებებს და მიაღწევენ ახალ წარმატებებს სამრეწველო წარმოების აღმავლობაში, რათა დაკმაყოფილებულ იქნას სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი მაღალხარისხოვან სამრეწველო პროდუქციაზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 16 ოქტომბერი, № 601.

ეროვნული ბიბლიოთეკა

134 სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილება „სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს კპ საქალაქო, რაიონულ, საოლქო კომიტეტებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, მოაწყონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილების ფართოდ განხილვა სამრეწველო საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, დაგეგმვის სრულყოფას და სამრეწველო წარმოების სტიმულირების ეკონომიური მეთოდების გაძლიერებას, ამასთან მთავარი ყურადღება მიაქციონ ორგანიზატორულ მუშაობას, კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი კონტროლს და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერებას.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს, პრესის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს, სისტემატურად გააშუქონ და ფართოდ განუმარტონ მრეწველობის მუშაკებს, ყველა მშრომელს არსი სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილებისა „სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 16 ოქტომბერი, № 602.

ა ს ო ნ ო ვ ნ ე ლ ი
ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 729

1965 წლის 4 ოქტომბერი

მოსკოვი, კრემლი

სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა წარმატებით ვითარდება ერთიანი საერთო სახელმწიფო გეგმით, რომელიც უზრუნველყოფს და წარმართავს ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის საქმიანობას, საბჭოთა ხალხის კოლექტიურ შრომას.

სოციალისტური მრეწველობა ჩვენი ეკონომიკის საფუძველი და ქვეყნის ძლიერების ბაზაა. მისი განვითარების დონესა და მასშტაბებზე, მისი მუშაობის შედეგებზე დამოკიდებულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წარმატებით ზრდა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლება. შვიდწლიანი გეგმის შესრულების მსვლელობაში მიღწეულია წარმოების მოცულობის მნიშვნელოვანი გადიდება, გაუმჯობესდა მისი სტრუქტურა; ყველაზე მოწინავე დარგები წინმსწრები ტემპებით იზრდება. სამრეწველო წარმოება სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა ჯანსაღ და მტკიცე საფუძველზე ვითარდება.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობის დარგში დასახული ამოცანების განხორციელება მოითხოვს სამრეწველო წარმოების განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფას, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას სახალხო მეურნეობაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

ამ ამოცანების გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი პირობაა სოციალისტური მეურნეობის სისტემის უპირატესობათა უფრო სრულად გამოყენება, მრეწველობის გეგმიანი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება.

მრეწველობაში დაგეგმვისა და სტიმულირების მეთოდებსა და ფორმებს დიდი ნაკლოვანებანი ახასიათებს, ისინი ვერ უპასუხებენ სამეურნეო მშენებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის ახალ მოთხოვნებს, თანამედროვე ტექნიკურ-ეკონომიურ ბაზისებსა და საწარმოო ძალთა განვითარების დონეს.

მრეწველობის გეგმიან ხელმძღვანელობაში მეტისმეტად დიდი ადგილი უჭირავს ადმინისტრაციულ ფორმებსა და მეთოდებს, ხოლო ეკონომიური მეთოდების როლი შემცირებულია. გეგმიანი დავალებანი საწარმოების ყურადღებას უმთავრესად წარმართავენ რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულებისაკენ. დაუსაბუთებლად შეზღუდულია საწარმოების დამოუკიდებლობა წარმოების განვითარებისა და სახელმწიფო გეგმების შესრულების საუკეთესო საშუალებათა გამოძებნის საქმეში.

არ არის შექმნილი მუშაკთა სათანადო მატერიალური დაინტერესება საწარმოს მუშაობის საერთო შედეგების გაუმჯობესებით, თავიანთი შინაგანი რეზერვების გამოყენებით და წარმოების რენტაბელობის ამაღლებით. საკმარისი არ არის საწარმოების პასუხისმგებლობა მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდების ვადების დარღვევისა და დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის.

სამეურნეო ხელშეკრულებამ ჯერ კიდევ ვერ დაიკავა ჯეროვანი ადგილი საწარმოთა ურთიერთობაში. საწარმოებში სამეურნეო ანგარიში მნიშვნელოვანწილად ფორმალურად არსებობს. მოგება, პრემიები, კრედიტი და სხვა ეკონომიური ბერკეტები სუსტად არის გამოყენებული დაგეგმვასა და სამეურნეო საქმიანობაში. დიდი ნაკლოვანებანი ახასიათებს ფასწარმოქმნას.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, გადიდდეს ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპები და ამის საფუძველზე— ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ შეიცვალოს მრეწველობის გეგმიანი ხელმძღვანელობის მეთოდები შემდეგი მიმართულებით:

უზრუნველყოფილ იქნას ცენტრალიზებული სახელმწიფო დაგეგმვის უფრო სწორი შეხამება საწარმოთა ფართო სამეურნეო ინიციატივასთან და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებასთან;

გაფართოვდეს საწარმოთა უფლებანი სრული სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე. წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და საწარმოთა რესურსების ზრდის კვალობაზე გადიდდეს იმ სახსრების ოდენობა, რაც საწარმოთა განკარგულებაში რჩება წარმოების განვითარებისა და მუშაკთა წახალისებისათვის;

შეფასებულ იქნას საწარმოთა საქმიანობის შედეგები რეალიზებული პროდუქციის, მიღებული მოგების (წარმოების რენტაბელობის) და უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის მიწოდების დავალებათა შესრულების მიხედვით;

მრეწველობის მუშაკთა შრომის ანაზღაურება უშუალოდ უნდა შეესაბამებოდეს არა მარტო მათი ინდივიდუალური შრომის შედეგებს, არამედ საწარმოთა მუშაობის საერთო შედეგებსაც;

საწარმოთა ეკონომიურ ურთიერთობას საფუძვლად უნდა დაედოს ურთიერთ მატერიალური პასუხისმგებლობის პრინციპი. განვითარდეს უშუალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირდაპირი ურთიერთობა დამამზადებელ საწარმოებსა და მომხმარებელ შორის. გაძლიერდეს სამეურნეო ხელშეკრულებათა როლი.

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების სისტემები უნდა იწვევდეს საწარმოთა კოლექტივების დაინტერესებას იმით, რომ შეიმუშაონ უფრო დიდი გეგმიანი დავალებანი, რომლებიც ითვალისწინებენ საწარმოო ფონდების, მუშახელის, მატერიალური და ფინანსური რესურსების სრულად გამოყენებას, წარმოების ტექნიკის სრულყოფას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

სამრეწველო წარმოების გეგმიან ხელმძღვანელობაში ეკონომიური მეთოდების როლის ამაღლებასა და საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოებას საფუძვლად უნდა დაედოს ცენტრალიზებული დაგეგმვის შემდგომი სრულყოფა, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება ფინანსების, ფასების, კრედიტისა და შრომის ანაზღაურების დარგში, წარმოების შემდგომი ზრდისა და ეფექტიანობის, სახალხო მეურნეობის პროპორციული განვითარების ინტერესებისათვის. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად გამოვიყენოთ წარმოების სოციალისტური წესის უპირატესობანი და გადაგვიშლის ახალ შესაძლებლობებს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

I. მრეწველობის დაგეგმვის გაუმჯობესებისა და საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოების შესახებ

1. გაძლიერდეს როლი სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმებისა, რომლებიც წარმოადგენენ წარმოების განუხრელი ზრდისა და სრულყოფის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფართოდ დანერგვის, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის დარგებისა და რაიონების განვითარებაში პროპორციულობის უფრო სრული უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს პირობას.

დაწესდეს, რომ ხუთწლიანი გეგმა (როდესაც უმნიშვნელოვანესი დავალებანი წლების მიხედვით ნაწილდება) სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო დაგეგმვის ძირითადი ფორმაა.

ხუთწლიანი გეგმების დავალებანი დაკონკრეტდება და დაზუსტდება წლიური გეგმებით ეკონომიკის განვითარების მიმდინარეობისა და სახალხო მეურნეობის რესურსებსა და მოსახლეობის მოთხოვნილებებში მომხდარ ცვლილებათა გათვალისწინებით.

საწარმოთა ხუთწლიან და წლიურ გეგმებს შეიმუშავებენ თვით საწარმოები ზემდგომი ორგანიზაციის მიერ დაწესებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე.

დამამზადებელი საწარმოები, საკონტროლო ციფრების გათვალისწინებით, დროზე შეუთანხმდებიან მომხმარებელ საწარმოებს ან გამსაღებელ და სავა-

ჭრო ორგანიზაციებს პროდუქციის მოცულობის, ასორტიმენტის, ხარისხი
და მიწოდების ვადების შესახებ და ქმნიან შეკვეთების პორტფელს.

ზემდგომი სამეურნეო ორგანოები განიხილავენ საწარმოთა გეგმებს ამ
უკანასკნელთა მონაწილეობით და შეადგენენ დარგობრივ გეგმებს. გეგმის დამ-
ტკიცებული მაჩვენებლები უნდა ეცნობოს საწარმოებს დასაგეგმავი წლის და-
წყებამდე არა უგვიანეს 2 თვისა.

2. იმ მიზნით, რომ გეგმებში უფრო სრულად აისახოს მეცნიერებისა და
ტექნიკის მიღწევები, დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერე-
ბისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადე-
მიასთან ერთად, სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებათა და მოკავშირე რეს-
პუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შეიმუშაოს და სახალხო-
სამეურნეო გეგმების შედგენამდე დროზე წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინი-
სტრთა საბჭოს წინადადებანი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირი-
თად მიმართულებათა შესახებ, სახალხო მეურნეობაში ისეთი სამეცნიერო-
ტექნიკური მიღწევების გამოყენების შესახებ, რომლებსაც დიდი სახალხო-
სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინი-
სტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებ-
მა ამ წინადადებათა საფუძველზე გაითვალისწინონ ხუთწლიანი და წლიური გეგ-
მებით კონკრეტული დავალებანი და ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყო-
ფენ დიდადეფექტიანი მანქანების, მოწყობილობის, ტექნოლოგიური პროცე-
სების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მეთოდების, ახალი, უფრო ეკო-
ნომიური მასალების შემუშავებასა და დანერგვას სამრეწველო წარმოებაში,
აგრეთვე წარმოების კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.

3. საგეგმო ორგანოების, სამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოების
ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ჩაითვალოს პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივ
გაუმჯობესება, უფრო მწარმოებლური მანქანებისა და მოწყობილობის, ნედ-
ლეულისა და მასალების ისეთ ეფექტურ სახეობათა შექმნა, რომლებიც აკმა-
ყოფილებენ მომხმარებელთა მოთხოვნებს და შეესაბამებიან თანამედროვე
ტექნიკურ დონეს.

ამ მიზნით, ხუთწლიანი და წლიური გეგმებით გათვალისწინებულ იქნას
პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის მაჩვენებლები და საჭირო მატე-
რიალური ფინანსური და შრომითი რესურსები, აგრეთვე ორგანიზაციულ-
ტექნიკური და ეკონომიური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ნა-
კეთობათა საიმედოობას, ხანგამძლეობას და მაღალ სამომხმარებლო თვისებებს.

გაძლიერდეს სახელმწიფო სტანდარტების როლი, როგორც პროდუქციის
ხარისხის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი საშუალება. გაუმჯობესდეს სტან-
დარტები მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გათვალისწინებით და უზ-
რუნველყოფილ იქნას მათი უსწრაფესად დანერგვა. ყოველნაირად გაფართოვ-
დეს საწარმოების მიერ გამოშვებულ ნაკეთობათა საიმედოობის და ხანგამძლე-
ობის გარანტირებისა და გარანტიის ხანგრძლივი ვადების დაწესების პრაქტიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროდ იქნას მიჩნეული პროდუქციის ხარისხის სახელმწიფო ატესტაციის შემოღება.

დაევალოს სსრ კავშირის სტანდარტების, ზომებისა და საზომი ხელსაწყოების სახელმწიფო კომიტეტს შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი პროდუქციის ხარისხის სახელმწიფო ატესტაციის დადგენის წესის შესახებ.

4. საჭიროდ იქნას მიჩნეული გაფართოვდეს სამრეწველო საწარმოების სამეურნეო დამოუკიდებლობა. ამასთან დაკავშირებით, შემცირდეს გეგმის იმ მაჩვენებლების რიცხვი, რომლებსაც ზემდგომი ორგანიზაციები ამტკიცებენ საწარმოებისათვის, და განისაზღვროს ისინი, როგორც წესი, შემდეგი მაჩვენებლებით:

წარმოების დარგში:

სარეალიზაციო პროდუქციის საერთო მოცულობა მოქმედ საბითუმო ფასებში. ცალკეულ დარგებში საჭიროების მიხედვით შეიძლება გამოყენებულ იქნას მაჩვენებელი — გასაგზავნი პროდუქციის მოცულობა;

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქცია ნატურალური გამოხატულებით (მათ შორის საექსპორტო პროდუქცია), პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლების ჩათვლით;

შრომის დარგში — ხელფასის საერთო ფონდი;

ფინანსების დარგში:

მოგების საერთო თანხა და რენტაბელობა (ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრების თანხის მიმართ);

საბიუჯეტო გადასახდელები და ასიგნობანი ბიუჯეტიდან;

კაპიტალური მშენებლობის დარგში:

ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა;

ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეთა გადაცემა საექსპლუატაციოდ ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე;

ახალი ტექნიკის დანერგვის დარგში: — ახალ სახეობათა პროდუქციის წარმოების ათვისებისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის დავალებანი, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ დარგის განვითარებისათვის;

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში — საწარმოსათვის იმ ნედლეულის, მასალებისა და მოწყობილობის მიწოდების მოცულობა, რომლებსაც ზემდგომი ორგანიზაცია ანაწილებს.

საწარმოსათვის დასამტკიცებელი მაჩვენებლები განისაზღვრება წლიურ გეგმაში, როგორც წესი, კვარტალობრივი განაწილებით, ხოლო მაჩვენებლები პროდუქციის წარმოებისა ნატურალური გამოხატულებით განსაკუთრებულ შემთხვევებში განაწილდება აგრეთვე თვეების მიხედვით იმ ხელშეკრულებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათვალისწინებით, რომლებიც საწარმომ დადო პროდუქციის მიწოდების შესახებ.

დაწესდეს, რომ საწარმოთა გეგმების ყველა დანარჩენ მაჩვენებელს ზემდგომი ორგანიზაციები არ ამტკიცებენ; ამ მაჩვენებლებს შეიმუშავებენ თვით საწარმოები და გამოიყენებენ საგეგმო ორგანოები გეგმების შესადგენად საჭირო საანგარიშო მასალად.

დაევალოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, შეიტანოს საჭირო ცვლილებანი საწარმოთა სახელმწიფო სტატისტიკურ ანგარიშგებაში, ამასთან შეინარჩუნოს მასში ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა საერთო პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება, მომუშავეთა რაოდენობა, საშუალო ხელფასი, პროდუქციის თვითღირებულება, ახალი ტექნიკის დანერგვა და სხვა მაჩვენებლები, რომლებიც საჭიროა მრეწველობის მუშაობის ეკონომიური შედეგების ანალიზისა და შეფასებისათვის.

5. დაწესდეს, რომ საწარმოები დამოუკიდებლად გადაწყვეტენ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებს, ამასთან გაითვალისწინებენ სახელმწიფო გეგმის დავალებათა სავალდებულო შესრულებას და კერძოდ:

გეგმავენ წარმოების მოცულობას, პროდუქციის დეტალურ ნომენკლატურას და ასორტიმენტს, თანახმად გეგმიანი დავალებებისა, რომლებსაც საწარმოებს აცნობებენ ზემდგომი ორგანიზაციები, აგრეთვე იმ შეკვეთებისა, რომლებიც საწარმოებმა მიიღეს მომხმარებლებთან ან გამსაღებელ და სავაჭრო ორგანიზაციებთან პირდაპირი ურთიერთობის წესით;

გეგმავენ და ახორციელებენ არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ღონისძიებებს, რომელთა მიზანია წარმოების სრულყოფა, კერძოდ, მოძველებული და ნაკლებად ნაყოფიერი მოწყობილობის შეცვლა, ახალი ტექნოლოგიური პროცესების, კონტროლის მეთოდებისა და საშუალებათა დანერგვა, წარმოების „ვიწრო ადგილების“ აღმოფხვრა და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების ეფექტიანობის გადიდებას;

აწესებენ და აფართოებენ იქ, სადაც ეს მეურნეობრივად მიზანშეწონილია, ხანგრძლივ ურთიერთობას პროდუქციის მომხმარებლებთან და ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელ ნაკეთობათა, მოწყობილობისა და სხვა ნაკეთობათა მიმწოდებლებთან, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების საფუძველზე;

გეგმავენ შრომის ნაყოფიერებას, მუშაკთა რაოდენობას და საშუალო ხელფასს, აწესებენ საწარმოს მართვის ყველაზე რაციონალურ სტრუქტურას;

იყენებენ მოგების ნაწილს და სხვა საშუალებებს, რომლებიც საწარმოების განკარგულებაში რჩება, მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობისათვის, წარმოების განვითარებისა და ტექნიკის სრულყოფისათვის;

განსაზღვრავენ მატერიალური წახალისების ყველაზე რაციონალურ ფორმებს, დაჯილდოების პირობებსა და ოდენობას დარგობრივი, ტიპობრივი დებულებების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმების შემუშავებისა და შესრულების პროცესში საწარმოებმა უნდა უზრუნველყონ წარმოების სისტემატური ზრდა, სახალხო მეურნეობისათვის საჭირო და საექსპორტოდ გასაგზავნი პროდუქციის გამოშვების ყოველმხრივ გადიდების ხარჯზე, განუწყვეტლივ აამაღლონ წარმოების ტექნიკური დონე, აუმჯობესონ პროდუქციის საექსპლუატაციო და სამომხმარებლო თვისებები, შეამცირონ წარმოების ხარჯები, გაადიდონ მოგება და რენტაბელობა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის ნაყოფიერების განუხრელად ამაღლებას, რაც წარმოების ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის აღმავლობის ტემპების დაჩქარების გადამწყვეტი პირობაა.

6. დაევალოთ საგეგმო ორგანოებს, სამეურნეო ორგანიზაციებს და საწარმოებს აამაღლონ გეგმების ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთების დონე, რისთვისაც გულმოდგინედ შეიმუშაონ და უფრო ფართოდ გამოიყენონ დაგეგმვაში პროგრესული ნორმატივები და საბალანსო გაანგარიშებანი — საწარმოო სიმძლავრეთა ყოველწლიური ბალანსები და ამ სიმძლავრეთა ათვისების ნორმატიული ვადები, მოწყობილობის და მექანიზმების მუშაობისა და ნაყოფიერების, ნორმატიული რეჟიმები, მასალების, ნედლეულის, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმები, შრომითი და ფულადი დანახარჯების ნორმატივები, მატერიალური და ღირებულებრივი ბალანსები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით გადასინჯოს დაგეგმვაში გამოსაყენებელი ტექნიკურ-ეკონომიური ნორმატივების სისტემა და შეიმუშაოს მეთოდური მითითებანი სამეურნეო და საგეგმო ორგანოების მიერ ამ ნორმატივების შედგენისა და დამტკიცების წესის შესახებ.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მეთოდურ მითითებათა საფუძველზე, მოაწყონ დარგობრივი ტექნიკურ-ეკონომიური ნორმატივების შემუშავება სათანადო დარგების თავისებურებათა შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ფართოდ დაინერგოს წარმოებაში თანამედროვე ტექნიკის მიღწევები და მოწინავე გამოცდილება.

7. დაევალოთ საგეგმო ორგანოებს და სამეურნეო ორგანიზაციებს უზრუნველყონ საწარმოებისათვის დასაწესებელ გეგმიან დავალებათა სიმყარე, გეგმის ყველა მაჩვენებლის გულმოდგინედ დაკავშირების გზით.

შეწყვიტონ უმართებულო პრაქტიკა დამტკიცებულ გეგმებში ხშირი ცვლილებების შეტანისა, აგრეთვე გეგმის ცალკეული მაჩვენებლების შეცვლისა სხვა მაჩვენებლების სათანადოდ დაზუსტების გარეშე. ზემდგომმა ორგანიზაციებმა საწარმოთა გეგმები შეიძლება შეცვალონ განსაკუთრებულ შემთხვევებში მას შემდეგ, რაც ამ ცვლილებებს წინასწარ განიხილავენ საწარმოს ხელმძღვანელობასთან და იმავდროულად საჭირო შესწორებებს შეიტანენ დადგენილი წესით გეგმის ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებლებსა და ბიუჯეტთან ურთიერთდამოკიდებულებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმებში სავაჭრო ანგარიშ-ღებელი ორგანიზაციების შეკვეთების დასაბუთებული შეცვლით გამოწვეული შესწორებანი შეიძლება შეიტანოს წლის განმავლობაში თვით საწარმომ მოგების დაწესებულ გეგმიან დავალებათა ფარგლებში, ხოლო თუ საჭიროა საბიუჯეტო გადასახდელთა შემცირება, შესწორებანი შეიტანება ზემდგომ ორგანიზაციასთან შეთანხმებით იმ რეზერვების ხარჯზე, რომლებიც მას მოეპოვება, იმ ანგარიშით, რომ არ შემცირდეს საქონლის რესურსები და სახელმწიფოს შემოსავლის მოცულობა.

8. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებათა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების მონაწილეობით შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს პროექტი დებულებისა შესაბამისი პერიოდებისათვის საკონტროლო ციფრების და გეგმიან დავალებათა შედგენის, დამტკიცების და საწარმოებისათვის დაგზავნის წესისა და ვადების შესახებ.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მეთოდურ მითითებათა საფუძველზე, შეიმუშაონ და დაამტკიცონ საწარმოთა ტექნიკური სამრეწველო-საფინანსო გეგმების ფორმები და მათი შედგენის ინსტრუქციები, მრეწველობის შესაბამისი დარგის თავისებურებათა გათვალისწინებით.

9. ხუთწლიანი და წლიური გეგმებით გასათვალისწინებელი სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურის შემუშავება და დამტკიცება დაევალოს:

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — იმ პროდუქციისა, რომელიც შეტანილი იქნება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმაში;

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით — იმ პროდუქციისა, რომელსაც ისინი გეგმავენ.

იმ დასაგეგმავი პროდუქციის ნომენკლატურა, რომლის დავალებებს საწარმოებს უმტკიცებს ზემდგომი ორგანიზაცია, უნდა შემცირდეს, განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონელზე, რომლის წარმოებას უშუალოდ გეგმავს საწარმო მომხმარებელთა შეკვეთების გათვალისწინებით.

10. საწარმოებს შორის, აგრეთვე საწარმოებსა და გამსაღებელ, მომმარაგებელ, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო, დამამზადებელ და სხვა ორგანიზაციებს შორის სამეურნეო ანგარიშის ურთიერთობათა თანმიმდევრულად განხორციელების ინტერესებისათვის დაწესდეს, რომ სამეურნეო ხელშეკრულება არის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს ყველა სახის პროდუქციის მიწოდების დარგში, იმ პროდუქციის ჩათვლით, რომელიც ცენტრალიზებული წესით ნაწილდება. ამის შესაბამისად, როგორც წესი, უარყოფილ იქნას ამჟამად მოქმედი წესი პროდუქციის რეალიზაციისა კვარტალური, თვიური და ერთჯერადი განრიგების მიხედვით, ამასთან მხედველობაში იქნას მიღებული, რომ ცენტრალიზებულად გასანაწილებელი პროდუქციის განრიგები უპირატესად ხელშეკრულებათა დადების საფუძველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელშეკრულებანი პროდუქციის მიწოდების შესახებ უნდა დაიდოს უფინარეს ყოვლისა შექმნილი რაციონალური საწარმოო-სამეურნეო ურთიერთობის შესაბამისად, ამასთან დამამზადებელ საწარმოს არ შეუძლია ამ ურთიერთობის დარღვევა შემკვეთის თანხმობის გარეშე. ცენტრალიზებულად გასანაწილებელი პროდუქციის მიწოდების შესახებ ახალი ურთიერთობანი დამყარდეს შესაბამის გამსაღებელ და მომმარაგებელ ორგანიზაციებთან შეთანხმებით. იქ, სადაც ამას მხარეები მიზანშეწონილად მიიჩნევენ მყარი ურთიერთობის ინტერესებისათვის, სამეურნეო ხელშეკრულებანი დაიდოს რამდენიმე წლით, ისე, რომ ყოველწლიურად დაზუსტდეს პროდუქციის ასორტიმენტი და რაოდენობა, მიწოდების ვადები და სხვა პირობები.

გაძლიერდეს საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალური პასუხისმგებლობა პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის იმ ანგარიშით, რომ როგორც წესი, ანაზღაურებულ იქნას მიყენებული ზარალი. დაწესდეს, რომ ზარალის, ჯარიმებისა და საურავის ანაზღაურების ხარჯები მიეკუთვნება იმ საწარმოთა ან ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, რომელთა მიზეზით დარღვეულია ხელშეკრულება.

გაძლიერდეს სარკინიგზო, წყალთა, საავტომობილო და სხვა სატრანსპორტო ორგანიზაციების მატერიალური პასუხისმგებლობა საწარმოებიდან პროდუქციის დროულად გატანისა და მომხმარებლებამდე მიტანის დაგვიანებისათვის, აგრეთვე პროდუქციის გადაზიდვის დროს მისი დაცვა-შენახვისათვის.

დაწესდეს საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მატერიალური პასუხისმგებლობა მათ მიერ პროექტებსა, ტექნოლოგიურ სქემებსა და კონსტრუქციებში დაშვებული დეფექტებისათვის, რომლებმაც გამოიწვიეს ზარალი და დამატებითი ხარჯები მშენებლობასა და საექსპლუატაციოდ გადაცემული ობიექტების ათვისებაში.

დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი შესაბამის დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის სამრეწველო, სატრანსპორტო, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, აგრეთვე ამ ორგანიზაციათა თანამდებობის პირების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

11. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროდ ჩაითვალოს:

ა) შემუშავდეს საწარმოებს შორის ხანგრძლივი დროით დასამყარებელ პირდაპირ ურთიერთობათა რაციონალური სქემები, ამასთან შეიქმნას საზოგადოებრივი შრომის ყველაზე მიზანშეწონილი ტერიტორიული და დარგობრივი განაწილება და უზრუნველყოფილ იქნას რაც შეიძლება ნაკლები ხარჯების გაწევა პროდუქციის წარმოებასა და მის ტრანსპორტირებაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შემდგომ გაფართოვდეს მოხმარების რაიონებში სისტემა საწარმოთა მომარაგებისა მატერიალური რესურსებით ტერიტორიული მომმარაგებელი და გამსაღებელი ბაზების მეშვეობით და მოეწყოს წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობა;

გ) განმტკიცდეს სამეურნეო ანგარიში მომმარაგებელი და გამსაღებელი ორგანოების საქმიანობაში, გაძლიერდეს მათი მატერიალური დაინტერესება და პასუხისმგებლობა საწარმოებს შორის რაციონალური სამეურნეო ურთიერთობის ორგანიზაციისათვის, სახალხო მეურნეობის შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველყოფისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვადობის დაჩქარებისათვის.

დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებათა და შესაბამისი რესპუბლიკური ორგანოების მონაწილეობით, სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ კონკრეტული წინადადებანი აღნიშნული მიმართულებებით მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციისა და დაგეგმვის გაუმჯობესების შესახებ.

II. საწარმოთა ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების შესახებ

12. საჭიროდ ჩაითვალოს მოგების როლის გაძლიერება საწარმოთა ეკონომიურ სტიმულირებაში და მუშაობის საუკეთესო შედეგების მიღწევით საწარმოთა კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების მატერიალური დაინტერესების ამაღლების საქმეში. იმ მოგების ოდენობა, რაც საწარმოთა განკარგულებაში რჩება, უნდა იყოს დამოკიდებული მათი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებაზე.

მოგება უნდა წარმოადგენდეს საწარმოთა ფონდების შექმნის, საკუთარ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების, საწარმოთა საბრუნავი სახსრების მატების და სხვა დანახარჯების წყაროს.

13. დაწესდეს, რომ საწარმოების განკარგულებაში მოგებისა და სხვა საკუთარი რესურსების ხარჯზე შეიქმნება:

ა) მატერიალური წახალისების ფონდი;

ბ) სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი;

გ) წარმოების განვითარების ფონდი.

აღნიშნული ფონდების გამოუყენებელი ნაშთები გადადის შემდეგი წლისათვის და საწარმოდან მათი ამოღება არ შეიძლება.

14. მატერიალური წახალისების ფონდი განკუთვნილია საწარმოების მუშაკთათვის პრემიების მისაცემად, საწარმოების მუშაობის წლიური შედეგებისათვის დასაჯილდოებლად, აგრეთვე მუშაკებისათვის ერთდროული დახმარების გასაწევად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი გამოიყენება საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და კაპიტალური რემონტისათვის, აგრეთვე საწარმოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

საწარმოებს შეუძლიათ გამოიყენონ აღნიშნული ფონდის სახსრები საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებათა ერთობლივ მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობისათვის.

დაწესდეს, რომ მთელი საცხოვრებელი ფართობი, რომელიც აშენებულია სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე, გამოყენებული იქნება საწარმოს მუშაკთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად და ამ ფართობს გაანაწილებს თვით საწარმო, რასაც შემდგომ აცნობებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

16. წარმოების განვითარების ფონდი განკუთვნილია ახალი ტექნიკის დანერგვის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მოწყობილობის მოდერნიზაციის, ძირითადი ფონდების განახლების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად, აგრეთვე წარმოების განვითარების სხვა ღონისძიებებისათვის, რომელთა მიზანია ახალი სახეობის ნაკეთობათა ათვისება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და მისი ხარისხის გაუმჯობესება, წარმოების რენტაბელობის ამაღლება.

ეს ფონდი შეიქმნება საწარმოს მოგების ანარიცხებისაგან, იმ საამორტიზაციო ანარიცხთა ნაწილისაგან, რომლებიც განკუთვნილია ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის და მწყობრიდან გამოსული და ზედმეტი ქონების (ძირითადი ფონდების) რეალიზაციის ამონაგებისაგან.

წარმოების განვითარების ფონდში გადასაცემ საამორტიზაციო ანარიცხთა ოდენობას დააწესებენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო დიფერენცირებულად, მრეწველობის დარგების მიხედვით, ძირითადი ფონდების მთლიანად აღსადგენად განკუთვნილ საამორტიზაციო ანარიცხთა 30-დან 50 პროცენტამდე ფარგლებში, ძირითადი ფონდების სტრუქტურის, ტექნიკური მდგომარეობისა და დარგის განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით.

წარმოების განვითარების ფონდში მოგების ანარიცხები შეიტანება იმ ნორმატივების კვალობაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმით გათვალისწინებული მოცულობის ან მოგების ოდენობის (შესადარებ ფასებში) და რენტაბელობის დონის გადიდების მიხედვით. დაწესდება სტაბილური ნორმატივები მთელი რიგი წლებისათვის აღნიშნული მაჩვენებლების საფუძველზე ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულების პროცენტულად მრეწველობის დარგების მიხედვით, ხოლო საჭირო შემთხვევებში — საწარმოთა ჯგუფების მიხედვით, აგრეთვე ფონდების შემადგენლობისა და ასაკის გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარალით დაგეგმილ საწარმოებში წარმოების განვითარების ფონდი შეიქმნება ზარალიანობის დონის შემცირებით (რეალიზებული პროდუქციისა და მომსახურების ფაქტიურ მოცულობაზე გადაანგარიშებით) მიღებული ეკონომიის (წინა წელთან შედარებით) ნაწილის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხების ნაწილის და მწყობრიდან გამოსული და ზედმეტი ქონების რეალიზაციის ამონაგების ხარჯზე.

დაევალოთ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებათა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით:

ა) მოამზადონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ მრეწველობის დარგების მიხედვით წარმოების განვითარების ფონდში მოგების ანარიცხთა ნორმატივების პროექტი, ამასთან გაითვალისწინონ, რომ აღნიშნული ნორმატივები საჭირო შემთხვევებში შეიძლება დიფერენცირებულ იქნან სამინისტროებისა და უწყებათა მიერ საწარმოთა ჯგუფების მიხედვით;

ბ) დამტკიცდეს ინსტრუქცია წარმოების განვითარების ფონდის შექმნისა და მისი სახსრების გამოყენების წესის შესახებ.

17. დაწესდეს, რომ კაპიტალური დაბანდებანი, შექმნილი წარმოების განვითარების ფონდისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის, აგრეთვე ბანკების კრედიტის ხარჯზე, მთლიანად უნდა იქნას უზრუნველყოფილი სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმაში საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და ხელფასის ფონდით და შეტანილი საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებში (იმ მშენებლობის ნაწილში, რომელიც საიჯარო წესით ხორციელდება).

18. დადგენილ იქნას საამორტიზაციო ფონდის გამოყენების შემდეგი წესი:

ა) საამორტიზაციო ანარიცხების ნაწილი, რომელიც განკუთვნილია კაპიტალური რემონტისათვის, რჩება საწარმოს განკარგულებაში პირდაპირი დანიშნულებით გამოსაყენებლად. ნება დაერთოს საწარმოებს ხარჯონ ეს სახსრები, აგრეთვე ძირითადი ფონდების მოდერნიზაციისათვის, კაპიტალური რემონტისათვის საჭირო დეტალების, კვანძების და ახალი მოწყობილობის შესაძენად, ნაცვლად მოძველებულისა, რომლის კაპიტალური რემონტი ეკონომიურად მიზანშეწონილი არ არის.

უფლება მიენიჭოთ ზემდგომ ორგანიზაციებს შექმნან კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე რეზერვი ამ ანარიცხების საერთო მოცულობის 10 პროცენტამდე იმ საწარმოებში გამოსაყენებლად, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმაო საკუთარი სახსრები კაპიტალური რემონტის განსახორციელებლად;

ბ) ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხები, ამ დადგენილების მე-16 პუნქტის შესაბამისად დაწესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ოდენობით, რჩება საწარმოს განკარგულებაში და შეიტანება წარმოების განვითარების ფონდში.

ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხების დანარჩენი ნაწილი, მოქმედი წესის შესაბამისად, გამოიყენება როგორც ცენტრალიზებულ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების წყარო.

19. გაწეულ იქნას ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის სახსრების ანგარიშში საწარმოთა არა მარტო გეგმიანი ხარჯები საკონსტრუქტორო, საცდელი და ახალი სახეობის სამოქალაქო პროდუქციის წარმოების მომზადების სხვა სამუშაოებისათვის, რაც განხორციელებულია პროდუქციის სერიული გამოშვების დაწყებამდე, არამედ ერთდროული დამატებითი ხარჯებიც, რომლებიც დაკავშირებულია მზა ნაკეთობათა ხარისხის ხანგამძლეობის და საიმედოობის გადიდებასთან, აგრეთვე ცალკეული სახის ასათვისებელ ნაკეთობათა მასობრივი წარმოების პირველი წლის გადიდებული ხარჯები (განსხვავება ამ ნაკეთობებზე ფასების დამტკიცების დროს მიღებულ თვითღირებულებასა და მათი მასობრივი წარმოების პირველი წლის თვითღირებულებას შორის).

20. დაწესდეს, რომ საწარმოები, რომელთაც თავისი მიზეზით დაუშვეს მოგების გეგმის შეუსრულებლობა (ზეგეგმითი ზარალი) და ამასთან დაკავშირებით ვერ უზრუნველყვეს საკუთარი საბრუნავი სახსრების შენარჩუნება, მოვალენი არიან აანაზღაურონ საკუთარი საბრუნავი სახსრების შექმნილი დანაკლისი ისეთ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გატარების გზით, რომლებიც უზრუნველყოფენ ზეგეგმითი მოგების (ეკონომიის) მიღებას შემდგომ პერიოდებში, საჭირო შემთხვევებში კი ამ დანაკლისის ასანაზღაურებლად შეამცირონ დროებით (ორ წლამდე) მოგების (ეკონომიის) ანარიცხები საწარმოთა ფონდებში 30 პროცენტამდე.

ამასთან დაკავშირებით:

შეწყდეს საკუთარი საბრუნავი სახსრების იმ დანაკლისის ანაზღაურება ბიუჯეტის ხარჯზე, რომელიც საწარმოების მიზეზით შეიქმნება.

ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს აძლიოს საწარმოებს კრედიტი ორ წლამდე ვადით საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის დროებით შესავსებად მათი ვალდებულებებით, რომ ისინი მიიღებენ კონკრეტულ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის შევსებას.

დაევალოთ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს:

დაადგინონ საბრუნავი სახსრების დანაკლისის შევსების წესი, ამასთან გაითვალისწინონ შეღავათები საექსპლუატაციოდ ახლად გადასაცემი საწარმოებისათვის;

მოამზადონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფილ იქნან სამრეწველო საწარმოები საჭირო საბრუნავი საშუალებებით.

21. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საწარმოთა დაინტერესება ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავ საშუალებათა უკეთ გამოყენებით, დაწეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს საწარმოთა მოგების ანარიცხები ბიუჯეტში ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავ საშუალებათა ღირებულების მიხედვით — საზღაური ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებებისათვის.

მოგების ანარიცხები გადაირიცხოს წარმოების ძირითადი ფონდების, მოქმედ საწარმოებში დაუყენებელი მოწყობილობის ზეგეგმითი, ბანკის მიერ დაუკრედიტებელი მარაგის, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბანკის მიერ დაუკრედიტებელი ნორმირებული მარაგის ღირებულების პროცენტულად (გარდა ზეგეგმითი სეზონური მარაგისა).

განთავისუფლებულ იქნან საექსპლუატაციოდ ახლად გადასაცემი საწარმოები, აგრეთვე მოქმედი საწარმოები ახლად ამუშავებული საამქროების საწარმოო ფონდების ნაწილში, ძირითადი ფონდებისა და საბრუნავ საშუალებათა საზღაურისაგან საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების იმ ვადის განმავლობაში, რაც დაწესებულია დარგობრივი ნორმატივებით.

ნება დაერთოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დააწესონ დროებით, სიმძლავრეთა ათვისების გეგმიანი ვადების ფარგლებში, ძირითადი ფონდებისა და საბრუნავ საშუალებათა გადასახდელების შეღავათები ცალკეული საწარმოებისათვის, რომლებშიაც მოკლე დროის განმავლობაში უნდა გადაეცეს საექსპლუატაციოდ დიდძალი ახალი ძირითადი ფონდები.

ზენორმატიულ მარაგზე გაცემული კრედიტებისათვის (გარდა კრედიტებისა, რომლებიც გაცემულია მატერიალურ ფასეულობათა სეზონურ მარაგსა და წარმოების სეზონურ დანახარჯებზე), ბანკის პროცენტი დაწესდეს ძირითადი ფონდებისა და საბრუნავ საშუალებათა საზღაურის ოდენობის მიხედვით.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებათა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით, განსაზღვრონ ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავ საშუალებათა საზღაურის ოდენობა, მისი შემოღებისა და გადახდევინების წესი, ამასთან გაითვალისწინონ საზღაურის დაწესება ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებებისათვის მრეწველობის იმ დარგებში, სადაც რენტაბელობის დონე იძლევა მისი შემოღების საშუალებას, იმ ანგარიშით, რომ საბითუმო ფასების გადასინჯვის განხორციელების შემდეგ გავრცელდეს ძირითადი ფონდებისა და საბრუნავ საშუალებათა საზღაური მრეწველობის სხვა დარგებზე.

ნება დაერთოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავ საშუალებათა საზღაურის დაწესებული ნორმის ფარგლებში მოახდინონ საჭიროების დროს მისი დიფერენციაცია საწარმოთა ჯგუფების მიხედვით.

*) ამ საზღაურისაგან თავისუფლდებიან ძირითადი საწარმოო ფონდები, რომლებიც შექმნილია განვითარების ფონდის ხარჯზე — ორი წლის განმავლობაში და ბანკის კრედიტის ხარჯზე შექმნილი ფონდები — სესხის დაფარვამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავ საშუალებათა საზღაურის ნორმები (მათი ღირებულების პროცენტულად) დაწესდება მთელი რიგი წლებისათვის, ამასთან ნორმალურად მომუშავე საწარმოს უნდა დაეტოვოს მოგება, რაც საჭიროა საწარმოს ფონდების შესაქმნელად და გეგმიანი დანახარჯების (საკუთარი საბრუნავი სახსრების მატება, კაპიტალური დაბანდება და სხვა) დასაფარავად. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, რომ მომავალში ფონდების საზღაური, რაც წარმოადგენს საწარმოს მოგების (წმინდა შემოსავლის) ნაწილს, უნდა გახდეს საბიუჯეტო გადასახდელთა ძირითადი ფორმა და სახელმწიფოს ცენტრალიზებული საფინანსო რესურსების უმნიშვნელოვანესი წყარო.

22. იმასთან დაკავშირებით, რომ განსაკუთრებით ხელსაყრელ ბუნებრივ და სატრანსპორტო პირობებში მყოფ საწარმოებში შეიქმნება დიფერენციული წმინდა შემოსავალი, დაწესდეს ასეთი საწარმოებისათვის, რომელთა მიმართ არ გამოიყენება საანგარიშსწორებო ფასები, ფიქსირებული (რენტული) გადასახდელები ბიუჯეტში მოგების ხარჯზე.

23. დაწესდეს, რომ ბანკის კრედიტით სარგებლობის პროცენტები მიეკუთვნება საწარმოთა საქმიანობის შედეგებს და არ შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში.

24. დადგენილ იქნას საწარმოს მიერ მიღებული მოგების განაწილების შემდეგი წესი:

ა) მოგებიდან საწარმოს პირველ რიგში შეაქვს ბიუჯეტში ძირითადი ფონდებისა და საბრუნავ საშუალებათა საზღაური და ფიქსირებული გადასახდელები, აგრეთვე იგი იხდის პროცენტებს ბანკის კრედიტისათვის;

ბ) აღნიშნულ გადასახდელთა შეტანის შემდეგ, საწარმოს მოგება მოხმარდება მატერიალური წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის და წარმოების განვითარების ფონდის შექმნას. ამ ფონდებში ანარიცხთა ნორმატივების დასადგენად მიიღება მოგება, რასაც გამოაკლდება ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავ საშუალებათა საზღაური, ფიქსირებული გადასახდელები და ბანკის კრედიტის პროცენტები;

გ) მოგების დარჩენილი ნაწილიდან დაიფარება კრედიტი, რომელიც გაცემულია კაპიტალური დაბანდებებისათვის (გარდა იმ კრედიტისა, რომლის დაფარვა ხდება წარმოების განვითარების ფონდის ხარჯზე), ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებისათვის, საკუთარი საბრუნავი სახსრების მატებისა და სხვა ხარჯებისათვის გეგმით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში, აგრეთვე გადაირიცხება თანხები ფინანსური დახმარების გასაწევ რეზერვში და სხვა მიზნებისათვის, სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. განსხვავება მოგების საერთო თანხასა და აღნიშნულ გადასახდელებსა და ანარიცხებს შორის, აგრეთვე მოგების იმ ნაწილს შორის, რომელსაც გეგმიანი დანახარჯების დასაფარავად იყენებენ, გადაირიცხება ბიუჯეტში მოგების თავისუფალი ნაშთის შენატანის სახით.

დაევალოთ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს პროფესიულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს, სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებათა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით:

ა) მოამზადონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად სამინისტროებისა და უწყებათა რეზერვის შექმნის წესის შესახებ;

ბ) შეიმუშაონ და დაამტკიცონ დებულება მოგების (გეგმიანი და ზეგეგმიანი) განაწილების წესის შესახებ.

III. საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ

25. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს სამრეწველო საწარმოების მუშაკთა მატერიალური დაინტერესება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით, პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მოგების ზრდით, საჭიროდ ჩაითვალოს გადიდდეს მათი შრომის ანაზღაურებაში ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ დამოკიდებულია საწარმოს მუშაობის საერთო შედეგების გაუმჯობესებაზე.

ამის შესაბამისად, სატარიფო განაკვეთების (სარგოს) ცენტრალიზებული წესით პერიოდულად გადასინჯვასთან ერთად, გადიდდეს პრემიების წილი მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხელფასში, აგრეთვე შემოღებულ იქნას გასამრჯელოს მიცემა მუშაკებისათვის საწარმოს მუშაობის საერთო წლიური შედეგების გაუმჯობესებისათვის, მატერიალური წახალისების ფონდის ნაწილის გამოყენების ხარჯზე.

გათვალისწინებულ იქნას გეგმებით, წარმოების მოგების და რენტაბელობის ზრდის შესაბამისად იმ მოგების ოდენობის გადიდება, რაც საწარმოს დაეტოვება მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის.

26. დაწესდეს, რომ მატერიალური წახალისების ფონდში, მოგების ანარიცხების გარდა, შეიტანება იმ პრემიების თანხები, რომლებიც მუშებს ეძლევათ ხელფასის ფონდით.

იმ მიზნით, რომ სტიმულირებულ იქნას მუშაკთა დაინტერესება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით, დამატებით გადაირიცხოს საწარმოს მატერიალური წახალისების ფონდში დაწესებული ნორმების თანახმად იმ მოგების ნაწილი, რომელიც მიღებულია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ფასის დანამატის ხარჯზე, აგრეთვე სახალხო მოხმარების ახალი მაღალხარისხოვანი და გაუმჯობესებული საქონლის რეალიზაციისაგან მიღებული მოგების ნაწილი.

27. მატერიალური წახალისების ფონდში მოგების ანარიცხების ოდენობა განისაზღვრება ნორმატივებით წლიური გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის (ან მოგების ოდენობის) და რენტაბელობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონის გადიდების შესაბამისად. ნორმატივები დაწესდება ხელფასის ფონდის პროცენტულად:

შესადარებ ფასებში პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის (ან მოგების ოდენობის) გადიდების ყოველ პროცენტში, რომელიც გათვალისწინებულია მოცემული წლის გეგმით, გასულ წელთან შედარებით;

რენტაბელობის ყოველ პროცენტში, რაც გათვალისწინებულია წლიური გეგმით.

ნორმატივები გათვალისწინებულია სტაბილური მთელი რიგი წლებისათვის და დიფერენცირებულია დარგების მიხედვით (ხოლო საჭიროების შემთხვევაში — საწარმოთა ჯგუფის მიხედვით დარგის შიგნით). მატერიალური წახალისების ფონდში ანარიცხების ზღვრული ოდენობა არ წესდება.

წლიური გეგმის მაჩვენებლების დამტკიცებისას თვითეულ საწარმოს დადგენილი ნორმატივების შესაბამისად დაუწესდება მატერიალური ანაზღაურების ფონდში მოგების ანარიცხების ოდენობა.

გეგმიანი და ფაქტიური რენტაბელობის წლიური დონის გაანგარიშებისას ძირითადი ფონდების ღირებულებაში არ შეიტანება ის ფონდები, რომლებიც საექსპლუატაციოდ უნდა გადაეცეს დაგეგმილი წლის მეორე ნახევარში.

მატერიალური წახალისების ფონდის ოდენობა იმატებს, თუ გადიდდა ახალი პროდუქციის ხვედრითი წონა წარმოების საერთო მოცულობაში.

ზარალით დაგეგმილ საწარმოებში მატერიალური წახალისების ფონდი შეიქმნება ზარალიანობის დონის შემცირებით (რეალიზებული პროდუქციისა და მომსახურების ფაქტიურ მოცულობაზე გადაანგარიშებით) მიღებული ეკონომიის (წინა წელთან შედარებით) ნაწილის და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ხარჯზე.

28. მატერიალური წახალისების ფონდში მოგების ანარიცხები შეიტანება ყოველკვარტალურად გასული პერიოდის მუშაობის შედეგების მიხედვით წლის დამდეგიდან მზარდი ჯამით (კვარტალი, წლის ნახევარი, ცხრა თვე, წელიწადი), პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების გეგმის შესრულების შესახებ არსებული მონაცემების საფუძველზე.

მატერიალური წახალისების ფონდში დაწესებული ოდენობის სახსრები გადაირიცხება, თუ საწარმომ შეასრულა მოგების გეგმა და რეალიზებულია პროდუქცია გეგმით გათვალისწინებული ნომენკლატურის მიხედვით.

თუ საწარმომ შეასრულა მოგებისა და პროდუქციის რეალიზაციის გეგმა, გადაირიცხება დამატებითი თანხები მატერიალური წახალისების ფონდში.

თუ საწარმომ ვერ შეასრულა მოგებისა და დაწესებული ნომენკლატურის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა, ანარიცხები მატერიალურ წახალისების ფონდში იწარმოებს შემცირებული ოდენობით. იმ პროდუქციის ნომენკლატურას, რომლის გეგმის შეუსრულებლობის დროს მცირდება ანარიცხები მატერიალური წახალისების ფონდში, დაუწესებს საწარმოებს ზემდგომი ორგანო წლიური გეგმის მაჩვენებლების დამტკიცების დროს. მატერიალური წახალისების ფონდში ანარიცხებისათვის სხვა შეზღუდვები არ დაწესდება.

დაწესდეს, რომ საწარმოს მუშაკთა წასახალისებლად იხარჯება ყოველკვარტალურად იმ სახსრების არა უმეტეს 90 პროცენტისა, რომლებიც მატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიალური წახალისების ფონდში შემოდის. ფონდის დანარჩენი ნაწილი დაიხ-
რჯება ამ მიზნისათვის წლის დამთავრების შემდეგ იმ პირობით, თუ საწარმო
შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის (ან მოგების) და წარმოების რენტაბე-
ლობის წლიური გეგმიანი დავალებანი.

საწარმოებში, სადაც წარმოების ციკლი ხანგრძლივია, არ მოიპოვება ა
უმნიშვნელო მოცულობისაა პროდუქციის რეალიზაცია, ცალკეულ კვარტალე-
ბში სახსრები მატერიალური წახალისების ფონდში შეიძლება გადაირიცხო
წარმოების გეგმის შესრულების მიხედვით.

29. დაწესდეს, რომ მატერიალური წახალისების ფონდი გამოიყენება:

ა) მუშათა, ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსა-
ხურეთა დასაჯილდოებლად დაწესებული პრემიალური სისტემების მიხედვით

ბ) იმ მუშათა, ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახუ-
რეთა ერთდროული წახალისებისათვის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს განსაკუ-
თრებით მნიშვნელოვანი საწარმოო დავალებათა შესრულებაში;

გ) მუშებისა, ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამ-
სახურეებისათვის გასამრჯელოს მისაცემად საწარმოს წლიური მუშაობის სა-
ერთო შედეგების მიხედვით;

დ) საწარმოთა მუშაკებისათვის ერთდროული დახმარების გასაწევად.

ამ პუნქტის მიხედვით მატერიალური წახალისების ფონდს გაანაწილებს
საწარმოს ადმინისტრაცია პროფკავშირული ორგანიზაციის მონაწილეობით.

30. შემოღებულ იქნას დაჯილდოების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს
საწარმოთა ყველა მუშაკის დაინტერესებას პროდუქციის რეალიზაციის მო-
ცულობის ან მოგების ზრდით, აგრეთვე წარმოების რენტაბელობის გადიდებით.

საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკები და საწარმოთა მმართველობის აპა-
რატის მუშაკები დაჯილდოვდებიან პროდუქციის რეალიზაციის ან მოგების
გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის იმ შემთხვევაში, თუ
დაცულია დაჯილდოების პირობები, რომლებსაც ზემდგომი ორგანიზაცია და-
წესებს ცალკეული დარგებისა და საწარმოების თავისებურებათა გათვალისწი-
ნებით. ცალკეულ დარგებში საწარმოთა მმართველობის აპარატის ხელმძღვა-
ნელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის შეიძ-
ლება დაწესდეს პრემიების მიღების სხვა მაჩვენებლები.

საწარმოს საამქროების, სამსახურისა და უბნების ინჟინერ-ტექნიკურ მუ-
შაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების მაჩვენებლებსა და პირობებს და ამ
მუშაკებისათვის პრემიების ოდენობას დააწესებს საწარმოს ხელმძღვანელი
პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით იმ თანხების ფარგლებში,
რომლებიც საწარმოს მატერიალური წახალისების ფონდიდან გამოიყოფა.

მუშათა დაჯილდოება მოხდეს მაჩვენებლებისა და პირობების მიხედვით,
რომლებსაც საწარმოს დირექტორი დააწესებს პროფკავშირულ ორგანიზაცია-
სთან შეთანხმებით იმ ტიპობრივ დებულებათა საფუძველზე, რომელთა დამ-
ტკიცება ხდება მრეწველობის დარგების მიხედვით.

კარგად მომუშავე საწარმოებში, სადაც მოგების თანხებით შეიქმნება მა-
ტერიალური წახალისების საკმაო ფონდი, ხელფასის ფონდიდან გასაცემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიები მუშებს გაუდიდდებათ მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯზე.

პრემიების გაცემის მაჩვენებლები, პირობები და ოდენობა დაწესდება ყოველწლიურად წლიური გეგმის დამტკიცების დროს. ამასთან არ უნდა იქნას დაშვებული პირობებისა და შეზღუდვების სიმრავლე პრემიების გაცემაში.

ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოება წარმოებს მუშაობის თვიური ან კვარტალური შედეგების მიხედვით.

მუშაკთა წახალისების დროს მხედველობაში მიიღება ის, რომ შრომის ინდივიდუალური და კოლექტიური ანაზღაურების ოდენობა პირდაპირ უნდა იყოს დამოკიდებული წარმოებული პროდუქციის არა მარტო რაოდენობაზე, არამედ ხარისხზედაც. შეხამებულ იქნას მატერიალური დაინტერესების პრინციპი მუშაკთა მატერიალურ პასუხისმგებლობასთან შრომის შედეგებისათვის, რისთვისაც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისას, შრომის ანაზღაურების გადიდებასთან ერთად, შემცირდეს შრომის ანაზღაურება საწარმოს მუშაკთა მიზეზით პროდუქციის ხარისხის გაუარესებისა და წუნის გამოშვებისათვის.

31. დაწესდეს, რომ საწარმოების მმართველობის აპარატის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის დარიცხული პრემიები, თუ მთლიანად საწარმოში ადგილი აქვს ხელფასის ფონდის შედარებით გადახარჯვას, შემცირდება დაშვებული გადახარჯვის თანხის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს დარიცხული პრემიების 50 პროცენტისა. უკეთუ საწარმო 6 თვემდე ვადაში აანაზღაურებს ხელფასის ფონდის დაშვებულ გადახარჯვას, აღნიშნულ მუშაკებს მიეცემათ პრემიის იმ ნაწილის 50 პროცენტი, რომელიც არ ყოფილა მიცემული გასულ პერიოდებში ხელფასის ფონდის გადახარჯვასთან დაკავშირებით.

ამავე წესით წარმოებს პრემიების მიცემა ხელფასის ფონდის გადახარჯვის დროს საწარმოს საამქროებისა და სამსახურის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის. ამასთან ხელფასის ფონდის გადახარჯვა იანგარიშება მხოლოდ საწარმოს შესაბამის საამქროსა და სამსახურში.

საწარმოს შეუძლია გამოიყენოს ხელფასისა და პრემიების გასაცემად ამავე წლის შემდგომ კვარტალებში მოცემული კალენდარული წლის გასულ კვარტალებში მიღებული ხელფასის იმ ფონდის ეკონომია, რომელიც გადაანგარიშებულია გეგმის შესრულების პროცენტის შესაბამისად;

თუ მთლიანად საწარმოს აქვს ხელფასის ფონდის ეკონომია, საწარმოს ხელმძღვანელს უფლება ენიჭება აძლიოს პრემიები სრული ოდენობით საამქროებისა და სამსახურის ხელმძღვანელ მუშაკებსაც, რომლებმაც თუმცა გააუმჯობესეს მუშაობა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ აანაზღაურეს გასულ პერიოდში დაშვებული ხელფასის ფონდის გადახარჯვა.

32. საწარმოთა მუშაკებს მუშაობის საერთო წლიური შედეგების გაუმჯობესებისათვის გასამრჯელო მიეცემათ მატერიალური წახალისების ფონდის ნაწილის ხარჯზე მათ მიერ მიღებული ხელფასის შესაბამისად და მოცემულ საწარმოში მუშაობის განუწყვეტელი სტაჟის ხანგრძლიობის გათვალისწინებით. საწარმოთა ხელმძღვანელებს უფლება ენიჭებათ პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით შეუმცირონ ან გაუდიდონ მუშაკებს ეს წახალისებითი ხაზღაური მათი მუშაობის შედეგების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. მატერიალური წახალისების ფონდიდან გასაცემი პრემიები და გასაჯილო მხედველობაში მიიღება მომუშავის საშუალო ხელფასის გამოანგარიშებისას.

34. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მუშათა მატერიალური დაინტერესება წარმოების შრომატევადობის შემცირებით და გამომუშავებისა და მომსახურების ნორმების ათვისებით, ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვის საფუძველზე ნორმების გადასინჯვის დროს, გამოყენებულ იქნას ამასთან დაკავშირებით მიღებული ეკონომიის სახსრების ნაწილი მუშათა შრომის დამატებითი ანაზღაურებისათვის უახლოესი 3-6 თვის განმავლობაში.

ნება დაერთოს საწარმოთა ხელმძღვანელებს ამ ეკონომიის ანგარიშში დააჯილდოონ აგრეთვე საწარმოო უბნების ოსტატები და სხვა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ აღნიშნულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავებასა და დანერგვაში.

35. უფლება მიენიჭოთ საწარმოთა ხელმძღვანელებს პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით შესაბამისი კატეგორიების მუშების ნაკლებობისას დაუმატონ ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე (რაც გადაანგარიშებულია გეგმის შესრულების პროცენტზე) მუშებს პროფესიების შეთავსებისათვის შეცვლილი მუშის სატარიფო განაკვეთის ან სარგოს 30 პროცენტამდე, უკეთუ მუშათა რაოდენობა შემცირებულია იმ რაოდენობასთან შედარებით, რომელიც უნდა არსებობდეს მომსახურების დაწესებული ნორმების მიხედვით.

36. მუშაკთა დაჯილდოების ამ დადგენილებით გათვალისწინებული ახალი სისტემის შემოღებისას შენარჩუნებულ იქნას მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთათვის პრემიების მიცემის მოქმედი წესი:

ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის;

პროდუქციის საექსპორტოდ მიწოდებისათვის;

წარმოების ნარჩენებისაგან ფართო მოხმარების საგნების გამოშვებისათვის;

სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული საუკეთესო შედეგებისათვის.

შენარჩუნებულ იქნას აგრეთვე განსაზღვრულ დრომდე, სპეციალური პრემიები, რომლებიც ხელფასის ფონდის გადამეტებით გაიცემა.

37. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი შეიქმნება მოგების ანგარიშში იმავე პრინციპებსა და პირობებში, როგორც მატერიალური წახალისების ფონდი.

უფლება მიენიჭოთ საწარმოთა დირექტორებს პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით გადაანაწილონ სახსრები მატერიალური წახალისების ფონდსა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდს შორის თვითეული ფონდის თანხის 20 პროცენტის ფარგლებში.

38. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად და სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მატერიალური წახალისების ფონდში და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში მოგების ანარიცხთა ნორმატივების პროექტი მრეწველობის დარგების მიხედვით.

დაწესდეს, რომ ამ ნორმატივების დიფერენციაციას საწარმოთა ჯგუფების მიხედვით მოახდენენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებთან შეთანხმებით.

ნორმატივების შემუშავებისას მხედველობაში იქნას მიღებული, რომ საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება, რაც გათვალისწინებულია წლიური გეგმით. უნდა წახალისდეს უფრო მეტად, ვიდრე გეგმიან დავალებათა გადაჭარბებით შესრულება.

იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოს დაუგროვდება მოგება დარგის საშუალო რენტაბელობასთან შედარებით რენტაბელობის დონის მნიშვნელოვანი გადაჭარბების ხარჯზე, მატერიალური წახალისების ფონდში მოგების შესაბამისი ნაწილიდან ანარიცხები შეიტანება შემცირებული ნორმატივებით;

ბ) პროექტები დებულებებისა მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნისა და ხარჯვის წესის შესახებ.

39. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით და შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებათა მონაწილეობით:

ა) შეიმუშაოს და დაამტკიცოს ამ დადგენილების შესაბამისად ტიპობრივი დებულებანი მრეწველობის დარგების მიხედვით მუშაკთა დაჯილდოების შესახებ;

ბ) შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი მრეწველობაში გამომუშავების ნორმების გადასინჯვის წესისა და ვადების შესახებ.

IV. მრეწველობის განვითარებაში კრედიტის როლის გაძლიერების შესახებ

40. საჭიროდ ჩაითვალოს კრედიტის როლის გაძლიერება მრეწველობის განვითარებისა და წარმოების ეფექტიანობის სტიმულირების საქმეში იმ ანგარიშით, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტმა უფრო აქტიურად შეუწყოს ხელი საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების დროს განახორციელოს დიფერენცირებული მიდგომა საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი მათ მიერ გეგმის ძირითადი მაჩვენებლების შესრულების მიხედვით — აძლიოს უპირატესობა კარგად მომუშავე საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმებს, დაგროვების გეგმებს და ინარჩუნებენ საკუთარ საბრუნავ საშუალებებს, და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ საკრედიტო ზემოქმედების ზომები ცუდად მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ.

41. დაწესდეს, რომ კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობაში განხორციელდება:

კაპიტალურ დაბანდებათა ცენტრალიზებული გეგმით ახალი საწარმოების მშენებლობისათვის მოქმედი წესით — სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების, მოგების და იმ საამორტიზაციო ანარიცხთა ნაწილის ხარჯზე, რომლებიც ხმარდება ძირითადი ფონდების სრულად აღდგენას, საფინანსო გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით, ხოლო იმ საწარმოებისა, რომელთა მშენებლობის ხარჯები შეიძლება ანაზღაურდეს საექსპლუატაციოდ გადაცემის მომენტიდან ხუთ წლამდე ვადაში, — სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის კრედიტის და მრეწველობის იმ საკუთარი სახსრების ხარჯზე, რაც გათვალისწინებულია საფინანსო გეგმით ამ მიზნისათვის.

კაპიტალურ დაბანდებათა ცენტრალიზებული გეგმით მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის საფინანსო გეგმით გათვალისწინებული მოგების ნაწილისა და იმ საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე, რომლებიც ხმარდება ძირითადი ფონდების სრულად აღდგენას, აგრეთვე სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის კრედიტის ხარჯზე. საწარმოთა რეკონსტრუქცია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით წარმოებს მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

იმ კრედიტის დაფარვა, რომელიც მიღებულია ახალი საწარმოების მშენებლობისა და მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა ცენტრალიზებული გეგმით, — წარმოებს მოგებისა და იმ საამორტიზაციო ანარიცხთა ნაწილის ხარჯზე, რომლებიც ხმარდება ძირითადი ფონდების სრულად აღდგენას.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაკრედიტებისათვის საჭირო სახსრები და გადასცეს ეს სახსრები სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს, როგორც რესურსები.

42. დაწესდეს, რომ ახალი ტექნიკის დანერგვის, წარმოების მექანიზაციისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესების, მოწყობილობის განახლების, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის, მოწყობილობის მოდერნიზაციის და წარმოების ტექნიკური სრულყოფისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებათა განხორციელების ხარჯები, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და ორგანიზაციის და მისი ხარისხის გაუმჯობესების ხარჯები შეიძლება გაწეულ იქნას, წარმოების განვითარების ფონდის სახსრების უკმარობის დროს ბანკის კრედიტიდან. აღნიშნული კრედიტი გაიცემა ექვს წლამდე ვადით დღიდან პირველი სესხის გაცემისა იმ პირობით, თუ ეს დანახარჯები ანაზღაურდება აღნიშნული ვადის ფარგლებში დასაკრედიტებელ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მიღებული მოგების (ეკონომიის) და სახალხო მოხმარების საქონლის რეალიზაციისაგან შემოსული ბრუნვის გადასახადის თანხის 50 პროცენტის ფარგლებში.

ახალი ტექნიკის დანერგვის ხარჯებისა და წარმოების ტექნიკური გაუმჯობესების სხვა ღონისძიებებისათვის გაცემული კრედიტი დაიფარება წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ანგარიშში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების ხარჯებისათვის ვაცემული კრედიტი დაიფარება წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე, ხოლო თუ ეს ფონდი საკმარისი არ არის, — მოგებისა (ეკონომიის) და აღნიშნული საქონლის რეალიზაციისაგან მიღებული ბრუნვის გადასახადის თანხის 50 პროცენტის ხარჯზე;

43. იმ მიზნით, რომ უფრო ეფექტიანად იქნას გამოყენებული საბრუნავი სახსრები, გაუმჯობესდეს საწარმოთა ანგარიშსწორებანი და გაძლიერდეს ბანკის კონტროლი მანეთით პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების გეგმების შესრულებისადმი, დაწესდეს, რომ მრეწველობის არასეზონური დარგების საწარმოებს დააკრედიტებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი უპირატესად მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვისა და ხელფასის დანახარჯების მიხედვით, საწარმოთა საკუთარი საბრუნავი სახსრების წილობრივი მონაწილეობისა და ბანკის კრედიტის პირობებში.

მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვისა და დანახარჯებისათვის კრედიტით სარგებლობის პროცენტები იმ თანხის ფარგლებში, რომელიც საკუთარი საბრუნავი სახსრების მაგიერობას ეწევა, საწარმოს არ გადახდება.

44. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს აძლიონ საწარმოებს, მშენებლობებს და მოიჯარე ორგანიზაციებს დროებითი ფინანსური სიძნელეების წარმოშობისას მოკლევადიანი (30 დღემდე) კრედიტი იმისათვის, რომ ანგარიში გაუსწორონ მიმწოდებლებს მათ მიერ მიწოდებული მასალებისა, მოწყობილობისა და მომსახურების გაწევისათვის იმ ვარაუდით, რომ დაიფაროს იგი რიგის მიხედვით, რაც დაწესებულია მატერიალურ ფასეულობათა გადასახდელებისათვის. დაწესდეს, რომ აღნიშნული კრედიტის გაცემა შეიძლება არ შეჩერდეს მაშინაც, თუ არსებობს სესხთა ვადაგასული დავალიანება 30 დღემდე ხანგრძლიობით.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკმა აძლიოს მშენებლობებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს კრედიტი მოწყობილობის ასანაზღაურებლად, მშენებლობის დაფინანსების წესების შესაბამისად.

45. იმ მიზნით, რომ შეიქმნას ყველაზე ხელსაყრელი ფინანსური პირობები გაუმჯობესებული ხარისხის ახალი პროდუქციისა და ნაკეთობათა გამოშვებაზე გადასასვლელად, ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს აძლიოს საწარმოებს კრედიტი:

ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, დაუმთავრებელი წარმოების ზენორმატიულ მარაგზე და მომავალი პერიოდების ხარჯებისათვის (რომლებიც შეიტანება მოცემულ კალენდარულ წელს გამოსამუშავებელი პროდუქციის თვითღირებულებაში), რომლებიც შეიქმნება გაუმჯობესებული ხარისხის ახალი პროდუქციისა და ნაკეთობათა გამოშვებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, — ერთ წლამდე ვადით.

ახალი პროდუქციის გამოშვების, ნაკეთობათა ხარისხის, საიმედოობისა და ხანგრძლიობის გადიდების ღონისძიებათა განსახორციელებლად — ერთ წლამდე ვადით იმ პირობით, თუ ანაზღაურება და სესხის დაფარვა მოხდება ამ ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის განმავლობაში აღნიშნული პროდუქციის რეალიზაციისაგან მისაღები მოგების ხარჯზე.

46. ნება დაერთოს საწარმოებს, რომლებმაც შეწყვიტეს ისეთ ნაკეთობათა გამოშვება, რომლებზედაც მომხმარებელთა მოთხოვნილება არ არსებობს, გადასცენ ამ ნაკეთობათა დაგროვილი ნაშთები სავაჭრო და მომმარაგებელ-გამსაღებელ ორგანიზაციებს საკომისიო საწყისებზე რეალიზაციისათვის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სავაჭრო და მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციები უარს იტყვიან აღნიშნულ ფასეულობათა საკომისიოდ მიღებაზე, მიჰყიდონ ისინი სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

47. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საწარმოთა პასუხისმგებლობა საბრუნავი სახსრების სწორად გამოყენებისა და კრედიტის დროულად დაფარვისათვის, დაწესდეს საბრუნავი ფონდების საზღაურთან შედარებით გადიდებული პროცენტები კრედიტების ცალკეულ სახეობათა სარგებლობისათვის, რაც გაცემულია საკუთარ საბრუნავ საშუალებათა დანაკლისის დროებით შესავსებად, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიულ მარაგზე, რომელსაც სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი აკრედიტებს გამონაკლისის სახით, აგრეთვე ვადაგასული სესხისათვის.

გადიდდეს იმ საურავის ოდენობა, რაც მყიდველებს გადახდებათ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და მომსახურების საანგარიშსწორებო დოკუმენტების არა თავისდროზე ანაზღაურებისათვის.

საანგარიშსწორებო დოკუმენტების ანაზღაურების დაგვიანებისათვის გადახდილი საურავი და საგადამხდელო მოთხოვნების აქცეპტზე დაუსაბუთებელი უარისათვის დადებული ჯარიმები მიეკუთვნოს უშუალოდ საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის შედეგებს.

48. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დააკრედიტოს, ცდის სახით, 1965-1967 წლებში ცალკეული საწარმოები ნასესხებ საშუალებათა მთელი ერთობლივი მოთხოვნილების ოდენობით, რომლებიც საჭიროა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმის შესრულების უზურნველსაყოფად.

49. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა აძლიოს საწარმოებს სახსრები ხელფასის გასაცემად პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულების მიხედვით. მაჩვენებელს, რომლითაც დაწესდება წარმოების მოცულობა ხელფასის სახსრების გაცემის დროს, განსაზღვრავენ მრეწველობის დარგების მიხედვით სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებით.

პროდუქციის წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისას ხელფასის სახსრებს გასცემს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი, რომელიც გამოიყენებს შესაბამის ნორმატივებს გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში. წარმოების გეგმის შეუსრულებლობისას ხელფასის სახსრების გაცემა იწარმოებს იმავე ნორმატივების გამოყენებით.

50. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი ხელფასის ფონდების ხარჯვისადმი კონტროლს ახორციელებს კვარტალობრივად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ საწარმოებმა გადახარჯეს კვარტალის ხელფასის ფონდი იმ თანხასთან შედარებით, რაც მათ გეგმის შესრულების მიხედვით ერგებათ, ისინი მოვალენი არიან აანაზღაურონ დაშვებული გადახარჯვა, რისთვისაც შექმნან ხელფასის ფონდის ეკონომია ერთი-ორი კვარტალის განმავლობაში.

51. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების წესში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები.

V. მრეწველობის პროდუქციის საბითუმო ფასების სრულყოფის შესახებ

52. სოციალისტური ეკონომიკის განვითარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების საქმეში ფასების როლის გაძლიერების მიზნით, დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს 1966 წლის 1 იანვრისათვის წინადადებანი სამრეწველო პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების მომზადებისათვის მუშაობის ძირითადი მიმართულებებისა და ორგანიზაციის შესახებ, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ საჭიროა:

ა) რაც შეიძლება მეტად დაუახლოვდეს ფასები შრომის საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების დონეს იმის გათვალისწინებით, რომ აუნაზღაურდეს ყველა ნორმალურად მომუშავე საწარმოს წარმოების ხარჯები და რომ მათ მიიღონ მოგება იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს სულ ცოტა, საწარმოო ფონდების საზღაურის გადახდას და საწარმოთა იმ ფონდების შექმნას, რომლებიც ამ დადგენილების თანახმად დაწესდება;

ბ) დაწესდეს მრეწველობის დარგების ურთიერთშემცვლელი პროდუქციის ფასების სწორი თანაფარდობა, რაც უზრუნველყოფს ტექნიკური პროგრესის სტიმულირებას და ოპტიმალურ პროპორციებს წარმოების ცალკეული დარგების განვითარებაში.

აღნიშნულ წინადადებებში გათვალისწინებულ იქნას მოძველებული სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების გადასინჯვა, საწარმოებში ნორმატიული ბაზის მოწესრიგება, აგრეთვე ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის ფართოდ გამოყენებას ფასების შესამუშავებლად.

ახალი ფასები შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1967-1968 წლებში.

დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს შეიტანონ საჭირო შესწორებანი მრეწველობის იმ დარგების პროდუქციის მოქმედ ფასებში, რომლებშიაც ეკონომიური სტიმულირების ახალ პირობებზე გადასვლა იწარმოებს ზემოაღნიშნულ ვადებზე ადრე, იმ ანგარიშით, რომ აღმოიფხვრას ამ დარგების პროდუქციის ფასებში რენტაბელობის გაუმართლებელი განსხვავებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

53. მოქმედი საბითუმო ფასების გაუმჯობესების პირველი რიგის ზომებად მიჩნეულ იქნას:

ა) დადგინდეს წესი, რომლის მიხედვითაც იმ ახალი სტანდარტების და ტექნიკური პირობების შემოღებასთან ერთად, რომლებიც ითვალისწინებენ პროდუქციის ხარისხის, საიმედოობისა და ხანგამძლეობისადმი მოთხოვნილების გადიდებას, უნდა გადაისინჯოს ამ პროდუქციის საბითუმო ფასები დამატებითი ხარჯებისა და მომხმარებლებისათვის ეკონომიური ეფექტის გათვალისწინებით. შეტანილ იქნას ცალკეულ სახეობათა პროდუქციის პრეისკურანტებში ფასების დანამატები სტანდარტებითა და ტექნიკური პირობებით გათვალისწინებულ მაჩვენებლებთან შედარებით პროდუქციის საექსპლუატაციო და სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესებისათვის.

დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეიმუშაონ და სსრ კავშირის სტანდარტების, ზომებისა და საზომი ხელსაწყოების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შეიტანონ მოქმედ სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებში, რომლებშიაც ეს არ ყოფილა გათვალისწინებული, პროდუქციის ხარისხის, საიმედოობისა და ხანგამძლეობის ობიექტური მაჩვენებლები; პირველ რიგში შეიტანონ აღნიშნული დამატებანი მოქმედ სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებში მანქანათმშენებლობის ნაკეთობებისათვის.

უფლება მიენიჭოთ დამამზადებელ საწარმოებს, როდესაც ისინი ასრულებენ ერთჯერად შეკვეთებს შემკვეთთა სპეციალური მოთხოვნებით, რომლებიც ითვალისწინებენ მისაწოდებელ ნაკეთობათა ცალკეული ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებას მოქმედ სტანდარტებთან და ტექნიკურ პირობებთან შედარებით, დააწესონ შემკვეთებთან შეთანხმებით საბითუმო ფასების ერთდროული დანამატები ისეთ შემთხვევებში, როდესაც შემკვეთთა აღნიშნული მოთხოვნების შესრულებისათვის დანამატების გამოყენება არ არის გათვალისწინებული პრეისკურანტებით;

ბ) დაწესდეს ახალი პროდუქციის საბითუმო ფასები ისეთ დონეზე, რომლის დროსაც ძველ პროდუქციასთან შედარებით ახალი პროდუქციის საუკეთესო ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების ხარჯზე მომხმარებელი მიიღებდა ეკონომიურ სარგებლიანობას, ხოლო დამამზადებელს აუნაზღაურდებოდა დამატებითი დანახარჯები და, როგორც წესი, გადიდდებოდა რენტაბელობა წინათ გამოშვებული პროდუქციის რენტაბელობასთან შედარებით.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტს დააწესოს სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებათა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგენით ახალი სახის პროდუქციაზე საბითუმო ფასების განსაზღვრის წესი;

გ) მიღებულ იქნას დამატებითი ზომები სხვადასხვა საწარმოების რენტაბელობის გამოსასწორებლად ერთი და იმავე დარგის ფარგლებში, ფიქსირებული საბიუჯეტო გადასახდელების გამოყენების, საჭიროების დროს მოქმედ პრეისკურანტებში შესწორებათა შეტანის და ჯგუფური საანგარიშსწორებო ფასების შეფარდების გზით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გაფართოვდეს ბრუნვის გადასახადით დასაბეგრი პროდუქციისათვის საწარმოთა საბითუმო ფასების პრეისკურანტების დამტკიცების პრაქტიკა, ამასთან ამოღებულ იქნას ბრუნვის გადასახადი, როგორც განსხვავება საცალო ფასებსა (სავაჭრო ფასდაკლების გამოკლებით) და საწარმოს საბითუმო ფასებს შორის.

პროდუქციისათვის, რომელზედაც ბრუნვის გადასახადის გადახდევინება არ შეიძლება ფასებში არსებული განსხვავების სახით, დადგენილ იქნას წესი ბრუნვის გადასახადის განაკვეთების შემოღებისა ფასების დაწესებასთან ერთად. ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნას რენტაბელობა არანაკლებ 15 პროცენტისა, მაგრამ არა უმცირეს საწარმოს საშუალო რენტაბელობისა;

ე) ჩატარდეს ნაკეთობათა ცალკეული ჯგუფების მოძველებული საბითუმო ფასების დროზე გადასინჯვა იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი ფასები აფერხებენ წარმოებას და ახალი, პროგრესული ტექნიკის დანერგვას სახალხო მეურნეობაში, აგრეთვე ქმნიან სიძნელეებს პროდუქციის გასაღებაში.

54. საჭიროდ იქნას მიჩნეული შეიქმნას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტის განკარგულებაში საბითუმო ფასების მიმდინარე რეგულირების სპეციალური ფონდი, რომლის ხარჯზე განხორციელდეს საბითუმო ფასების გადასინჯვა ფასწარმოქმნის სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით ისე, რომ არ მოხდეს გადაანგარიშება მოცემული პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებსა და მომხმარებლებს შორის.

ნება დაერთოს საწარმოებს საჭიროების შემთხვევაში გაყიდონ მათ მიერ დამზადებული პროდუქცია, რომელზედაც მოთხოვნილება არ არსებობს, უფრო დაბალ საბითუმო ფასებში, ვიდრე ეს გათვალისწინებულია პრეისკურანტებით და მიაკუთვნონ ზარალი ამ საწარმოთა საქმიანობის შედეგებს, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ არ შემცირდეს გეგმით გათვალისწინებულ საბიუჯეტო გადასახდელთა ოდენობა.

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით მისცეს მითითებანი ასეთი პროდუქციის რეალიზაციის წესის შესახებ.

55. შეიზღუდოს დროებითი ფასების გამოყენება ახლად ათვისებული პროდუქციის მიმართ, გაფართოვდეს ლიმიტური ჯგუფური ფასების, აგრეთვე იმ პროდუქციის კალკულირების ნორმატივების დაწესების პრაქტიკა, რომლის ფასების დადგენა მხარეთა შეთანხმებით ხდება.

56. გაძლიერდეს საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა დადგენილი ფასებისა და ფასწარმოქმნის მოქმედი წესის დაცვისათვის, საბითუმო ფასების გადიდების ფაქტების გამოვლინებისას მიღებული დამატებითი ამონაგების მთელი თანხა გადაირიცხოს სახელმწფო ბიუჯეტის შემოსავალში.

დაევალოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიფო კომიტეტთან შეთანხმებით, უზრუნველყოს სტატისტიკური ინფორმაციის დროზე მიწოდება ფასების საკითხებზე, რაც შექმნის იმის შესაძლებლობას, რომ განხორციელდეს სისტემატური კონტროლი ფასების დადგენის სისწორისა და ცალკეულ ნაკეთობათა წარმოების ფაქტიური რენტაბელობის დონისადმი.

57. იმასთან დაკავშირებით, რომ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება გულდასმით მომზადებას მოითხოვს, საჭიროდ ჩაითვალოს მათი გატარება თანდათანობით.

1966 წელს განხორციელდეს ეს ღონისძიებანი მრეწველობის ცალკეულ დარგებში. მთლიანად და ყველგან იქნას გადაყვანილი საწარმოები სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და სტიმულირების ახალ სისტემაზე 1967-1968 წლებში.

დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს სამი თვის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმის შესაბამისი პროექტი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ დებულებანი და ინსტრუქციები სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების საკითხებზე ამ დადგენილების სრული შესაბამისობით.

58. ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება მოითხოვს საგეგმო და სამეურნეო ორგანიზაციების და საწარმოების ეკონომიური მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებას. ამ მიზნით სერიოზულად უნდა გაუმჯობესდეს ეკონომისტთა კადრების მომზადება, აგრეთვე ინჟინერთა ეკონომიური სწავლება სასწავლებლებში.

დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს:

ა) გადასინჯოს შესაბამისი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო გეგმები და პროგრამები, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ ისინი უნდა ამზადებდნენ ისეთ ეკონომისტთა და ინჟინერთა კადრებს სახალხო მეურნეობისათვის, რომლებსაც ექნებათ წარმოების ეკონომიკის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და სოციალისტური საწარმოების მართვის ღრმა ცოდნა;

ბ) სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მოაწყოს საწარმოთა, გაერთიანებათა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური კადრების გადამზადება იმ ანგარიშით, რომ კადრებმა კარგად იცოდნენ მრეწველობის ეკონომიკა და შესწევდეთ საწარმოთა მუშაობის სწორი ანალიზის უნარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ყველა პარტიული, სამეურნეო, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა.

სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერება საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად გამოვიყენოთ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი და ხელს შეუწყობს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წარმატებით შექმნის, ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპების დაჩქარებისა და ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. ეს ღონისძიებანი სოციალისტური მეურნეობის გაძღოლის იმ ლენინური პრინციპების შემდგომი განვითარებაა, რომლებსაც საფუძვლად უდევს პირადი მატერიალური დაინტერესების შეხამება კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებელთა მაღალ შეგნებულობასთან.

მეურნეობის გაძღოლის ეკონომიური მეთოდების დანერგვა განუხრელად დაკავშირებულია წარმოების მართვის შემდგომ დემოკრატიზაციასთან, წარმოების მართვაში მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა როლისა და შემოქმედებითი აქტივობის ყოველმხრივ ამაღლებასთან.

პარტიულმა, სამეურნეო, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მთავარი ყურადღება უნდა დაუთმონ იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერება, გააჩაღონ მუშაობა, რათა საწარმოთა მუშაკები აღზარდონ მაღალი მოვალეობის და საკუთარი მუშაობისა და მთელი კოლექტივის მუშაობის შედეგებისათვის პასუხისმგებლობის შეგნების სულისკვეთებით, უზრუნველყონ მუშათა ფართო მასების, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა აქტიური მონაწილეობა არსებული რეზერვების გამოყენებაში ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და წარმოების ეფექტიანობის გასადიდებლად.

სკკპ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
ა. კოსიგინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

135 საქართველოს სსრ სოფელ ადგილებში მცხოვრებ მოსწავლეთა უფასო მგზავრობის შესახებ

შესასრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 აგვისტოს დადგენილებისა „სოფლად მცხოვრებ მოსწავლეების უფასოდ მგზავრობის შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ 1965—1966 სასწავლო წლის დამდეგიდან დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების იმ მოსწავლეთა მისაყვანად სკოლაში და უკან, საცხოვრებელ ადგილამდე, რომლებიც საქართველოს სსრ სოფელ ადგილებში ცხოვრობენ, გამოყენებული იქნება სამარშრუტო ავტობუსები, საბჭოთა მეურნეობების და რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ტრანსპორტი, საგარეუბნო და ადგილობრივი მატარებლები, აგრეთვე კოლმეურნეობათა სატრანსპორტო საშუალებანი.

2. იმ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს უფლებას უფასო მგზავრობისა სკოლამდე და უკან, საცხოვრებელ ადგილამდე, წარმოადგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული ნიმუშის მოწაფის ბილეთი, რომელსაც დაამოწმებს სკოლის ხელმძღვანელობა.

3. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ მოაწყონ მოსწავლეთა გადაყვანა-გადმოყვანა ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

4. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაამტკიცონ იმ საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნუსხა, რომლებსაც ეკისრებათ, 1965—1966 სასწავლო წლიდან დაწყებული, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გადაყვანა მათი კუთვნილი ტრანსპორტით იმ გზებზე, სადაც არ მუშაობენ სამარშრუტო ავტობუსები და არ არსებობს სარკინიგზო მიმოსვლა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 6 სექტემბერი, № 545.

ეროვნული ბიბლიოთეკა

136 მოქალაქეთა პირადი საკუთრების დარაბების შესახებ

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 103-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ჩამოერთვას უსასყიდლოდ მოქალაქეებს პირადი საკუთრების დარაბები, რომლებიც მდებარეობენ საცხოვრებელი სახლებისაგან ცალკე, დამოუკიდებლად და გამოყენებულია სახელმწიფო, კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, და გადაეცეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონულ) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 10 სექტემბერი, № 547.

137 იმ კარტოფილისა და ბოსტნეულის ფასების შესახებ, რომლებსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა ორგანიზაციები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 სექტემბრის № 673 დადგენილების განსახორციელებლად და იმ მიზნით, რომ მოწესრიგდეს ანგარიშსწორება კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა მეურნეობებთან მათ მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული კარტოფილისა და ბოსტნეულისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 8 აგვისტოს № 493 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად დაწესდეს, რომ:

ა) კარტოფილი, რომელსაც კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობანი მიაწოდებენ (ჩააბარებენ) უშუალოდ მაღაზიებს, საზოგადოებრივი კვების საწარმოებს, აგრეთვე სბავშვო და სამკურნალო დაწესებულებებს, მიზიდვის მანძილის მიუხედავად, ანაზღაურდება საცალო ფასებით, სავაჭრო ფასდაკლების გამოქვითვით;

ბ) კარტოფილი, რომელსაც კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობანი მიაწოდებენ (ჩააბარებენ) უშუალოდ სავაჭრო ორგანიზაციების საბითუმო ბაზებს, მიზიდვის მანძილის მიუხედავად, ანაზღაურდება პირვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე საცალო ფასებით, სავაჭრო ფასდაკლებისა და დამატებითი ფასდაკლების გამოქვითვით 9 პროცენტის ოდენობით, რაც განკუთვნილია აღნიშნული ბაზების მიერ კარტოფილის ხანგრძლივი შენახვის ხარჯების ასანაზღაურებლად, ხოლო სხვა პერიოდში — საცალო ფასებით, სავაჭრო და დამატებით ფასდაკლებათა გამოქვითვით, 5 პროცენტის ოდენობით, რაც განკუთვნილია საბითუმო ბაზების მიერ კარტოფილის მიღების, ხანმოკლე შენახვისა და რეალიზაციის მიმდინარე ხარჯების ასანაზღაურებლად.

2. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისაგან მიღებული კარტოფილი, რომელიც ხარისხით არ შეეფერება ტექნიკურ პირობებს, არასტანდარტული კარტოფილის ბოლქვები იმ რაოდენობის გადამეტებით, რაც დაშვებულია ტექნიკური პირობებით, ანაზღაურდება საცალო ფასების 25 პროცენტის დაკლებით.

ეს ფასდაკლებანი გამოიყენება დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ სავაჭრო ორგანიზაციებისა და სხვა მიმღებებისათვის ზემოაღნიშნული კარტოფილის ჩაბარების დროსაც.

საცალო ფასების მიხედვით ანგარიშსწორების დროს არასტანდარტული კარტოფილის ბოლქვები იმ რაოდენობის გადამეტებით, რაც დაშვებულია ტექნიკური პირობებით, ანაზღაურდება საცალო ფასების 40 პროცენტის დაკლებით.

ზედმეტად ტალახიანი კარტოფილის მიღების დროს, ტექნიკური პირობებით დაშვებული ნორმის გადამეტებით კარტოფილის ბოლქვზე მიმხმარი მიწის ყოველი პროცენტისათვის წარმოებს ფასდაკლება წონის ერთი პროცენტის ოდენობით.

3. დაწესდეს და 1965 წლის 1 სექტემბრიდან შემოღებულ იქნას იმ კარტოფილის შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების დანამატი, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები დაწესებული გეგმის გადამეტებით, — 30 მანეთის ოდენობით 1 ტონაში.

4. დაწესდეს, რომ:

ა) კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული ბოსტნეულის ღირებულების ანაზღაურება წარმოებს ერთიანი ფასებითა და იმ პირობებით, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ;

ბ) კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მიერ უშუალოდ მაღაზიებში, საწარმოებში, აგრეთვე საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებებში მიტანილი (ჩაბარებული) ბოსტნეული, მიზიდვის მანძილის მიუხედავად, ანაზღაურდება საცალო ფასებით, სავაჭრო ფასდაკლების გამოქვითვით;

გ) კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მიერ უშუალოდ სავაჭრო ორგანიზაციების საბითუმო ბაზებში მიტანილი (ჩაბარებული) ბოსტნეული, სავაჭრო ფასდაკლებისა და დამატებითი ფასდაკლების გამოქვითვით, რაც განკუთვნილია ამ ბაზების მიერ ბოსტნეულის მიღების, შენახვისა და რეალიზაციის მიმდინარე ხარჯების ასანაზღაურებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ კარტოფილისა და ბოსტნეულის საცალო ფასების დაწესების დროს იხელმძღვანელოს შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების დონით, ამასთან გაითვალისწინოს დამამზადებელი და საგაჭრო ორგანიზაციების ზედნადები ხარჯების მოქმედი ნორმები.

6. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „საქმთავარკონსერვხილბოსტანს", მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, გარდაბნის, მარნეულის, ახალციხის, ახალქალაქის, წალკის, დმანისის, თეთრიწყაროს, ბოგდანოვკის, ბოლნისის და მეკარტოფილეობის სხვა რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს, აგრეთვე სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს:

ა) უზრუნველყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილის აღებისა და დამზადების სანიმუშოდ მოწყობა; დამამზადებელ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაონ და აცნობონ თვითეულ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, სასოფლო საბჭოს კარტოფილის აღებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის (ჩაბარების) ხუთდღიური გრაფიკები;

ბ) არ დაუშვან ისეთი კარტოფილის ნაადრევად აღება, რომელსაც ჯერ კიდევ გაუმაგრებელი კანი აქვს, და მოსავლის აღების გაჭიანურება ავდარისა და სუსხის დაწყებამდე.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, „საქმთავარკონსერვხილბოსტანს" და ცეკავშირს:

ა) მოამზადონ ტექნიკური ბაზა და დააბინაონ ხანგრძლივი შენახვისათვის კარტოფილი 25 ათასი ტონის რაოდენობით, აქედან: საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ — 7 ათასი ტონა, ცეკავშირმა — 3 ათასი ტონა და „საქმთავარკონსერვხილბოსტანმა" — 15 ათასი ტონა;

ბ) მოაწყონ თბილისში, რუსთავსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ყოველდღიური შეუფერხებელი ვაჭრობა კარტოფილით.

8. დაევალოს „საქმთავარკონსერვხილბოსტანს" უზრუნველყოს კარტოფილის შეუფერხებელი მიღება და გაზიდვა დაწესებული გრაფიკის შესაბამისად.

9. ცეკავშირის გამგეობამ მოაწყოს კარტოფილის შესყიდვა კოლმეურნეებისა და მუშა-მოსამსახურეებისაგან, შეთანხმებული ფასების მიხედვით.

10. დაევალოთ ფონდის მქონე ორგანიზაციებს—ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემას, ცეკავშირს, მუშათა მომარაგების სამმართველოებს, მუშათა მომარაგების განყოფილებებს და სხვა საწარმოებს მიიღონ ყველა ზომა მათთვის გამოყოფილი ფონდების დროულად ათვისებისათვის.

11. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ უზრუნველყონ დამამზადებელი

ორგანიზაციებისათვის გრაფიკით ვაგონებისა და ავტოტრანსპორტის შეფერხებელი მიწოდება კარტოფილის გადასაზიდად.

12. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს უზრუნველყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საჭირო რაოდენობით სათესლე კარტოფილის გამოყოფა და მისი ხარისხიანად შენახვა.

13. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოაწყოს 4 ათასი ტონა ჯიშიანი სათესლე კარტოფილის დამზადება და მისი დროულად მიწოდება იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, რომლებიც საადრეო კარტოფილის მოყვანას ეწევიან.

დაწესდეს „საქჯიშბოსტანთესლისათვის“ შესასყიდი ფასი ჯიშიანი სათესლე კარტოფილისა, რომელსაც იგი შეიძენს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისაგან, — 17 კაპიკი კილოგრამში; ნება დაერთოს მას შესასყიდ ფასს დაარიცხოს 5 პროცენტი ხარჯების დასაფარავად.

14. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ დროულად უზრუნველყოს დამამზადებელი ორგანიზაციები ფულადი ნიშნებით კარტოფილის ჩამბარებლებთან ანგარიშის გასასწორებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 18 სექტემბერი, № 555.

ეროვნული ბიბლიოთეკა

138 სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული ინსპექტურების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 7 სექტემბრის № 675 დადგენილებისა „სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული ინსპექტურების შესახებ", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 აგვისტოს № 572 დადგენილებით შექმნილ სახელმწიფო სტატისტიკის ტერიტორიულ ინსპექტურებს მომავალში ეწოდოს — სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული ინსპექტურები.

ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 აგვისტოს № 572 დადგენილება „სახელმწიფო სტატისტიკის ტერიტორიული ინსპექტურების მოწყობის შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 20 სექტემბერი, № 561.

139 ადვოკატთა შრომის ანაზღაურების დებულების და საქართველოს სსრ ადვოკატთა მიერ მოსახლეობისათვის, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურების წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დებულება ადვოკატთა შრომის ანაზღაურების შესახებ და ინსტრუქცია საქართველოს სსრ ადვოკატთა მიერ მოსახლეობისათვის, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 8 ოქტომბერი, № 581.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 8 ოქტომბრის № 581
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების შესახებ

ეს დებულება შემოღებულია ადვოკატთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების მიზნით.

საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურება განისაზღვრება მათ მიერ გაწეული შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით, და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოსახლეობისათვის, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გაუმჯობესებას, ადვოკატთა შორის საშუალოს სწორად განაწილებას, მათი შრომის საუკეთესო ორგანიზაციას.

1. ადვოკატთა შრომის თვიური ანაზღაურება წესდება შემდეგი ოდენობით:

ქ. თბილისში — 150 მანეთამდე.

II, III და IV ჯგუფებს მიკუთვნებულ ქალაქებსა და რაიონებში — 140 მანეთამდე.

შრომის ანაზღაურების თვიური ოდენობა განისაზღვრება იმ თანხების გაუთვალისწინებლად, რომლებიც უნდა გადაირიცხოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ფონდში ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად.

2. ადვოკატთა შრომის ანაზღაურების თვიურ ოდენობას (პუნქტი 1) განსაზღვრავს ადვოკატთა კოლეგიის საერთო კრება კოლეგიის ფინანსური მდგომარეობის მიხედვით.

3. ადვოკატის შრომის გასამრჯელო განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) იმ ფულადი სახსრებიდან, რომელიც ერთი თვის განმავლობაში შემოვიდა იურიდიული კონსულტაციაში ადოვკატის მიერ გაწეული იურიდიული დახმარებისათვის, ადვოკატს დაერიცხება არანაკლებ 70 პროცენტისა, მაგრამ არა უმეტეს დაწესებული შრომის ანაზღაურების თვიური ოდენობისა (პუნქტები 1-2); ერთდროულად ხდება ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ფონდში თანხის გადარიცხვა ადვოკატთა კოლეგიის საერთო კრების მიერ დადგენილი პროცენტის ოდენობით (იმ თანხის თანაზომიერად, რაც ფაქტიურად დაერიცხა ადვოკატს შრომის ანაზღაურების თვიური ოდენობის ფარგლებში).

ბ) იმ თანხიდან, რაც ადვოკატისათვის შრომის ანაზღაურების თვიური ოდენობის დარიცხვისა და ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ფონდში შესაბამისი გადარიცხვის შემდეგ დარჩება, ამ ადვოკატს დამატებით დაერიცხება 50 პროცენტი (ადვოკატს, რომელმაც იურიდიული მომსახურება გაუწია საწარმოს, დაწესებულებას, საბჭოთა მეურნეობას, კოლმეურნეობას და სხვა ორგანიზაციას, აღნიშნული დარიცხვა გაუდიდდება 70 პროცენტამდე). დამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებითი დარიცხვა ამ შემთხვევებში არ უნდა აღემატებოდეს ადვოკატისათვის დაწესებული შრომის ანაზღაურების თვიური ოდენობის ნახევარს;

ბ) თუ ამ ადვოკატის მიერ გაწეული იურიდიული დახმარებისათვის იურიდიულ კონსულტაციაში შემოსული თვიური თანხიდან დანარიცხების ოდენობამ ვერ მიაღწია ადვოკატის შრომის ანაზღაურების დაწესებულ თვიურ ოდენობას (პუნქტები 1-3), მაგრამ ერთ-ერთ შემდგომ სამ თვეში გადააჭარბებს ამ ოდენობას, მაშინ ამ გადამეტების ხარჯზე უნდა დაემატოს თანხა ადვოკატის გასული თვის გასამრჯელოს, ოღონდ დაწესებული შრომის ანაზღაურების თვიური ოდენობის ფარგლებში; იმ შემთხვევაში, როცა დარიცხული თვიური გასამრჯელო 75 მანეთზე ნაკლები აღმოჩნდება, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი საპატიო მიზეზის არსებობისას, ადვოკატს აძლევს დამატებას იმ ანგარიშით, რომ ადვოკატის გასამრჯელომ შეადგინოს 75 მანეთი თვეში.

ადვოკატის მიერ გაწეული იურიდიული დახმარებისათვის იურიდიულ კონსულტაციაში შემოსული თანხის ის ნაწილი, რომელიც დარჩება ადვოკატის შრომის ანაზღაურებისა (ქვეპუნქტები „ა“, „გ“) და ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ფონდში გადარიცხვის შემდეგ (ქვეპუნქტი „ა“), ჩაირიცხება აგრეთვე ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ფონდში;

4. ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ფონდი გამოიყენება:

სოციალური დაზღვევის შენატანებისათვის; შვებულების ანაზღაურებისათვის; იმ ადვოკატთა შრომის ანაზღაურებისათვის, რომლებიც სასამართლოში გამოდიან საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის წესით; პრემიებისათვის; დამატებითი გასამრჯელოს გასაცემად, რომელიც მითითებულია ამ დებულების მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში; ადვოკატის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ღონისძიებებისათვის; ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და იურიდიული კონსულტაციების აპარატის შენახვის ხარჯებისათვის.

5. ადვოკატთა შრომის ანაზღაურება იმ საქმეებზე, რომლებშიც ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა, ამ საქმეებთან დაკავშირებული მივლინების ხარჯების ანაზღაურების ოდენობა, აგრეთვე სამოქალაქო საქმეებზე ადვოკატის წარმომადგენლობის საზღაური იმ შემთხვევაში, როცა ადვოკატის დახმარება მხარეს უსასყიდლოდ გაეწია, განისაზღვრება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლით.

ამ შემთხვევაში გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება ინსტრუქციით „საქართველოს სსრ ადვოკატთა მიერ მოქალაქეებისათვის, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურების წესის შესახებ“.

ანაზღაურება წარმოებს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის სახსრებიდან, ამ მიზნებისათვის გამოყოფილი თანხების ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურიდიული დახმარების გაწევისათვის დახარჯული სახსრების ასანაზღაურებლად სააღსრულებო ფურცლით მიღებული თანხები ჩაირიცხება ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ფონდში.

6. სტაჟიორთა შრომის ანაზღაურება წესდება თვიურად 75 მანეთის ოდენობით.

7. ადვოკატთა შორის სამუშაოს განაწილებას ეწევა იურიდიული კონსულტაციის გამგე თანაბრად, ადვოკატთა კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

8. ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმების თავმჯდომარეთათვის და იურიდიული კონსულტაციის გამგეებისათვის წესდება შემდეგი თვიური თანამდებობრივი განაკვეთებით:

ა) საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის — 250 მანეთამდე;

ბ) აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმების თავმჯდომარეთათვის — 150 მანეთამდე;

გ) იურიდიული კონსულტაციების გამგეებისათვის:

ქ. თბილისში — 140 მანეთამდე.

II, III, IV ჯგუფებს მიკუთვნებულ ქალაქებსა და რაიონებში — 120 მანეთამდე.

იმ იურიდიული კონსულტაციების გამგეები, რომლებიც ადვოკატთა მცირე რაოდენობას აერთიანებენ, როგორც წესი, თავიანთ მოვალეობას ასრულებენ განსაკუთრებული გასამრჯელოს გარეშე.

ცალკეულ შემთხვევებში ადვოკატთა კოლეგიის საერთო კრებას შეუძლია დაუწესოს გასამრჯელო გამგეს მუშაობის მოცულობის მიხედვით.

9. იმ შემთხვევებში, როცა ადვოკატთა კოლეგიის საერთო კრებამ დააწესა ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის საშტატო თანამდებობა, მოადგილის თანამდებობრივი განაკვეთი უნდა იყოს 20 პროცენტით ნაკლები, ვიდრე კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარისა.

10. ადვოკატთა კოლეგიის საერთო კრება კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და იურიდიული კონსულტაციების გამგეებს თანამდებობრივ განაკვეთებს უწესებს კოლეგიის ფინანსური მდგომარეობისა და მუშაობის მოცულობის გათვალისწინებით.

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და იურიდიული კონსულტაციის აპარატის მუშაკთა თანამდებობრივ განაკვეთებს აწესებს ადვოკატთა კოლეგიის საერთო კრება იმ თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, შესაბამის სასამართლო ორგანოებში ანალოგიური თანამდებობისათვის.

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და იურიდიული კონსულტაციის გამგის ხელფასი შედგება თანამდებობრივი განაკვეთებისაგან და იმ თანხებისაგან, რომლებსაც ისინი იღებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ მიერ გაწეული იურიდიული დახმარებისათვის, ამასთან ერთად საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის ხელფასი არ უნდა აღემატებოდეს 300 მანეთს თვიურად; აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმების თავმჯდომარეებისა — 250 მანეთს; ხოლო იურიდიული კონსულტაციების გამგეებისა — 240 მანეთს.

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 8 ოქტომბრის № 581
დადგენილებით

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

საქართველოს სსრ ადვოკატთა მიერ მოქალაქეებისათვის, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურების წესის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ადვოკატთა მიერ მოქალაქეებისათვის, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურების ოდენობას ამ ინსტრუქციის საფუძველზე განსაზღვრავს იურიდიული კონსულტაციის გამგე, იმ პირთან შეთანხმებით, ვინც მას დახმარებისათვის მიმართა.

იურიდიული დახმარებისათვის გაღებული საზღაური შეიტანება იურიდიული კონსულტაციის ანგარიშზე სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ან შემნახველ სალაროში. ცალკეულ შემთხვევებში, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, საზღაურის შეტანა შეიძლება იურიდიულ კონსულტაციაში.

პასუხისმგებლობა ანაზღაურების ოდენობის სწორად განსაზღვრისათვის ეკისრება იურიდიული კონსულტაციის გამგეს და ადვოკატს, ვინც დავალება მიიღო.

კონტროლს ამ ინსტრუქციის სწორად გამოყენებისათვის ახორციელებს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

2. შეთანხმება იურიდიული კონსულტაციის მიერ მიღებული დავალების ხასიათისა და მოცულობის, აგრეთვე იურიდიული დახმარებისა და სხვა იმ ხარჯების ოდენობის შესახებ, რომლებიც დავალების შესრულებასთან არის დაკავშირებული (მივლინების ხარჯები და ა. შ.), შეიტანება სარეგისტრაციო ბარათში, რომელსაც ხელს აწერენ იურიდიული კონსულტაციის გამგე, ადვოკატი და ის პირი, რომელმაც დახმარება ითხოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. იმ შემთხვევაში, როცა ის პირი, რომელმაც იურიდიული დახმარება ითხოვა, უარს ამბობს ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევაზე, ანდა იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია დავალების შესრულება ან მისი ბოლომდე მიყვანა იურიდიული კონსულტაციისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მიღებული თანხა დაუბრუნდება იმ პირს, ვინც დახმარება ითხოვა, ამასთან დაეჭვითება თანხის ნაწილი ადვოკატის მიერ ფაქტიურად შესრულებული მუშაობისათვის.

დასაქვითი თანხის ოდენობას განსაზღვრავს იურიდიული კონსულტაციის გამგე დახმარების მთხოვნელ პირთან შეთანხმებით.

იურიდიული კონსულტაციის (ადვოკატის) მიზეზით დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეტანილი ფულადი თანხა მთლიანად დაუბრუნდება იურიდიული დახმარების გაწევის მთხოვნელ პირს.

II. უფასო იურიდიული დახმარება

4. უფასო იურიდიულ დახმარებას ადვოკატი ეწევა შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოქალაქეთათვის იურიდიულ საკითხებზე ახსნა-განმარტებისა და ცნობების მიცემისას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ინსტრუქციის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით;

ბ) ალიმენტების გადახდევინების შესახებ სასარჩელო საქმის წარმოებისას;

გ) შრომის საქმეთა წარმოებისას;

დ) მუშაობასთან დაკავშირებული დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა სახის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო საქმის წარმოებისას;

ე) გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფთა ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმის წარმოებისას;

ვ) პენსიისა და დახმარების დანიშვნის შესახებ განცხადების შედგენისას;

ზ) ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა, აგრეთვე I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის განცხადების, საჩივრისა და სხვა სამართლებრივი საბუთების შედგენისას, რაც არ მოითხოვს სასამართლო საქმის გაცნობას;

თ) საწარმოებში, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებში, სამხედრო კომისარიატებსა და აგიტპუნქტებში განცხადებების და საჩივრების შედგენისა და რჩევა-დარიგების მიცემისას;

ი) კოლმეურნეობების მიერ შრომადღეების ანაზღაურების შესახებ კოლმეურნეთა სარჩელების გამო საქმეების წარმოებისას;

„ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ი“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საქმეების წარმოების დროს უფასო დახმარება გაეწევათ მხოლოდ მესარჩლე პირებს.

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს და იურიდიული კონსულტაციის გამგეებს უფლება ენიჭებათ ცალკეულ შემთხვევებში, მოქალაქეთა მატერიალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობის გათვალისწინებით, გაათავისუფლონ ისინი აგრეთვე სხვა სახის იურიდიული დახმარების გაწევის საზღაურის გადახდისაგან.

III. გასამრჯელო სამართლებრივი საბუთების შედგენისათვის და რთულ სამართლებრივ საკითხებზე რჩევა-დარიგების მიცემისათვის

5. ადვოკატის მიერ სამართლებრივი საბუთების შედგენისათვის (განცხადება, ხელშეკრულება, საჩივარი და სხვა) საზღაური გადახდევინებულ უნდა იქნეს შემდეგი ოდენობით:

ა) სასარჩელო განცხადების, შეწყნარების შესახებ შუამდგომლობის, ადმინისტრაციულ ორგანოებში წარსადგენ განცხადებათა და სხვა სამართლებრივი საბუთების შედგენისათვის — 2 მანეთამდე, ხოლო რთულ საკითხებზე — 3 მანეთამდე;

ბ) ანდერძისა და ხელშეკრულების პროექტის შედგენისათვის — 6 მანეთამდე;

გ) ადვოკატის მიერ, რომელიც პირველი ინსტანციისა და მეორე ინსტანციის სასამართლოში არ მონაწილეობდა, საკასაციო საჩივრების, აგრეთვე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე საჩივრების შედგენისათვის — 7 მანეთამდე, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ინსტრუქციის მე-9 პუნქტის მეორე აბზაცით, და რთულ სამოქალაქო საქმეებზე — 15 მანეთამდე; ამ ინსტრუქციის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ საქმეებზე საჩივრების შედგენისათვის საქმის განსაკუთრებული სირთულის დროს, ან პირველი ინსტანციის სასამართლოში სასამართლო პროცესის 5 დღემდე ხანგრძლიობისას, საზღაური გადახდევინებულ უნდა იქნეს 30 მანეთამდე, 10 დღემდე ხანგრძლიობისას — 60 მანეთამდე, ხოლო 10 დღე მეტხანს გაგრძელებისას — 100 მანეთამდე;

დ) ადვოკატის მიერ, რომელიც პირველი ინსტანციის, ან მეორე ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობდა, საჩივრის შედგენისათვის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ განაჩენების გადაწყვეტილებებზე — 5 მანეთამდე;

ე) საქმის გაცნობისათვის იმ შემთხვევებში, როცა საფუძველი არაა საკასაციო საჩივრისა და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და გადაწყვეტილებაზე საჩივრის შესადგენად, — 5 მანეთამდე;

ვ) კანონმდებლობის საკითხებზე კონსულტაციის გაწევისათვის, აგრეთვე სამართლებრივ საკითხებზე რჩევა-დარიგების მიცემისათვის, რაც მოითხოვს სასამართლოს საბუთების ან სხვა საბუთების გაცნობას, — 2 მანეთამდე;

საკასაციო საჩივრის შედგენისათვის იმ ადვოკატის მიერ, რომელიც სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეებზე პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოდიოდა, — საზღაურის გადახდევინება არ ხდება.

6. მოხსენებისათვის პირადად მიღებისას იმ პირისათვის, რომელსაც უფლება აქვს შეიტანოს პროტესტი ზედამხედველობის წესით, ან იმ პირებისათვის, რომელნიც მისი დავალებით იღებენ საჩივრებს სასამართლოს კანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე, საზღაური გადახდევინებულ უნდა იქნეს 6 მანეთამდე.

IV. საზღაური წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეების წარმოებისათვის

7. წინასწარ გამოძიებაში ადვოკატის მონაწილეობისათვის საზღაური გადახდევინებულ უნდა იქნეს 20 მანეთამდე. წინასწარ გამოძიებაში ორ დღეზე მეტ ხანს მონაწილეობისათვის გადახდევინებული იქნება დამატებით საზღაური 7 მანეთამდე ყოველი შემდგომი დღისათვის.

8. ადვოკატის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის გადახდევინებულ იქნება 25 მანეთამდე.

ისეთ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის, რომელიც თავისი სირთულის გამო მოითხოვს სპეციალური საკითხების შესწავლასა და დამუშავებას, ან სასამართლო პროცესის ერთ დღეზე მეტი ხანგრძლიობისას, გადახდევინებული იქნება — 40 მანეთამდე, ხოლო თუ სასამართლოს პროცესი გრძელდება სამ დღეზე მეტ ხანს, — დამატებით გადახდევინებული იქნება 10 მანეთამდე ყოველი შემდგომი დღისათვის.

9. ადვოკატის მიერ წინასწარ გამოძიებაში ან სასამართლო პროცესში ორი პირის დაცვის განხორციელებისათვის საზღაური გადახდევინებული იქნება 60 პროცენტის ოდენობით, სამი და მეტი პირის დაცვისათვის — 50 პროცენტი იმ განაკვეთისა, რაც დაწესებულია ამ ინსტრუქციის მე-7 და მე-8 პუნქტებით, თვითეული პირისაგან.

10. განსაკუთრებულ შემთხვევებში, მეტად რთული საქმის წარმოებისათვის, რაც სპეციალური საკითხების შესწავლასა და დამუშავებას მოითხოვს, ან სასამართლო პროცესის შვიდ დღეზე მეტი ხანგრძლიობისას, საზღაური ერთი პირის დაცვისათვის გადახდევინებულ იქნება 150 მანეთამდე, ორი პირისა — 100 მანეთამდე თვითეულისაგან, სამი და მეტი პირის დაცვისა — 70 მანეთამდე თვითეულისაგან, მაგრამ სულ არა უმეტეს 250 მანეთისა. სასამართლო პროცესის ათ დღეზე მეტი ხანგრძლიობისას, საქმის წარმოებისათვის დამატებით გადახდევინებული იქნება 10 მანეთამდე ყოველი შემდგომი დღისათვის, მიუხედავად იმ პირთა რიცხვისა, რომელთა ინტერესებს ადვოკატი იცავს.

სასამართლო სხდომათა შეჩერების დღეებისათვის გადახდევინებულ იქნება სასამართლო სხდომის ერთი დღის საზღაურის 50 პროცენტი, უკეთუ ამ დღეების განმავლობაში ადვოკატი არ აწარმოებდა სხვა ფასიან სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეებს. ადვოკატის საერთო შემოსავალი სხდომების შეჩერების დღეებში არ უნდა აღემატებოდეს დღეში 10 მანეთს.

11. წინასწარ გამოძიებაში მონაწილე ადვოკატის მიერ სასამართლოში საქმის წარმოებისათვის საზღაური გადახდევიხებული იქნება ამ ინსტრუქციის მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი ძირითადი განაკვეთის 80 პროცენტის ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. პირველი ინსტანციის სასამართლოში მონაწილე ადვოკატის მიერ მეორე ინსტანციის სასამართლოში იმავე საქმის წარმოებისათვის საზღაური გადახდევინებული იქნება 50 პროცენტამდე, ხოლო იმ ადვოკატისა, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში არ მონაწილეობდა, — 80 პროცენტამდე იმ თანხიდან, რაც გადახდევინებული უნდა ყოფილიყო ამ საქმის წარმოებისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოში.

ადვოკატის მიერ მეორე ინსტანციის სასამართლოში ორი ან მეტი პირის დაცვის დროს გამოიყენება ამ ინსტრუქციის მე-9 პუნქტით დადგენილი წესები.

ადვოკატს, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში არ მონაწილეობდა, მეორე ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისას საკასაციო საჩივრის შედგენისათვის ცალკე გასამრჯელო არ მიეცემა.

13. სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო პროცესში ადვოკატის მონაწილეობისათვის დაზარალებულისა ან სამოქალაქო მოსარჩლის წარმომადგენლის სახით, საზღაური გადახდევინებული იქნება ამ ინსტრუქციის მე-8 — მე-10 პუნქტებით დადგენილზე 20 პროცენტით ნაკლები.

14. ერთი და იგივე ადვოკატის მიერ საქმის განმეორებით წარმოებისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოში ზემდგომი სასამართლოსაგან საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ან დამატებითი გამოძიების შემდეგ, საზღაური გადახდევინებული იქნება იმ ანაზღაურების 75 პროცენტამდე, რაც განსაზღვრული იყო საქმის პირველად განხილვის დროს.

15. ადვოკატის შრომის გასამრჯელოს და იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც დაკავშირებულია იმ საქმეებზე სხვაგან გამგზავრებასთან, რომლებშიც ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლი), მათ შორის აგრეთვე წინასწარ გამოძიებაში ადვოკატის მონაწილეობისათვის, — განისაზღვრება სასამართლოს მიერ, ამ ინსტრუქციის შესაბამისად.

V. საზღაური სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების წარმოებისათვის

16. ადვოკატის მიერ სამოქალაქო საქმეების წარმოებისათვის საზღაური გადახდევინებული იქნება შემდეგი ოდენობით:

ა) ფასგანუსაზღვრელი სარჩელის საქმეთა საწარმოებისათვის — 15 მანეთამდე;

ბ) 100 მანეთამდე შეფასებული სარჩელის საქმეთა წარმოებისათვის — 5 მანეთამდე;

გ) 100 მანეთიდან 300 მანეთამდე შეფასებული სარჩელის საქმეთა წარმოებისათვის — 10 მანეთამდე;

დ) 300 მანეთიდან 500 მანეთამდე შეფასებული სარჩელის საქმეთა წარმოებისათვის — 20 მანეთამდე;

ე) 500 მანეთზე მეტად შეფასებული სარჩელის, აგრეთვე რთული საქმეების წარმოებისათვის — 30 მანეთამდე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე წარმომადგენლობისათვის გასამრჯელო გაიცემა 10 მანეთამდე.

18. იმ ადვოკატის მიერ მეორე ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო საქმის წარმოებისათვის, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოდიოდა, საზღაური გადახდევინებული იქნება არა უმეტეს 50 პროცენტისა, ხოლო საქმის წარმოებისათვის ადვოკატის მიერ, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში არ გამოდიოდა, — არა უმეტეს იმ თანხის 80 პროცენტისა, რაც გადასახდელი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოში ამ საქმის წარმოებისათვის.

მეორე ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისათვის ადვოკატის მიერ, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში არ გამოდიოდა, ცალკე საზღაურის გადახდევინება საკასაციო საჩივრის შედგენისათვის არ წარმოებს.

19. პირველი ინსტანციის სასამართლოში განსაკუთრებით რთულ სამოქალაქო საქმის წარმოებისათვის, რაც ხანგრძლივ მომზადებას ან სპეციალური მასალების შესწავლას მოითხოვს, ამ ინსტრუქციის მე-16 პუნქტით დადგენილი საზღაურის ოდენობა შეიძლება გადიდდეს 60 მანეთამდე.

20. ორი პირის ინტერესების დაცვისას თვითეულ მათგანს საზღაური გადახდება 60 პროცენტის ოდენობით, ხოლო სამი და მეტი პირის ინტერესების დაცვისას — 50 პროცენტის ოდენობით ამ ინსტრუქციის მე-16, მე-17, მე-18 და მე-19 პუნქტებით დადგენილი განაკვეთებიდან.

21. პირველი ინსტანციის სასამართლოში სასამართლო პროცესის სამ დღეზე მეტი ხანგრძლიობის დროს საქმის წარმოებისათვის დამატებით გადახდევინებული იქნება 10 მანეთამდე ყოველი შემდგომი დღისათვის, იმ პირთა რაოდენობის მიუხედავად, რომელთა ინტერესებსაც ადვოკატი იცავს.

22. ადვოკატის წარმომადგენლობისათვის ფულად სახსრებს სასამართლო ორგანო უსჯის იურიდიულ კონსულტაციის სასარგებლოდ იმ წესითა და ოდენობით, რაც დადგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლით და ამ ინსტრუქციით, ხოლო შრომის საქმეებზე — ისე როგორც საქმეებზე ფასგანუსაზღვრელი სარჩელების გამო.

VI. საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურება

23. საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გაწევის მიზნით იურიდიული კონსულტაციები დებენ მათთან ხელშეკრულებებს დროებლივი საზღაურის ან ერთჯერადი დავალებების მიხედვით.

24. ხელშეკრულებას დროებლივი საზღაურის გადახდით იურიდიული კონსულტაციის გამგე დებს საწარმოს, დაწესებულების, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის ან სხვა ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან. ამასთან საზღაურის ოდენობა წესდება მხარეთა შეთანხმებით, ადვოკატის მიერ გაწეული მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობის მოცულობის მიხედვით, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს მოცულობითა და საქმიანობის ხასიათით ანალოგიური დაწესებულებების, საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების შტატით გათვალისწინებული იურისკონსულტის თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტს.

25. ადვოკატის მიერ საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის ერთჯერადი დავალებებით გაწეული იურიდიული დახმარების საზღაური განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

ა) სიტყვიერ რჩევა-დარიგებათა ან დასკვნების მისაცემად საწარმოში, დაწესებულებაში, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში ან სხვა ორგანიზაციაში გამგზავრებისათვის — არა უმეტეს 2 მანეთისა;

ბ) სასამართლო, ადმინისტრაციულ და სხვა ორგანოებში წარსადგენი განცხადებების შედგენისათვის — არა უმეტეს 2 მანეთისა;

გ) ხელშეკრულების პროექტის შედგენისათვის — არა უმეტეს 5 მანეთისა;

დ) ხელშეკრულების შემოწმებისათვის და მის სისწორეზე დასკვნის მიცემისათვის — არა უმეტეს 2 მანეთისა;

ე) სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებაზე საჩივრის შედგენისათვის — არა უმეტეს 4 მანეთისა;

ვ) სასამართლოში ან არბიტრაჟში ფასგანუსაზღვრელი სარჩელის საქმის წარმოებისათვის — არა უმეტეს 7 მანეთისა;

ზ) სასამართლოში ან არბიტრაჟში 100 მანეთამდე შეფასებული სარჩელი საქმის წარმოებისათვის — არა უმეტეს 5 მანეთისა;

თ) სასამართლოში ან არბიტრაჟში 500 მანეთამდე შეფასებული სარჩელის საქმის წარმოებისათვის — არა უმეტეს 10 მანეთისა;

ი) სასამართლოში ან არბიტრაჟში 500 მანეთზე მეტად შეფასებული სარჩელის საქმის წარმოებისათვის — არა უმეტეს 15 მანეთისა;

კ) სასამართლოში ან არბიტრაჟში 1000 მანეთზე მეტად შეფასებული სარჩელის საქმის წარმოებისათვის და ისეთი რთული საქმის წარმოებისათვის, რომელიც მოითხოვს სპეციალური საკითხების შესწავლას ან საქმის ხანგრძლივ განხილვას, — არა უმეტეს 30 მანეთისა;

ლ) სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო მოსარჩლის წარმომადგენლის სახით მონაწილეობისათვის — არა უმეტეს 15 მანეთისა;

თუ პროცესი სამ დღეზე მეტს ხანს გაგრძელდა, დამატებით გადახდევინებული იქნება 5 მანეთი ყოველი შემდგომი დღისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII. ადვოკატის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება

26. იმ საქმეებზე, რომელთა გამო საჭირო ხდება მივლინება, ადვოკატს, ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული ძირითადი გასამრჯელოს გარდა, დახმარების მთხოვნელი პირის ხარჯზე, აუნაზღაურდება სამივლინებო ხარჯები იმ ოდენობით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 19 ივნისის დადგენილებით „სსრ კავშირის ფარგლებში სამსახურებრივ მივლინებათა ანაზღაურების შესახებ“.

თუ მივლინების დღეების საზღაური საშუალო ხელფასზე ნაკლები აღმოჩნდა, ადვოკატს მიეცემა სხვაობა საშუალო ხელფასამდე იმ პირის ხარჯზე, ვინც დახმარება თხოვა.

ადვოკატის მივლინებისას ისეთ საქმეებზე, რომლებშიც ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა მოთხოვნის მიხედვით, ანაზღაურება წარმოებს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის სახსრებიდან. პრეზიდიუმისათვის ამ დანახარჯების ანაზღაურება ხდება იმ თანხებიდან, რასაც სასამართლო მიუსჯის, ამ ინსტრუქციით დაწესებული განაკვეთების მიხედვით.

140 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს პურის სახელმწიფო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს პურის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 8 ოქტომბერი, № 585.

მუხ. 140
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 8 იანვრის № 585
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს პურის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს პურის სახელმწიფო ინსპექცია, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 მარტის № 151 დადგენილების შესაბამისად, არის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტრუქტურული ნაწილი (სამმართველოს უფლებით) და უშუალოდ ემორჩილება მთავარი სამმართველოს უფროსს.

2. პურის სახელმწიფო ინსპექცია თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა კომიტეტის ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და ამ დებულებით.

3. პურის სახელმწიფო ინსპექციის ძირითადი ამოცანებია:

ა) განახორციელოს სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობა იმ მარცვლის, ზეთოვანი და პარკოსანი კულტურების თესლის, ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული საკვების ხარისხისა და ინსპექტირებისადმი, რომლებსაც იღებენ, ინახავენ და გადმოტვირთავენ საქართველოს სსრ ფარგლებში, გზავნიან სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში და საექსპორტოდ, მიიღებენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან და იმპორტის წესით;

ბ) კონტროლი გაუწიოს სახელმწიფო რესურსების, მათ შორის: მარცვლის, ზეთოვანი და პარკოსანი კულტურების თესლის, ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული საკვების სახელმწიფო რეზერვების ხარისხიანად შენახვას;

გ) განახორციელოს კონტროლი იმისადმი, რომ პურის მიმღებმა პუნქტებშა, სარეალიზაციო ბაზებმა, წისქვილებმა, ბურღულის, კომბინირებული საკვების, სიმინდის დამმუშავებელმა საწარმოებმა სწორად განსაზღვრონ იმ მარცვლის, ზეთოვანი და პარკოსანი კულტურების თესლეულის ხარისხი, რომლებსაც ღებულობენ კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისაგან, ინახავენ და აგზავნიან მიზნობრივი დანიშნულებით; ავრეთვე განიხილოს უთანხმოებანი მარცვლის, ზეთოვანი და პარკოსანი კულტურების ხარისხის გამო იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც იღებენ და აბარებენ აღნიშნულ პროდუქტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. პურის სახელმწიფო ინსპექცია მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) განახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ პურის მიმღებმა პუნქტებმა, სარეალიზაციო ბაზებმა და გადამმუშავებელმა საწარმოებმა სწორად განსაზღვრონ მარცვლის, ზეთოვანი და პარკოსანი კულტურების თესლის ხარისხი და წონა, აგრეთვე იმისადმი, თუ რამდენად სწორად ხორციელდება ანგარიშსწორებანი კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებთან მათ მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქციისათვის;

ბ) კონტროლს გაუწევს მარცვლის, მისი გადამუშავებით მიღებული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მიღების, დაბინავების, შენახვის, გაგზავნის და გაცემის წესების დაცვას პურის მიმღებ პუნქტებში, სარეალიზაციო და პურის ბაზებში, წისქვილებსა და ბურღულეულის ქარხნებში;

გ) შეამოწმებს სწორად არის თუ არა ასახული სახელმწიფო ანგარიშებსა და სხვა დოკუმენტებში ხარისხი მარცვლის, ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული საკვებისა, მათ შორის მათიც, რომლებიც სახელმწიფო რეზერვებშია, რომელთა დამზადება, მიღება, შენახვა, გადამუშავება, გაგზავნა და რეალიზაცია წარმოებს;

დ) განახორციელებს კონტროლს იმისადმი, თუ როგორ იცავენ გამომუშავებული ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული საკვების ხარისხის სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს წისქვილებში, ბურღულეულის ქარხნებსა და კომბინირებული საკვების საწარმოებში, როგორ სრულდება პროდუქციის გამოსავლიანობის ნორმები და როგორ არის უზრუნველყოფილი პროდუქციით სავსე ტომრების სტანდარტული წონა;

ე) დადგენილი წესით შეამოწმებს იმ მარცვლის, ზეთოვანი და პარკოსანი კულტურების თესლის, ფქვილისა და ბურღულის ხარისხს, რომლებიც საექსპორტოდ არის დატვირთული და საექსპორტოდ არის თავმოყრილი, განკუთვნილია ვადაზე ადრე შეზიდვის რაიონებისა და სხვა სპეციალური დანიშნულებისათვის, მიღებულია იმპორტის წესით, ამასთან გასცემს სერტიფიკატებს, რომლებიც სავალდებულოა ყველა საწარმოსათვის, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

ვ) განიხილავს უთანხმოებებს მარცვლის, ფქვილისა და ბურღულის ხარისხის გამო პურის მიმღებ პუნქტებს, წისქვილებს, ბურღულეულის ქარხნებს, კომბინირებული საკვების საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე მიმწოდებელსა და მიმღებს შორის;

ზ) კონტროლს გაუწევს თუ რამდენად სწორად ხდება მარცვლის, ზეთოვანი და პარკოსანი კულტურების თესლის, ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული საკვების რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვა და დადგენილი წესით დაამტკიცებს პურპროდუქტებისა და კომბინირებული საკვების წონის კლების ჩამოწერას, რასაც საფუძვლად უდევს ხარისხის გაუმჯობესება და წონის ბუნებრივი კლების ნორმები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს პურის მიმღებ პუნქტებში, ბაზებსა და სხვა საწარმოებში;

თ) მონაწილეობას მიიღებს მარცვლის, ზეთოვანი და პარკოსანი კულტურების თესლის, ფქვილისა და ბურღულის სტანდარტების პროექტების, დროებითი ტექნიკური პირობების შემუშავებაში, პურპროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მიღების, დაბინავების, შენახვის, დამუშავებისა და აღრიცხვის ინსტრუქციების, აგრეთვე პურეული პროდუქტების ხარისხის განსაზღვრის მეთოდების შემუშავებაში და მათ შესახებ დასკვნების მიცემაში;

ი) კონტროლს გაუწევს საწარმოთა ტექნიკურ-ქიმიური კონტროლის განყოფილებებისა და მიმღები პუნქტებისა და ბაზების ლაბორატორიების მუშაობას, კერძოდ, ხარისხობრივი ანალიზების წარმოების სისწორეს, სტანდარტებისა და დროებითი ტექნიკური პირობების დაცვას, აგრეთვე მარცვლისა და მისი გადამუშავებით მიღებული პროდუქტების ხარისხის დოკუმენტების გაფორმებას;

კ) სპეციალური მეთოდიკის თანახმად, ყოველწლიურად გამოიკვლევს საქონლო მარცვლის ხარისხს.

5. პურის სახელმწიფო ინსპექციაზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ინსპექციის მუშაკებს უფლება ენიჭებათ:

ა) დაუბრკოლებლივ დაათვალიერონ მარცვლის, მისი გადამუშავებით მიღებული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების დამზადების, შენახვის, გადამუშავების, გაგზავნისა და გაცემის ყველა ადგილი;

ბ) ისარგებლონ მთავარი სამმართველოს პურის მიმღები პუნქტებისა და საწარმოების ლაბორატორიებით და გამოიყენონ მათი მუშაკები ნიმუშების შერჩევისა და ანალიზის წარმოების მიზნით;

გ) მიიღონ პურის მიმღები პუნქტებისაგან, ბაზებისა და საწარმოებისაგან, მათი შემოწმების მიზნით, საჭირო მასალები და საანგარიშო მონაცემები, აგრეთვე ახსნა-განმარტებანი თანამდებობის პირებისაგან შემოწმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

დ) გაუგზავნონ მთავარი სამმართველოს პურის მიმღები პუნქტების, სარეალიზაციო და პურის ბაზების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს სავალდებულო მიწერილობანი მარცვლის, ზეთოვანი და პარკოსანი კულტურების თესლის, ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული საკვების მიღების, დამუშავების, შენახვის, გადამუშავების, გაცემის, გაგზავნის და ხარისხის განსაზღვრის წესების დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ, ხოლო საჭირო შემთხვევებში დააყენონ საკითხი, რომ პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომლებმაც უყაირათობა გამოიჩინეს და დაუშვეს მარცვლის, ზეთოვანი და პარკოსანი კულტურების თესლის, ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული საკვების ხარისხის გაუარესება და არასწორი ანგარიშსწორება პურის ჩამბარებლებთან.

შემოწმების შედეგად გამოვლინებულ უხეშ დარღვევათა და ნაკლოვანებათა ფაქტების შესახებ პურის სახელმწიფო ინსპექცია მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს პურის მიმღებ პუნქტებში, ბაზებსა და სხვა საწარმოებში;

თ) მონაწილეობას მიიღებს მარცვლის, ზეთოვანი და პარკოსანი კულტურების თესლის, ფქვილისა და ბურღულის სტანდარტების პროექტების, დროებითი ტექნიკური პირობების შემუშავებაში, პურპროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მიღების, დაბინავების, შენახვის, დამუშავებისა და აღრიცხვის ინსტრუქციების, აგრეთვე პურეული პროდუქტების ხარისხის განსაზღვრის მეთოდების შემუშავებაში და მათ შესახებ დასკვნების მიცემაში;

ი) კონტროლს გაუწევს საწარმოთა ტექნიკურ-ქიმიური კონტროლის განყოფილებებისა და მიმღები პუნქტებისა და ბაზების ლაბორატორიების მუშაობას, კერძოდ, ხარისხობრივი ანალიზების წარმოების სისწორეს, სტანდარტებისა და დროებითი ტექნიკური პირობების დაცვას, აგრეთვე მარცვლისა და მისი გადამუშავებით მიღებული პროდუქტების ხარისხის დოკუმენტების გაფორმებას;

კ) სპეციალური მეთოდიკის თანახმად, ყოველწლიურად გამოიკვლევს საქონლო მარცვლის ხარისხს.

5. პურის სახელმწიფო ინსპექციაზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ინსპექციის მუშაკებს უფლება ენიჭებათ:

ა) დაუბრკოლებლივ დაათვალიერონ მარცვლის, მისი გადამუშავებით მიღებული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების დამზადების, შენახვის, გადამუშავების, გაგზავნისა და გაცემის ყველა ადგილი;

ბ) ისარგებლონ მთავარი სამმართველოს პურის მიმღები პუნქტებისა და საწარმოების ლაბორატორიებით და გამოიყენონ მათი მუშაკები ნიმუშების შერჩევისა და ანალიზის წარმოების მიზნით;

გ) მიიღონ პურის მიმღები პუნქტებისაგან, ბაზებისა და საწარმოებისაგან, მათი შემოწმების მიზნით, საჭირო მასალები და საანგარიშო მონაცემები, აგრეთვე ახსნა-განმარტებანი თანამდებობის პირებისაგან შემოწმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

დ) გაუგზავნონ მთავარი სამმართველოს პურის მიმღები პუნქტების, სარეალიზაციო და პურის ბაზების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს სავალდებულო მიწერილობანი მარცვლის, ზეთოვანი და პარკოსანი კულტურების თესლის, ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული საკვების მიღების, დამუშავების, შენახვის, გადამუშავების, გაცემის, გაგზავნის და ხარისხის განსაზღვრის წესების დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ, ხოლო საჭირო შემთხვევებში დააყენონ საკითხი, რომ პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომლებმაც უყაირათობა გამოიჩინეს და დაუშვეს მარცვლის, ზეთოვანი და პარკოსანი კულტურების თესლის, ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული საკვების ხარისხის გაუარესება და არასწორი ანგარიშსწორება პურის ჩამბარებლებთან.

შემოწმების შედეგად გამოვლინებულ უხეშ დარღვევათა და ნაკლოვანებათა ფაქტების შესახებ პურის სახელმწიფო ინსპექცია მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობას და შეაქვს სათანადო წინადადებანი.

პურის გაფუჭების, დიდი დანაკლისისა და ბოროტმოქმედების ფაქტების გამოვლინების შემთხვევებში მოახსენებს ამას აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტს;

ე) დაათვალიერონ მარცვალსაცავები, რკინიგზის, წყლის და ავტოსაჭაპანო ტრანსპორტი იმ მიზნით, რომ დაადგინონ მათი ვარგისიანობა მარცვლის, ზეთოვანი და პარკოსანი კულტურების თესლის, ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული საკვების მიღებისათვის, შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის;

ვ) აკრძალონ მარცვლისა და მისი გადამუშავებით მიღებული პროდუქტების დაბინავება უვარგის საწყობებში, მათი დატვირთვა უწესივრო და ჭუჭყიან ავტომანქანაში, ვაგონში ან გემში, აგრეთვე ისეთი პურეული პროდუქტების გაგზავნა, რომლებიც არ შესაბამება სახელმწიფო სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და კონდიციების მოთხოვნებს.

6. საჩივარი პურის სახელმწიფო ინსპექციის მუშაკების გადაწყვეტილებათა გამო მარცვლის, ზეთოვანი და პარკოსანი კულტურების თესლის, ფქვილის, ბურღულის და კომბინირებული საკვების ხარისხის განსაზღვრის საკითხებზე წარედგინება მთავარი სამმართველოს პურის სახელმწიფო ინსპექციის უფროსს 5 დღის ვადაში სერტიფიკატის ან დასკვნის მიღებიდან.

პურის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსთან, ხოლო მარცვლისა და მისი გადამუშავებით მიღებული პროდუქტების ხარისხის ინსპექტირების შესახებ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის პურის სახელმწიფო ინსპექციის უფროსთან, რომელთა გადაწყვეტილებანი საბოლოოა.

7. პურის სახელმწიფო ინსპექციის მუშაკები პასუხს აგებენ:

ა) პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების ხარისხის არასწორი განსაზღვრისათვის, აგრეთვე ხარისხის შესახებ დოკუმენტების არასწორად გაფორმებისათვის;

ბ) სერტიფიკატებისა და დასკვნების გაცემისათვის ისე, თუ პირადად არ შეამოწმეს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების ხარისხი გაგზავნის, შენახვისა და დანიშნულების ადგილზე მიტანის დროს;

გ) ისეთი პროდუქციის გაცემის ნებართვის მიცემისათვის, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტების მოთხოვნებსა და ტექნიკურ პირობებს;

დ) გაწმენდის აქტების არასწორად შედგენისა და დამტკიცებისათვის და იმ დარღვევათა და ბოროტმოქმედებათა დაფარვისათვის, რომლებიც აღმოჩენილი იქნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს პუნქტებში, ბაზებსა და საწარმოებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. პურის სახელმწიფო ინსპექციას აქვს:

ა) პურის ინსპექციის პუნქტები;

ბ) ლაბორატორია.

9. პურის სახელმწიფო ინსპექციას აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და თავისი დასახელება.

პურის ინსპექციის პუნქტებს აქვთ უგერბო ბეჭედი პურის ინსპექციის პუნქტის დასახელებით.

ინდექსი — 76187

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№№ 4 и 5 1965 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
იურიდიული კომისია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VIII-65 წ ქაღალდის ზომა 70 × 108,
ქაღალდი 14000, ნაბეჭდი თაბახი 6,0, სააღრიცხვო თაბახი 6,0.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 1900 შეკვეთა 1511

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.